საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟიტრა მედია

ლომი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

30 დეკემბერი პარასკევი 2011
№308 (13605) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორაგბეებმა წელი გამართეს

ხამაშურიძის ბენეფისი

გიორგი ნიჟარაძე (მარცხნივ) და ბესიკ ხამაშურიძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

13

მამუკა გორგოძის კიდევ ერთი აღიარება

საახალწლო სიგიჟე ინგლისში

ფეხბურთი დღეს, ხვალ, ზეგ...

5



ჭიერი ანრი ლონდონში

5

● ამბები

სამი სიონელი ტორპედოში

ბოლნისის "სიონი" სამმა ფეხბურთელმა დატოვა - ნახევარმცველებმა, **გიორგი ქუცურუამ, ვალერი ბოლქვაძემ,** თავდამსხმელმა **გიორგი რეხვიაშვილმა.**

შევიტყვეთ, რომ სამივეს ქუთაისის "ტორპედოში" ინვევენ და, სავარაუდოდ, კონტრაქტს უახლოეს დღეებში გააფორმებენ.

სამივე საინტერესო მოთამაშეა, მაგრამ კარიერა ვერ აინყვეს. ცხადია, "ტორპედოში" თამაში მათთვის ნიჭის გამოვლენის მშვენიერი შანსი იქნება.

ქუცურუა 25 წლისაა, ქუთაისელთა ამჟამინდელ თავკაცთან **გია გეგუჩაძესთან** თბილისის "დინამოში" თამაშობდა. ის ნლეულს "სიონის" ერთ-ერთი ლიდერია.

ბოლქვაძეც დინამოელი იყო და **კახა ცხადაძე** ახალგაზრდულ ნაკრებში ინვევდა. შარშან ცხინვალის "სპარტაკში" კარგი სეზონი ჩაატარა, მაგრამ გაუშვეს. 23 ნლის პლეიმეიკერსაც უვარჯიშია გეგუჩაძის ხელმძღვანელობით.

რეხვიაშვილი 25 ნლისაა. ექვსი ნლის წინ სერია "ც"-ს კლუბშიც ირიცხებოდა და კარიერის ანყობას იტალიაში ცდილობდა, მაგრამ საქართველოში დაბრუნება მოუხდა.

შეგახსენებთ, რომ "ტორპედომ" "სიონიდან" უკვე დაიბრუნა იჯარით გაშვებული **ლაშა კემუხტაშვილი.**

ავარია, ანუ გოცირიძეს დუბლებში აღარ სურს

23 წლის **ბექა გოცირიძე** გულდაწყვეტილი და იმედგაცრუებულია – მისი კარიერა ისე ვერ წარიმართა, როგორც წარმოედგინა, "ზესტაფონიდან" დნეპროპეტროვსკის "დნიპროში" გადასული ახალგაზრდა თავდამსხმელის ზრდა და წინსვლა, ფაქტობრივად, შეაჩერა ორი ნლის წინ მომხდარმა ავარიამ, რომლის გამოც დიდი დრო გაუცდა, მას შემდეგ კი ფორმის აღდგენა ვერა და ვერ მოახერხა.

ბექამ "ბენდელას თასზე" აშკარად წონამეტმა ითამაშა, მიზეზი ტრავმა აღმოჩნდა, რის გამოც ოქტომბრიდან მოყოლებული უქმობდა.

"აქილევსის მყესის ტრავმამ კარგა ხანს დამასვენა. მერე თბილისში ჩამოვედი, ექიმებმა მხოლოდ ნემსებით მკურნალობა მირჩიეს და ოპერაციას გადავურჩი.

მაგრამ გული მწყდება, რომ ავარიისა და ჩემივე მიზეზის გამო ორი წელი გამიცდა, რამაც ძალიან უკან დამხია. მართალია, ფეხბურთზე გული არ ამცრუებია, მაგრამ ორი წელია, მაღალ დონეზე აღარ მითამაშია, დუბლებში ვარ და ასე ყოფნა მიჭირს. სამწუხაროდ, "დნიპროსთან" საკონტრაქტო ვადაც არ დასრულებულა, მხოლოდ ერთი ნლის შემდეგ ვიქნები თავისუფალი აგენტი" – ამბობს ბექა.

2011 ნლის დასაწყისში გოცირიძის გადაყვანა თბილისის "დინამოს" სურდა, მაგრამ დნეპროპეტროვსკულმა კლუბმა ქართველ თავდამსხმელში მილიონი ევრო მოითხოვა, ზუსტად იმდენი, რამდენადაც "ზესტაფონისგან" შეიძინა: *"დინამოს" მხრიდან ინტერესი მართლაც იყო, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, მერე რა მოხდა. თანაც, ორი ნლის უთამაშებელ ფეხბურთელში მილიონს კი არა, ასი ათას დოლარსაც არავინ გადაიხდის. ახალი ნლიდან მომზადებას ისევ "დნიპრო 2"-ში დავიწყებ, მაგრამ არ ვიცი, სად ვითამაშებ. ისევ დუბლებში დარჩენა ძალიან არ მინდა."*

● ინტერვიუ

წავიდა, ჰე, ის ფეხბურთი აღარ არის...

თვითკრიტიკულ კაცს კრიტიკა დაეჯერება. ჯონი ჯანელიძის კრედო: გვახსოვდეს ანდრო ჟორდანიას გზა – ვეძებოთ ნიჭი!

ქართველ მწვრთნელთა უფროსი თაობის წარმომადგენელი ჯონი ჯანელიძე დიდი ხანია, უმაღლესი ლიგის გუნდს აღარ წვრთნის, ამჟამად ბავშვებთან მუშაობს. ბატონი ჯონი ბევრის მნახველი სპეციალისტია, ზურგს დიდი გამოცდილება უმაგრებს და უინტერესო არ უნდა იყოს ქართულ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენებზე მისი მოსაზრებების გაცნობა.

- როგორ შეაფასებდით განვლილ წელს?

- საკმაოდ კრიტიკულად, სპეციალისტებსა და გულშემატკივრებს უკეთესის სურვილი გვაქვს, წარმატებები გვენატრება და ჩვენი კლუბებისა და ნაკრებების უფრო ღირსეულ გამოსვლებზე ვოცნებობთ.

- საქართველოს ნაკრებზე რას იტყოდით?

- ასაკოვანი ხალხი თბილისის "დინამოს" თამაშებზე გავიზარდეთ. ეს გუნდი წაგების შემთხვევაშიც კი მაყურებლის პატივისცემას იმსახურებდა, ხალხი ტაშით აცილებდა, რადგან ბოლომდე იბრძოდა და, რაც მთავარია, გამარჯვებებით გვანებივრებდა.

სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების წარმატება არ გვახსენდება, თავიდან იყო გამონათებები, მაგრამ მერე და მერე საქმე უკან წავიდა და ბოლო შესარჩევ ციკლში მეხუთე ადგილი დავიკავეთ. ითქვა, რომ გუნდის შენება დაიწყო და ეს წარმატებად შეფასდა. მაგრამ რა ხანია, გულშემატკივარი წარმატების მოლოდინშია და ნაკლებად აინტერესებს „სამშენებლო პროცესის" დეტალები.

- მწვრთნელები სანაკრებო მოთამაშეთა დეფიციტზე ლაპარაკობენ.

- ეს ჩვენი ფეხბურთის ტრაგედიაა, თაობები მოდიან და ვერ ვზრდით. რატომ არის ანდრო ჟორდანია ქართულ ფეხბურთში ყველაზე დიდი მწვრთნელი? იმიტომ, რომ სოფელ-სოფელ დადიოდა და ნიჭიერ ბავშვებს ეძებდა. მურთაზ ხურცილავა ბანძიდან ჩამოიყვანა, ყველა გაოცებული ვუყურებდით, ამან ფეხბურთი როგორ უნდა ითამაშოსო. არადა, მსოფლიო დონის ვარსკვლავი გაიზარდა. ასეთი სელექცია და ადამიანები გვჭირდება, გულისხმიერები, მცოდნეები და ნიჭიერ ბავშვებს არ დავკარგავთ. ვინმემ იცის, რამდენი ოქროა მიწის ქვეშ? თუ ხელი არ გაანძრიე, მიწა არ გათხარე, მადანი არ მოიძიე და მერე არ დაამუშავე, ოქრო თავისით არ ჩაგივარდება ხელში. ასეა ნიჭიც, მას ძიება, თვალი უნდა, მერე კი გათლა-დამუშავება სჭირდება. ფეხბურთელის ნახვა თუ გინდა, ბევრი უნდა იარო და ეძებო.

- მართლაც უამრავი ნიჭიერი გვეკარგება. იმიტომ ხომ არა, რომ ასეთებს სიზარმაცე ახასიათებთ, მათ შენარჩუნებაზე ფიქრით კი თავს დიდად არ ვიწუხებთ?

- სამწუხაროდ, ქართველი ფეხბურთელების დიდ ნაწილს მართლაც ახასიათებს სიზარმაცე. მაგრამ ეს უნდა გაითვალისწინოს მწვრთნელმა, თანაც ნიჭიერი უმალ ვერ იხსნება, დრო და გასაღების მორგება სჭირდება. ბევრი ფეხბურთელის გახსენება შეიძლება, რომლებიც უცხოეთში წასულან და მერე სხვა თვალით შეგვიხედავს მათთვის, რა ნიჭიერები ყოფილანო. ჩვენში ფეხბურთელის დიდ გუნდამდე მიყვანა, მისი გახსნა და დაოსტატება უდიდესი პრობლემაა. ალბათ იმიტომაც, რომ დღემდე მოძველებული რუსულ-საბჭოური მეთოდებით ვხელმძღვანელობთ.

- ძველი სკოლიდან რა იყო კარგი და რა — ცუდი?

- უდავოდ კარგი იყო წვრთნისა და მოსამზადებელი ციკლის დაგეგმარება. მინდოდა თუ არა, ვალდებული ვიყავი, ვარჯიშების გარკვეული რაოდენობა ჩამეტარებინა. პირველი სამი ეროვნული ჩემპიონატი მაღალ დონეზე იმიტომ ჩატარდა, რომ ინერციით მოვდიოდით – ფიზიკური მომზადება, გამძლეობა და კლასი ბევრ გუნდსა და ფეხბურთელს ჰქონდა. მაგრამ ჩვენი ფეხბურთის დამოუკიდებლად მართვა და კლუბების სწორ გზაზე დაყენება ვერ მოვახერხეთ, რუსული მეთოდიც მოძველდა, ახალ და უფრო პროგრესულზე გადასვლა კი გაგვიჭირდა.

- თქვენი თაობის მწვრთნელებზე მოთხოვნა შემცირდა, რაზეც რევაზ ძოძუაშვილი ხშირად ლაპარაკობს.

ჯონი ჯანელიძე

- ჩვენს თავს ვერავის დავაძალებთ, პრეზიდენტებს ახლებურად მოაზროვნე მწვრთნელები სჭირდებათ. შესაძლოა, უფრო მორჩილებიც, მაგრამ ჩვენი თაობა რომ ძალიან ჩამორჩა, ამასაც ვერ გავექცევით. წამყვანი ქვეყნების გამოცდილებას დროულად რომ გაეცნო, აუცილებლად უნდა იცოდე უცხო ენა, ინტერნეტი, ცხოვრება წინ წავიდა და ფეხი უნდა აუწყო.

- ძალიან თვითკრიტიკული ბრძანდებით.

- საკუთარ თავს ხომ არ მოვატყუებ.

- ეროვნულ ჩემპიონატზე რას ფიქრობთ?

- ბოლო ათი წელია, დონე საკმაოდ დაეცა, სამწუხაროდ, არც თამაშების გაყიდვა იყო იშვიათი ამბავი, რამაც ჩემპიონატისადმი ინტერესი უფრო შეამცირა.

- თამაშების ყიდვა-გაყიდვა არახალი ამბავია, ეს თქვენს დროსაც იყო.

- ეს ამბავი ყოველთვის იყო, არის და იქნება, ჩვენს დროს კი არა, რაც ფეხბურთი არსებობს, მას შემდეგ ებრძვიან, მაგრამ... ადრე გარკვეული ზღვარი მაინც არსებობდა. მახსოვს, ერთხელ სტეფანაკერტის გუნდი ფოთში "კოლხეთს" გვესტუმრა. ძალიან უჭირდათ და თამაში დავუთმეთ, კარგად გვაქეიფეს, მაგრამ ფულის აღება არ ვიკადრეთ, ეს უდიდეს სირცხვილად მიიჩნეოდა. სამაგიეროდ, მეორე წელს მათ დაგვითმეს.

- სპორტულ პრინციპებს ხომ ესეც ეწინააღმდეგებოდა?

- ეს უფრო, იცით, რა იყო? მეგობრობა და ადამიანური ურთიერთობები, ანგარება და ყველაფრის ფასად ფულის შოვნის სურვილი ნაკლებად იყო. დიახ, ბევრი ცუდი რამ ხდებოდა, მაგრამ მსოფლიო ფეხბურთში დღეს რომ სიბინძურეა, წარმოდგენის ზღვარს სცილდება. ტოტალიზატორი ფეხბურთში ისეა შეჭრილი, რომ შეიძლება, მალე ფსონი მწვრთნელის გადაფურთხებაზეც დადონ.

- ქართულ ფეხბურთში მდგომარეობის გამოსასწორებლად რა არის საჭირო?

ძოძუაშვილი ხშირად ლაპარაკობს.

- ჩვენს თავს ვერავის დავაძალებთ, პრეზიდენტებს ახლებურად მოაზროვნე მწვრთნელები სჭირდებათ. შესაძლოა, უფრო მორჩილებიც, მაგრამ ჩვენი თაობა რომ ძალიან ჩამორჩა, ამასაც ვერ გავექცევით. წამყვანი ქვეყნების გამოცდილებას დროულად რომ გაეცნო, აუცილებლად უნდა იცოდე უცხო ენა, ინტერნეტი, ცხოვრება წინ წავიდა და ფეხი უნდა აუწყო.

- ძალიან თვითკრიტიკული ბრძანდებით.

- საკუთარ თავს ხომ არ მოვატყუებ.

- ეროვნულ ჩემპიონატზე რას ფიქრობთ?

- ბოლო ათი წელია, დონე საკმაოდ დაეცა, სამწუხაროდ, არც თამაშების გაყიდვა იყო იშვიათი ამბავი, რამაც ჩემპიონატისადმი ინტერესი უფრო შეამცირა.

- თამაშების ყიდვა-გაყიდვა არახალი ამბავია, ეს თქვენს დროსაც იყო.

- ეს ამბავი ყოველთვის იყო, არის და იქნება, ჩვენს დროს კი არა, რაც ფეხბურთი არსებობს, მას შემდეგ ებრძვიან, მაგრამ... ადრე გარკვეული ზღვარი მაინც არსებობდა. მახსოვს, ერთხელ სტეფანაკერტის გუნდი ფოთში "კოლხეთს" გვესტუმრა. ძალიან უჭირდათ და თამაში დავუთმეთ, კარგად გვაქეიფეს, მაგრამ ფულის აღება არ ვიკადრეთ, ეს უდიდეს სირცხვილად მიიჩნეოდა. სამაგიეროდ, მეორე წელს მათ დაგვითმეს.

- სპორტულ პრინციპებს ხომ ესეც ეწინააღმდეგებოდა?

- ეს უფრო, იცით, რა იყო? მეგობრობა და ადამიანური ურთიერთობები, ანგარება და ყველაფრის ფასად ფულის შოვნის სურვილი ნაკლებად იყო. დიახ, ბევრი ცუდი რამ ხდებოდა, მაგრამ მსოფლიო ფეხბურთში დღეს რომ სიბინძურეა, წარმოდგენის ზღვარს სცილდება. ტოტალიზატორი ფეხბურთში ისეა შეჭრილი, რომ შეიძლება, მალე ფსონი მწვრთნელის გადაფურთხებაზეც დადონ.

- ქართულ ფეხბურთში მდგომარეობის გამოსასწორებლად რა არის საჭირო?

- ბევრი რამ, მე სამაგალითოდ მხოლოდ ერთზე შეგჩერდები: აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს სტუდენტური ლიგა. მახსოვს, სასოფლოში ისეთი ძლიერი გუნდი გვყავდა, კახი ასათიანიც თამაშობდა და მოსამზადებელ ეტაპზე ერევნის "არარატი" 5:0 დავამარცხეთ.

- სტუდენტური ლიგა უკვე ჩამოყალიბდა.

- ვიცი და ამ იდეას მხარს ვუჭერ, მაგრამ გუნდები ერთმანეთს მინი-ფეხბურთში ეჯიბრებიან, რაც გამოსავალი არ არის. საჭიროა კლასიკური ფეხბურთის გუნდების ჩამოყალიბება, სადაც 17-დან 21 წლამდე ახალგაზრდები ითამაშებენ,. სეზონის ბოლოს უნდა შედგეს ლიგის ნაკრები, რომელიც ახალგაზრდულ ან 19-წლამდელთა ნაკრებს შეხვდება, მწვრთნელებს სელექციის საშუალება მიეცემათ, ფეხბურთელებს კი სტიმული გაუჩნდებათ. ჩრდილში მოქცეული მოთამაშეები ხომ უმთავრესად სწორედ სტუდენტობის პერიოდში იკარგებიან, სტუდენტურ კლუბებში კი გამოცდილებას შეიძენენ და ჩვენს კლუბებსა და ქართულ ფეხბურთს ბუნებრივად შეუერთდებიან.

● ლეგიონერი

ბაჩანა ცხადაძე

ბაჩანა ცხადაძის ორმაგი ჯვირთი

უკვე გაცნობთ, რომ აზერბაიჯანის პროფესიული ფეხბურთის ლიგამ დეკემბერში პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად **ბაჩანა ცხადაძე** დაასახელა. ბაჩანას სამახსოვრო თასი და „უნიბანკისგან" 1111 აზერბაიჯანული მანათი გადაეცა.

შეგახსენებთ, 24 ნლის თავდამსხმელი დეკემბერში გამართულ 4 შეხვედრაში ბაქოს „ინტერს" 3 უმნიშვნელოვანესი გოლით დაეხმარა - გასვლაზე უშუალო კონკურენტ ლენქორანის "ხაზარს" და მის ყოფილ კლუბ ზაქათალის "სიმურგს" გაუტანა, შინ კი - ლიდერ ბაქოს "ნეფთჩის" და ამით მამის, **კახა ცხადაძის** გაწვრთნილი გუნდის მეორე ადგილზე დამკვიდრებაში დიდი წვლილი შეიტანა.

"როდესაც საუკეთესოდ დამასახელეს, ვთქვი, რომ ჩემთვის პირად აღიარებაზე მნიშვნელოვანი აზერბაიჯანის ჩემპიონობაა. მაგრამ, რა დასამალია, როდესაც ეს ამბავი შევიტყვე, იმ წუთში იმაზეც ვფიქრობდი, რომ გავამართლე მამაჩემის და კლუბის ხელმძღვანელობის იმედები. კახამ იმიტომ კი არ ამიყვანა, რომ შვილი ვარ, პირიქით, ეს ორმაგ პასუხისმგებლობას მაკისრებს – არ უნდა შევარცხვინო არც საქართველო და არც მამა. ამის გამო ყველა შეხვედრაში ორმაგად კონცენტრირებული ვთამაშობდი. ასეთი წარმატებების შემდეგ "ინტერში" ბევრი ქართველის ყოფნაზეც ნაკლები პრეტენზიები გაჩნდება, რადგან გუნდში ტყუილად არავინ ჩარიცხულა. ჩემი აღიარება ყველას ძალიან გაუხარდა, გუნდელებსაც, თანამშრომლებსაც, ცხადია, ხელმძღვანელობასაც, რადგან "ინტერის" ისტორიაში პირველი ფეხბურთელი ვარ, რომელსაც ეს პრიზი ხვდა წილად" – ამბობს ცხადაძე.

ბაჩანას "ინტერთან" კონტრაქტი მაისის ბოლოს უმთავრდება, მაგრამ მის გახანგრძლივებაზე მოლაპარაკება დაწყებულია: *"მაისის ბოლომდე "ინტერში" ვარ, მაგრამ დავრჩები თუ არა, ჯერ ვერ ვიტყვი, ეს ან ახალი წლის, ან სეზონის დასრულების შემდეგ გადაწყდება".*

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 ნლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● მსაჯთა საფიხვნო

კონვენციამ წინ წაგვწია

ახლახანჩატარებულ ღონისძიებაზე, რომელზეც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ წელი შეაჯამა, სფფ-ის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** წლის ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევად უეფას სამსაჯო კონვენციაში განევრება მიიჩნია. კონვენციაში განევრების პროცესი საკმაო ხანს გრძელდებოდა და უეფამ ქართულ მხარეს ეს სტატუსი რამდენიმესაფეხურიანი შემოწმებისა და დაკვირვების შემდეგ მიანიჭა.

ეს ამბავი წლის დასაწყისში მოხდა, თუმცა მაშინ მის მნიშვნელობაზე ვრცლად არ გვისაუბრია და ახლა გაგაცნობთ იმ პერსპექტივებსა და უკვე რეალობად ქცეულ შედეგებს, რაც კონვენციის ნევრობას მოჰყვა.

უეფას სამსაჯო კონვენცია სამსაჯო საქმის ორი სფეროსგან შედგება - მსაჯობის ორგანიზებისა და სწავლებისგან. სწავლებაში იგულისხმება როგორც დამწყებ და გამოცდილ მსაჯებთან მუშაობა, ასევე მათი დამკვირვებლების მომზადება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კი დააკმაყოფილა მოთხოვნილი მინიმალური სტანდარტები, თუმცა სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. სფფ-ზე მომაგრებული უეფას დანიელი ინსტრუქტორი **იორნუესტ ლარსენი** მუდმივ მონიტორინგს განახორციელებს, რათა სტანდარტების მინიმალურ ზღვარს არ ჩამოვცდეთ და მუშაობა უწყვეტ რეჟიმში გაგრძელდეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილებას მუდმივი კონტაქტი აქვს უეფას ფიზმომზადების ინსტრუქტორთანაც, რომელიც ქართულ მხარეს იმაში დაეხმარება, რომ ჩვენმა მსაჯებმა ნორმატივები დაუბრკოლებლად ჩააბარონ.

უეფას თავისი წილი პასუხისმგებლობა აქვს, რომლის ფარგლებშიც ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო ქართულ სამსაჯო კორპუსს ეხმარება როგორც ფინანსური, ასევე ტექნიკური და ადამიანური რესურსებით.

ცნობისათვის: უეფას სამსაჯო კონვენცია 2005 წელს შეიქმნა, საქართველომ კი იქ მოსახვედრად განაცხადი 2007 წელს შეიტანა და მას შემდეგ ჩვენი ფედერაცია უეფას სხვადასხვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ზრუნავდა. დღეს კონვენციაში ევროპული ქვეყნების დიდი ნაწილია გაერთიანებული, სულ 40-მდე ფედერაცია და ასოციაცია.

უეფას მსაჯთა კონვენციის პროგრამით გათვალისწინებულია მსაჯთა პროფესიული დონის ამაღლება და ამ მიზნით მათი მივლინება უეფას პატრონაჟით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაზე. უცხოური ვიზიტების გარდა, ქართველი მსაჯები ცოდნას ადგილზეც გაიღრმავებენ. კონვენციის ფარგლებში სხვადასხვა სემინარი თბილისშიც ჩატარდება და უეფა აქ გამოცდილ ინსტრუქტორებს მოავლენს.

უეფას სამსაჯო კონვენციის წყალობით ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩვენი სამსაჯო განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. **ლევან ფანიაშვილის** უწყებამ უეფასგან მსაჯთა შორის საკომუნიკაციო საშუალებების კომპლექტები მიიღო, რაც ქართველ მსაჯებს საშუალებას აძლევს, საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს თანამედროვე სტანდარტებით მოემსახურონ.

არბიტრებმა მიიღეს POLAR-ის ფირმის საათები, რომლებიც სათამაშო დროის უკეთ კონტროლის საშუალებას იძლევა, შეცდომასა თუ უზუსტობას აბსოლუტურად გამორიცხავს, მსაჯს უზომავს და უკონტროლებს პულსს, წნევას და ასე შემდეგ. გარდა ამისა, ყველა თანამსაჯის განკარგულებაშია ელექტრონული ალმები, რაც არბიტრთან კომუნიკაციის ეფექტური საშუალებაა.

ჩვენმა მსაჯებმა კონვენციის ფარგლებში ტესტირებისთვის საჭირო ინვენტარიც მიიღეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ფასეული მოწყობილობაა ელექტრონული კარი, რომელიც ტესტირებისას მსაჯის მიერ დაფიქსირებულ დროს ზუსტად აღნუსხავს.

ასევე კონვენციის წყალობით ჩვენმა სამსაჯო განყოფილებამ საოფისე ინვენტარი, ნოუტბუკები, პროექტორები და თეორიული სწავლებისთვის საჭირო სხვა ხელსაწყოები მიიღო.

იმასაც შეგახსენებთ, რომ წლეულს ქართველი მსაჯების ანაზღაურება საგრძნობლად გაიზარდა. ასე რომ, მათ პროგრესისა და განვითარებისთვის ფინანსური რესურსიც აქვთ და ტექნიკურიც. იმედია, უახლოეს მომავალში მსაჯობის დონის ამაღლების თვალსაჩინო ტენდენციას დავინახავთ.

ლევან ჯანეზაშვილი

● ბენდელას თასი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გაიმარჯვა თსუ-მ, ანუ ფუტსალმა

გუშინ საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" სტადიონზე "ბენდელას თასის" 21-ე გათამაშება დასრულდა. ფინალში შარშანდელი გამარჯვებული სეუ ფუტსალელებით დაკომპლექტებულ თსუ-ს შეხვდა.

მიუხედავად იმისა, რომ სეუ ძლიერი მეტოქე იყო (მის რიგებში გამოდიოდნენ **რევაზ თევდორაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი ნავალოვსკი, სერგი ორბელაძე, გიორგი ჩივაძე, გიორგი კახელიშვილი, შოთა კუბლაშვილი, დავით გოგოლაძე, გურამ კაშია, გიორგი ჭანტურია**), თსუ პირველ ტაიმში სოლიდური უპირატესობით დაწინაურდა – **თეზი ბარამიძის** დუბლს **კახა მაისაიამ** მესამე გოლიც დაურთო.

მეორე ტაიმში სეუ გამოცოცხლდა, ანგარიში ჯერ ჩივაძემ შეამცირა, მერე კაშიამ, სეუ-ს მატჩის გადარჩენის იმედი გაუჩნდა და ბოლო წუთებზე მთელი ძალებით შეუტია, მაგრამ ჩინებულად თამაშობდა თსუ-ს მეკარე **თორნიკე ბუკია**.

საბოლოოდ, თსუ-მ 3:2 გაიმარჯვა და "ბენდელას თასს" დაეუფლა. ტურნირის ორგანიზატორებმა, ძმებმა **ქართლოს** და **კახა ჭუმბურიძეებმა**, თბილისის ფედერაციამ და "იბერია ბიზნესჯგუფმა" საუკეთესოები დააჯილდოეს:

საუკეთესო მეკარე – **თორნიკე ბუკია (თსუ).**

საუკეთესო მცველი, ლევან ჟორდანიას ფონდის პრიზი – **შოთა კუბლაშვილი (სეუ).**

საუკეთესო ნახევარმცველი – **თეზი ბარამიძე (თსუ).**

საუკეთესო თავდამსხმელი – **გურამ კაშია (სეუ).**

საუკეთესო ფეხბურთელი – **კახა მაისაია (თსუ).**

მერაბ მამულაშვილი

● ლეგიონერი

მწვრთნელი მათესგან გოლებს ელის

რამდენიმე დღის წინ **მათე ვაწაძეს** 23 წელი შეუსრულდა და ეს თარიღი მისი კლუბის, ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ხელმძღვანელობას, სამწვრთნელო შტაბს, თანაგუნდელებსა და გულშემატკივრებს არ გამორჩენიათ.

კლუბის შეფებმა, ფეხბურთელებმა და ფანკლუბის წევრებმა მათეს დაბადების დღე "ვოლგას" ვებგვერდის მეშვეობით მიულოცეს. მის მიმართ თბილი სიტყვები არც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დმიტრი ჩერიშევმა** დაიშურა.

"მათე ძალიან კარგი ფეხბურთელი და ადამიანია. ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, მასთან მუშაობა უდიდესი სიამოვნებაა, რადგან ვაწაძე საკუთარ საქმეს უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება და მთელი საწვრთნელი პროცესის განმავლობაში მუხლჩაუხრელად შრომობს. ვულოცავ მას დაბადების დღეს და ბედნიერებას, ჯანმრთელობას და რაც შეიძლება ნაკლებ ტრავმას ვუსურვებ. მჯერა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მათეს საგოლე მადა გაეხსნება და შეუჩერებელი გახდება", - განაცხადა "ვოლგას" თავკაცმა.

იმედია, მისი სიტყვები გულწრფელია და მომავალშიც ენდობა ვაწაძეს. ბუნებრივია, ჩვენც გვაქვს იმის იმედი, რომ მათე ჯანმრთელადაც იქნება და გაისად რუსული პრემიერლიგის ბომბარდირებშიც გაერევა.

რუსეთის მიმდინარე ჩემპიონატში მათეს ანგარიშზე 20 მატჩი და 1 გოლია, რაც თავდამსხმელისთვის ნამდვილად არ არის შთამბეჭდავი მონაგარი, მაგრამ ფაქტია, რომ "ვოლგას" სამწვრთნელო შტაბს მისი სჯერა – სხვაგვარად, დანარჩენი ქართველებისგან განსხვავებით, გუნდში არ დაიტოვებდნენ.

"ვოლგა" პრემიერლიგაში ბოლოდან მესამე ადგილზეა და გაზაფხულზე უძლიერესთა შორის დასარჩენად იბრძოლებს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ვაწაძემ და კიდევ ერთმა ყოფილმა თბილისის დინამოელმა, ამჟამად არნემის "ვიტესის" კაპიტანმა **გურამ კაშიამ** "დინამოს" განახლებული საწვრთნელი ბაზა მოინახულეს და ნანახით აღფრთოვანებულები დარჩნენ.

ლევან ჯანეზაშვილი

მათე ვაწაძე

გამოსათხოვარი ანატოლი მილჩენკოს



უდიდესი გულისტკივილით ვეთხოვებით ანატოლი მილჩენკოს, ბორჯომში დაბადებულ, სოხუმში დავაჟკაცებულ უკრაინელ-ქართველს, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა აფხაზეთი და ერთი დღითაც არ მიუტოვებია ომის ქარცეცხლში გახვეული მისთვის უძვირფასესი სოხუმი. საქართველოს სიყვარულმა ათქმევინა უარი დევნილ კაცს შეთავაზებულ უკრაინის მოქალაქეობაზე და თავისი პროფესიით იქ სამსახურზე.

დაიბადა 1938 წლის 26 მარტს, 1956-65 წლებში ფეხბურთს თამაშობდა ბორჯომის, თბილისის და სოხუმის კლუბებში, 60-იან წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო მსაჯობა, 70-80-იან წლებში 14-ჯერ შედიოდა საკავშირო ათეულში. 1979 წელს გახდა ფიფას არბიტრი. პარალელურად მრავალი წელი იმუშავა ტურისტული სასტუმრო „სოხუმის" დირექტორად. 1994-98 წლებში დროებით ცხოვრობდა კიევში, მუშაობდა საქართველოს საელჩოში. 1998-2005 წლებში იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და ინსპექტორთა კომიტეტის თავმჯდომარე, მსაჯთა აკადემიის შექმნის ინიციატორი, 2000-2005 წლებში მისი რექტორი. 2005-2011 წლებში საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას" კონსულტანტი.

2011 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალგაზრდა არბიტრების მომზადების მენეჯერი.

დიდ საფეხბურთო არენებზე იმსაჯა 350-ზე მეტი, მათ შორის მრავალი მსოფლიო დონის მატჩი. აღზარდა ათეულობით თანამოსაქმე, რომელთა შორის ბევრი ატარებდა და დღესაც ღირსეულად ატარებს ფიფას არბიტრის მაღალ წოდებას.

სრულად ვიზიარებთ ლეგენდარული ფეხბურთელის, მურთაზ ხურცილავას სიტყვებს: „ჩვენთვის თავზარდამცემია ანატოლი მილჩენკოს გარდაცვალება. მან შეიტანა დიდი წვლილი არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ფეხბურთის განვითარებაში, ის იყო გამოჩენილი არბიტრი, კრისტალურად პატიოსანი და ამავე დროს ძალზე გულისხმიერი ადამიანი".

ანატოლის მგრძნობიარე გულმა ვერ გაუძლო აფხაზეთის დატოვების 20-წლიან ტკივილს, მან თან წაიღო მშობლიურ ქალაქში დაბრუნების ოცნება და იმედი.

ჩვენო ძვირფასო მეგობარო, გვჯერა, შენს პიროვნებას, საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო მსაჯს დავიწყება არ უწერია.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი საფეხბურთო მსაჯისა და ბრწყინვალე პიროვნების

ანატოლი მილჩენკოს

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს საუკეთესო საფეხბურთო არბიტრის

ანატოლი მილჩენკოს

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

საფეხბურთო კლუბი „გაგრა" ღრმა მწუხარებაით იუწყება, რომ 73 წლისა გარდაიცვალა ცნობილი საფეხბურთო მოღვაწე, ფიფას არბიტრი

ანატოლი მილჩენკო

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია" მწუხარებას გამოთქვამს

ანატოლი მილჩენკოს

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

საფეხბურთო კლუბი რუსთავის „მეტალურგი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ლეგენდარული არბიტრის

ანატოლი მილჩენკოს

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის (ფიფა) არბიტრი

ანატოლი მილჩენკო

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დასასრული. დასაწყისი ლელო №307 (13604)

● თემის გაგრძელება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმადლობთ, კაპიტანო!

შემოთავაზებული კომენტარები ჩაწერილია 2006 წელს, ანუ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ტიტულიან ფეხბურთელს კახა კალაძეს ჩემპიონთა ლიგა „მხოლოდ ერთხელ“ ჰქონდა მოგებული.

ალექსანდრე ჩივაძე

(საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი 1993-1996 და 2001-03 წლებში)

როგორც არ უნდა განვითარდეს **კახა კალაძის** შემდგომი საფეხბურთო კარიერა, ის უკვე ისტორიაშია შესული! დიახ, კახა ხომ პირველი ქართველი ფეხბურთელია, ვინც ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში გაიმარჯვა. აღარაფერს ვამბობ იმ ფაქტზე, რომ უკვე მერამდენე წელიწადია, რაც კახა კალაძე მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში, „მილანში“ თამაშობს. ასეთ აღიარებას კი თანამედროვე ფეხბურთში ერთეულები აღწევენ და მიხარია, რომ კახაც მათ შორის არის. არადა, შესაძლოა ბევრმა არც იცის, თუ რამხელა შრომა სჭირდება ფეხბურთელს, ათი წელიწადი სტაბილურად და, რაც მთავარია, მაღალ დონეზე იასპარეზოს.

... კარგად მახსოვს მისი პირველი გამოჩენა თბილისის „დინამოში“, როცა ყველასათვის უცხო ჭაბუკმა ფეხბურთელმა უპრობლემოდ დაიკავა ადგილი ძირითად შემადგენლობაში, თვალშისაცემი იყო მისი ჩინებული ფიზიკური მონაცემები და ნამდვილად არ გამკვირვებია, როცა ძალიან მალე საქართველოს ჭაბუკთა თუ ახალგაზრდულ ნაკრებებშიც დამკვიდრდა.

იმ პერიოდში საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვიყავი. ალბათ, ბევრი დამეთანხმება, რომ იმდროინდელი ჩვენი ნაკრები ნამდვილად არ განიცდიდა მაღალი კლასის შემსრულებლების ნაკლებობას. განსაკუთრებით კი დაცვის ხაზში, თუმცა კალაძის მზარდი ოსტატობა იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ 18 წლის ჭაბუკს თამამად ვენდე და ეროვნულ ნაკრებში გამოვიძახე. დიახ, ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ჩემი ხელმძღვანელობის დრო ჰქონდა კახას საქართველოს ნაკრებში დებიუტი, ისევე როგორც დღევანდელი ნაკრების სხვა ლიდერებს: **ლევან კობიაშვილს, ლევან ცქიტიშვილსა** და **გიორგი დემეტრაძეს**...

„მილანში“ იცვლებიან მწვრთნელები, ფეხბურთელები, კალაძეს კი კვლავაც ხელშეუხებლის სტატუსი აქვს. მაღალი პროფესიონალიზმისა და სტაბილური თამაშის გამოც იყო, ჩვენს თანამემამულეს უდიდესი პატივი რომ ხვდა წილად - „მილანის“ ვიცე-კაპიტნობა! თანაც, არაიტალიელისათვის ასეთი რამ ერთობ იშვიათი შემთხვევაა.

... კახას ბევრი პლუსი აქვს, რამეთუ ერთნაირი წარმატებით შეუძლია ითამაშოს ერთდროულად რამდენიმე პოზიციაზე. თუმცა, ჩემი აზრით, მისთვის ყველაზე შესაფერისი ადგილი დაცვის ცენტრშია. კახას ყველა ის თვისება აქვს, თანამედროვე ცენტრალურ მცველს რომ უნდა ახასიათებდეს: ათლეტურია, კარგად ირჩევს პოზიციას, თავით ჩინებულად თამაშობს, წარმატებით შეუძლია ნებისმიერი მეტოქის ნინაალმდეგ პერსონალური მეურვეობა; მოკლედ, დაცვის ბურჯია. თუმცა, უფრო მეტიც შეუძლია და ჩემი დიდი სურვილია, რომ იერიშებშიც ხშირად ჩაერთოს ხოლმე.

... კახა საქართველოს ნაკრების კაპიტანია და ამით ყველაფერი ნათქვამია. აქვე, კეთილი სურვილით ვურჩევ, რომ საქართველოს ნაკრებში ასპარეზობისას უფრო მომთხოვნი იყოს თანაგუნდელების მიმართ. ანუ, როგორც ლიდერს შეეფერება, მოედანზე მოთამაშე-მწვრთნელის ფუნქციაც უნდა შეასრულოს — ხანდახან, ვილაცას უნდა შეუძახოს, ვილაცას - შეუფუცხუნოს. ისე კი, ვინც კახას იცნობს, დამეთანხმება, რომ ამხელა აღიარებისა და უამრავი ტიტულის მოპოვების მიუხედავად, იგი ისეთივე თავმდაბალ და მოკრძალებულ ადამიანად რჩება, როგორიც თავისი ჩინებული კარიერის დასაწყისში იყო...

ნოდარ ახალაცი (უმცროსი)

(საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი 2005-2009 წლებში)



... თუ არ ვცდები, 1993 წელი იყო, მისი სახელი და გვარი პირველად რომ გავიგე. ის დროა, პირველად ჩამოყალიბდა საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები, რომლის მთავარი მწვრთნელი **გაიოზ დარსაძე** გახლდათ. მამაჩემის, **ნოდარ ახალაცი-უფროსის** მითითება იყო, რომ ნაკრებში რაც შეიძლება მეტი ჯანიანი და ტანმაღალი ჭაბუკი მოხვედრილიყო. დარსაძემ სასელექციოდ მუშაობა მთელი საქართველოს მასშტაბით გასწია და ასე აღმოაჩინა სამტრედიაში 15 წლის კახა კალაძე. სხვათა შორის, ნაკრების პირველივე შეკრებაზე გამოჩნდა, რომ ნიჭიერი თობა მოდიოდა (**ალექსანდრე იაშვილი, მიშა ასათიანი** და სხვები); კალაძეს ფიზიკური მონაცემებით მამაჩემი იმდენად მოიხიბლა, ნაკრების მწვრთნელებს დაავალა, სამტრედიელი ჭაბუკი ყოველდღიური მეთვალყურეობის ქვეშ რომ ყოფილიყო. რასაკვირველია, მამის თვალს არ გამოპარვია სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელის უდიდესი პოტენციალი. არადა, შესაძლოა, ბევრმა არც დაიჯეროს, მაგრამ ჭაბუკთა ნაკრების პირველივე შეკრების შემდეგ კალაძეს შინ, სამტრედიაში უნდოდა დაბრუნება — დიდი დატვირთვები იყო და ვერ გაუძლო. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და დარსაძეც „ჯიუტად“ ენდობოდა; კარგად მახსოვს, როგორ წნეხში მოექცა მაშინ გაიოზ დარსაძე: ზოგიერთ ქართველ სპეციალისტს ვერაფრით აეხსნა, თუ რა დამსახურებით იყო საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებში კახა კალაძე; ზოგი იმასაც ამბობდა, რომ სამტრედიელი ჭაბუკი ნაკრებში პროტექციით იყო მოხვედრილი - ალბათ, იმას გულისხმობდნენ, რომ კახას მამა, ბატონი **კარლო** და მამაჩემი დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ. და აი, როცა ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის თამაშები დაიწყო, ყველამ ნათლად დაინახა, რომ ჩვენს გუნდს ჭეშმარიტი ლიდერი ჰყავდა კახა კალაძის სახით!

... კახა მალე თბილისის „დინამოს“ სრულუფლებიანი ნევრი გახდა, რასაც მოჰყვა ყველა ფეხბურთელის ოცნება — ეროვნულ ნაკრებში მიწვევა! მისი დებიუტი კარგად მახსოვს: სტუმრად, კვიპროსის ნაკრებთან შეხვედრაში შეცვლაზე შემოვიდა. იმ დროს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო განყოფილებაში ვმუშაობდი და ჩვენს ნაკრებს თან ვახლდი. მატჩის მერე მამაჩემი ჩვენი ნაკრების გასახდელში შევიდა და კახა კალაძეს საჯაროდ მიულოცა ნაკრებში დებიუტი. ვინც მამას იცნობდა, დამეთანხმება, რომ მას არ უყვარდა ცალკეული ფეხბურთელების გამოყოფა, მით უფრო, დებიუტანტების...

მარცხნიდან: კახა კალაძე, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, გიორგი დემეტრაძე, გოჩა ჯამარაული

... წინგადადგმულზე მეტი იყო ის ნაბიჯიც, კახა კიევის „დინამოში“ რომ გადავიდა. საფეხბურთო ენაზე რომ ვთქვათ, აქ კარგი „მასალა“ იყო, რომელსაც დახვენა სჭირდებოდა. მამას და კიევის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს **ვალერი ლობანოვსკის** დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდათ და როცა უკრაინული გუნდი კალაძის შეძენით დაინტერესდა, მამამ თავის უკრაინელ კოლეგას სასურველი რეკომენდაცია გაუწია. ლობანოვსკი რა დონის სპეციალისტი იყო, ვფიქრობ, ზედმეტია ამაზე საუბარი. ჰოდა, როცა ასეთი აღიარებული მწვრთნელი ამა თუ იმ ფეხბურთელის შეძენას მოითხოვდა, ესე იგი, მასში უდიდეს პოტენციალს ხედავდა.

... ფეხბურთში ზოგს მიაჩნია, რომ წარმატებული კარიერისათვის საჭიროა 90 პროცენტი ნიჭი და 10 პროცენტი შრომა. არადა, თანამედროვე ფეხბურთი ისე ვითარდება, რომ ზემოხსენებული ვარაუდი მცდარზე მეტია. ისევ მამაჩემის სიტყვები მინდა გავიხსენო, როცა ამბობდა, რომ სერიოზული მიზნების მისაღწევად ნიჭის ხუთი პროცენტიც საკმარისი იქნებოდა, ოღონდ, დარჩენილი 95 პროცენტი შრომისმოყვარეობა (ანუ, ვარჯიში) უნდა ყოფილიყო. კახას 5 პროცენტს როგორ ვაკადრებ, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ მან რასაც მიაღწია, ეს იყო უდიდესი შრომის ფასად. დიახ, ვარჯიშის, შრომისა და ხასიათის სიმტკიცით მიაღწია იმას, რომ იწოდებოდეს დიდ ფეხბურთელად.

... ალბათ, წლები გავა და, იქნებ, მერე მაინც დავფიქრდეთ ქართველები იმ ფაქტზე, რომ ჩვენი თანამემამულე „მილანში“ თამაშობდა. არ ვიცი, სხვა როგორ შეაფასებს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს მოვლენაა!..

კახა ცხადაძე

(საქართველოს ნაკრების პირველი კაპიტანი)

დღესაც ბევრს მიაჩნია, რომ ჩვენს თაობას უფრო მეტისთვის უნდა მიეღწია. ჩემი აზრით, ერთადერთი, საერთაშორისო ასპარეზზე გამოცდილება გვაკლდა, თორემ ჩვენს ნაკრებში თითქმის ყველა პოზიციაზე ერთიმეორეზე უკეთესი ფეხბურთელები თამაშობდნენ. კონკურენციაც სერიოზული იყო და აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მონაცემების მქონე ახალბედა თუ შეძლებდა ნაკრებში მოხვედრას. აი, **კახა კალაძეში** კი, ეტყობა, ყველა ეს მონაცემები კარგად დაინახა ჩვენი ნაკრების მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრე ჩივაძემ** და ბევრისთვის უცნობ ჭაბუკ ფეხბურთელს თამამად ენდო. 1996 წლის 27 მარტს კვიპროსის ნაკრებს სტუმრად ვეთამაშებოდით და მეორე ტაიმში შეცვლაზე კახა კალაძე შემოვიდა. 18 წლის ბიჭისათვის ეს დებიუტი იყო და მინდა გითხრათ, რომ ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. დაცვაში ჩემი და **მურთაზ შელიას** გვერდით დაიკავა ადგილი და მოედანზე რა დროც დაჰყო, შეცდომა არ დაუშვია. აი, სწორედ მაშინ გავიცანი კახა და მაშინვე თვალში მომხვდა მისი ჩინებული ფიზიკური მონაცემები. სამწუხაროდ, გარკვეული პერიოდი ნაკრებში აღარ იძახებდნენ; არადა, მისი დიდი პოტენციალიდან გამომდინარე, უფრო მეტი და მეტი თამაში უნდა მიეცათ; თანაც, ჩემს და შელიას გვერდით ასპარეზობისას უფრო მეტ გამოცდილებასაც შეიძენდა. კიდევ კარგი, რომ ამ ფაქტის გამო კახას თამაშს რეგრესი არ დასტყობია, პირიქით, „დინამოში“ უკვე ძირითად ფეხბურთელად ჩამოყალიბდა და წელიწადნახევრის შემდეგ ნაკრებში ისევ გამოიძახეს. თბილისში იტალიის ნაკრებთან მატჩი ხომ ახალგაზრდა მცველის ბენეფისად იქცა! მატჩის დასაწყისშივე სერიოზული ტრავმა მივიღე და შესაცვლელი გავხდი; ჩემს ნაცვლად კი კალაძე შემოვიდა და 19 წლის ბიჭმა მართლაც ზღაპრული მატჩი ჩაატარა.

... ნამდვილად არ გამკვირვებია, იტალიასთან მატჩის შემდეგ კალაძის შეძენით კიევის „დინამო“ რომ დაინტერესდა. ვის-ვის და **ვალერი ლობანოვსკის** ფეხბურთელის შერჩევა არ შეეშლებოდა.

...ხშირად მომისმენია, კალაძე „მილანში“ რომ ბრნყინავს, საქართველოს ნაკრებში უფრო შთამბეჭდავად რატომ არ გამოიყურებაო... შესაძლოა, ამ საკითხზე ჩემი მოსაზრება ბევრს არ მოეწონოს, ან, სულაც ეწყინოს, მაგრამ მაინც ვიტყვი: კალაძეს საქართველოს ნაკრებში, სულ ცოტა, ორი-სამი მაღალი კლასის პარტნიორი სჭირდება; მით უმეტეს, რომ საქართველოს ნაკრებში, უფრო ხშირად, ცენტრალურ მცველად უწევს თამაში და ამ პოზიციაზე აუცილებელია, რომ თავისივე დონის ფეხბურთელი ჰყავდეს. გავიხსენოთ, „დინამოში“ **ალექსანდრე ჩივაძე** და **შოთა ხინჩაგაშვილი** რა „დუეტს“ ქმნიდა;

...კალაძე-ფეხბურთელმა თავის კარიერაში ძალიან ბევრი ტიტული მოიგო, მაგრამ უფრო მეტი წინ ელოდება. ამის თქმის საბაბს კი მისი უდიდესი შრომისმოყვარეობა და მიზანდასახულობა მაძლევს. მოკლედ რომ ვთქვა, სერიოზული დონის ფეხბურთელია და სერიოზულ გუნდშიც თამაშობს. ძალიან მინდა, რომ იტალიის ჩემპიონატში სხვა ქართველმა ფეხბურთელმაც ითამაშოს, მაგრამ მეეჭვება, რომ უახლოეს მომავალში ეს ნატვრა ახდეს. არა უშავს, კახა კალაძე ხომ გვყავს „მილანში“ და, ალბათ, მერე უფრო მივხვდებით, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს ქართული ფეხბურთისათვის...

მურთაზ შელია

(საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი 1991-1998 წლებში)

თავიდანვე ვიტყვი: — **კახა კალაძე** ევროპული დონის მოთამაშეა! კაცი რომ „მილანში“ ითამაშებს, ამით ყველაფერია ნათქვამი და დიდი სურვილი მაქვს, მისი ისედაც წარმატებული კარიერა კვლავაც გაგრძელდეს. არადა, ათი წლის წინ ვინმე იფიქრებდა, რომ ქართველი ფეხბურთელი იტალიის ჩემპიონი გახდებოდა ან ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვებდა? კახამ კი ეს ყველაფერი შესძლო და ალალია კიდეც...

... „დინამოში“ რომ მოიყვანეს, სრულიად ჭაბუკი იყო; მაშინათვე ეტყობოდა, დიდი ფეხბურთი უ[illegible] და ეთამაშა — ჩინებული ფიზიკური მონაცემები ამის წინაპირობას იძლეოდა. სანაკრებო დებიუტიც კარგად მახსოვს — 18 წლისამ კვიპროსის ნაკრების წინააღმდეგ რომ ითამაშა. თუმცა ქართველ ქომაგთა უმრავლესობამ კახა კალაძე მაშინ გაიცნო, როცა თბილისში იტალიის ნაკრებს ვეთამაშებოდით. ეს მატჩი, ალბათ, ბევრს ახსოვს — შეხვედრის დასაწყისშივე მძიმე ტრავმა მიიღო ჩვენი ნაკრების კაპიტანმა და დაცვის ცენტრში ჩემმა საუკეთესო პარტნიორმა **კახა ცხადაძემ**. და აი, მის ნაცვლად, ასეთ მრისხანე მეტოქესთან პაექრობაში მოედანზე კახა კალაძე გამოვიდა! გამოვიდა და მართლაც ზღაპრულად ითამაშა — იტალიის ნაკრებისა და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელს **კრისტიან ვიერის** ფეხი არ გაანძრევინა!

...ქართველებს ხშირად ცუდი თვისება გვჭირს — ჩვენიანის შესაძლო წარმატებას სკეპტიკურად ვუცქერით ხოლმე. კალაძის შემთხვევაშიც მესმოდა ზურგსუკან ქირქილი: კი, წავიდა „მილანში“, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე მოუნევს ჯდომაო. საბედნიეროდ, ამ ოპონენტების ვარაუდი არ გამართლდა და თავის სადებიუტო სეზონშივე ყველას დაუმტკიცა, რომ „მილანში“ „შემთხვევითი კაცი“ არ იყო. თანაც, კიევში შეძენილი უნივერსალური თვისებები იტალიაში უფრო უკეთ წარმოაჩინა — „მილანშიც“ ერთნაირი წარმატებით თამაშობდა სხვადასხვა პოზიციაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ „მილანში“ ყოფნის დროს ამ გუნდს მწვრთნელი რამდენჯერმე შეეცვალა, თუმცა ვინც არ უნდა მისულიყო, ქართველი ფეხბურთელის კვალიფიკაციას ეჭვქვეშ არავინ აყენებდა.

...უნივერსალობა ვახსენეთ და ჩემი სუბიექტური აზრით, კახასთვის ყველაზე ოპტიმალური მაინც დაცვის ცენტრში თამაშია. ჯანიც აქვს, თამაშსაც „კარგად კითხულობს“, პოზიციას ჩინებულად ირჩევს, საჰაერო ორთაბრძოლებშიც ძლიერია და ცენტრალურ მცველს მეტი რაღა მოეთხოვება?..

...ქართველი ქომაგი ძალიან მომთხოვნია. ვერც გაამტყუნებ — მოენატრა ხალხს დიდი გამარჯვებები. მოკლედ, საქართველოს ნაკრებზე ვსაუბრობ და არ მინდა ვინმეს ეწყინოს, მაგრამ რეალობას ვერსად გავექცევით — სამწუხაროდ, კახა კალაძეს გვერდით თავისივე დონის პარტნიორები არა ჰყავს. იქ, „მილანში“ რამე რომც შეეშალოს, პარტნიორები დააზღვევენ; ანდა, პირიქით — **მალდინი** ან **ნესტა** რომ შეცდნენ, კალაძე დააზღვევს; საქართველოს ნაკრებში თამაშისას კი კახას შეცდომის უფლება არა აქვს. ანუ, რაც მის სხვა თანაგუნდელს ეპატიება, მას არ აპატიებს ქართველი ქომაგი...

...მეშვიდე წელია, რაც საფეხბურთო კარიერა დავასრულე, მაგრამ კახასთან დღემდე ახლო მეგობრობა მაკავშირებს. არ დაგიმალავთ, ვამაყობ კიდეც ამით — კახა კალაძე ხომ ქართული ფეხბურთის სახეა. თანაც, ისიც მინდა ყველამ გაიგოს, რომ ასეთი პოპულარობის მიუხედავადა, კახა მეტისმეტად თავმდაბალი, უბრალო ადამიანია.

... რამდენიმე ხნის წინ მილანში კახასთან სტუმრად ვიყავი. ასე რომ, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, თუ როგორ უყვართ და აფასებენ კლუბშიც და ქალაქშიც; ამის მიზეზი კი ერთობ მარტივი ასახსნელია — კახა კალაძე „მილანის“ რიგითი ნევრი კი არა, ერთ-ერთი ვარსკვლავია!..

გია ტუხაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XIX ტურის წინ

დღეს

ლივერპული-ნიუკასლი 23:45

ტრანსმა: ლეივა – რანგერი, სენტონი, ლოვენკრანდსი, გოსლინგი, გათრი, ს. ტეილორი, მარვო

არსენალი

ანრი ლონდონში

„არსენალმა“ როგორც იქნა გადადგა ნაბიჯი — ჩრდილოლონდონელებმა **ტიერი ანრის** ორთვიანი იჯარა შესთავაზეს. „მეთოფეთა“ მწვრთნელი, **არსენ ვენგერი** ბოლო წამამდე ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, მიემართა თუ არა დახმარებისთვის 34 წლის ვარსკვლავისთვის, რომელიც, მოგეხსენებათ, „არსენალის“ ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირია. საბოლოოდ, როგორც ხედავთ, ვენგერმა პრემიერლიგის ოთხეულში დამკვიდრებისთვის ბრძოლა ანრის დახმარებით ამჯობინა, რაც აი, რამ გადაწყვეტინა: მალე აფრიკაში კონტინენტის თასის გათამაშება დაიწყება და ჩრდილოლონდონელთა ორი თავდამსხმელი, **მარუან შამახი** და **ჟერვინიო** თავიანთი ქვეყნების ნაკრებ გუნდებში მიემგზავრებიან. გამოდის, რომ მაროკოელისა და კოტ დ'ივუარელის არყოფნაში „არსენალის“ თავდასხმაში ჰოლანდიელი **რობინ ვან პერსი** მარტო რჩება.

ანრი ბოლო დღეებში მექსიკაში იყო დასასვენებლად, საიდანაც ამ კვირაში დაბრუნდა. შეგახსენებთ, რომ ანრის ამერიკული „მეიჯორ ლიგ სოკერის“ გუნდ „ნიუ იორკ რედ ბულზთან“ 4,5 მილიონდოლარიანი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, მაგრამ შტატებში ამჟამად სეზონებს შორის პერიოდია და ფრანგს იქ მარტამდე არაფერი ესაქმება. ისიც კარგად გეცოდინებათ, რომ შესვენების პერიოდში ფორმის შესანარჩუნებლად ანრი თავის ყოფილ კლუბ „არსენალში“ ვარჯიმობდა.

ინგლისურმა გაზეთებმა დათვალეს, რომ „არსენალის“ საუკეთესო თავდამსხმელსა და უკვე ლეგენდას შეუძლია პრემიერლიგის შვიდ შეხვედრაში მიიღოს მონაწილეობა. გარდა ამისა, არის შანსი, მან ითამაშოს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის შეხვედრებში და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ მატჩში „მილანის“ წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ლონდონში სავარჯიშოდ ჩასულმა ვეტერანმა „მეთოფეებზე“ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ყველამ ერთხმად მოითხოვა მისი დატოვება. „არსენალის“ ბანაკში სწამთ, რომ ანრი მათ ოთხეულში მოხვედრაში დაეხმარება.

„არსენალის“ ყოფილ კაპიტანს 1999-2007 წლებში 226 გოლი აქვს გატანილი და პრემიერლიგის ჩემპიონის ორი ტიტული აქვს მოპოვებული.

ანრიმ ყველაზე დიდი ეფექტი **ალექს სონგსა** და 27 წლის გერმანელ მცველ **პერ მერტეზაკერზე** მოახდინა. მერტეზაკერმა თქვა:

„მისი დამატება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ მე მწვრთნელი არ ვარ. არადა, უნდა ნახოთ, როგორ ფორმაშია ანრი. მასთან ერთად ვარჯიში უდიდესი გამოცდილების შეძენას ნიშნავს“.

მერტეზაკერი კიდევ ერთ სატრანსფერო საქმეშია „გარეული“: ამბობენ, რომ ვენგერს იანვარში 26 წლის გერმანელი თავდამსხმელის, **ლუკაშ პოდოლსკის** ყიდვა უნდა და მეგობართან სწორედ მერტეზაკერს არეკინებს. მცველი ამას არც უარყოფს:

„რასაკვირველია, ლუკაშს ვურეკავ ხოლმე. ის შესანიშნავი ფეხბურთელია, უამრავი გოლი გააქვს. მას მარცხენა ფეხით დიდებულად შეუძლია თამაში“.

შოტლანდია

სელტიკი ლიდერია!

შოტლანდიაში „ოლდ ფირმ დერბი“ ანუ „სელტიკისა“ და „გლაზგო რეინჯერსის“ შეხვედრა გაიმართა — „სელტიკმა“ 1:0 მოიგო, სქოთთა პრემიერლიგის ცხრილის სათავეში მოექცა და მწვრთნელმა **ნილ ლენონმა** განაცხადა, რომ ასეთი ბედნიერი ახალი წელი ცხოვრებაში არ ჰქონია. შეხვედრის ერთადერთი გოლი თავური დარტყმით 24 წლის უელსელმა ნახევარმცველმა, **ჯოი ლედლიმ** გაიტანა და გუნდი მთავარ კონკურენტზე ორი ქულით მაღლა მოაქცია.

ლენონმა თქვა: *„ასეთი ბედნიერი შობა და ახალი წელი არასდროს მქონია. მართალი გითხრათ, 25 დეკემბერს გემრიელად ვერ შევხვდი, რადგან ვიცოდი, რომ ორიოდ დღეში „რეინჯერსთან“ თამაში მელოდა და ვნერვიულობდი, მაგრამ ახლა უკვე ბედნიერი ვარ. ჩემმა გუნდმა მართლაც კარგი ფეხბურთი ითამაშა და მიხარია, რომ ბოლოხანს სტაბილურებიც გავხდით. ამ ეტაპზე ფეხბურთელებს მეტს ველარაფერს მოვთხოვ. ისინი საუცხოოდ თამაშობენ.*

ისეთ შეხვედრებში, ჩვენი და „რეინჯერსისა“ რომ გახლდათ, პირველი გოლის გატანა ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. საბედნიეროდ, ჩვენ ეს შევძელით და მთელი შეხვედრის განმავლობაში უპირატესობა ჩვენს მხარეზე იყო. აქვე უნდა დავძინო, რომ „რეინჯერსი“ შესანიშნავად იცავდა თავს“.

ლენონმა დასძინა, რომ მას თავისი გუნდის შესაძლებლობებში ეჭვი არასოდეს შეჰპარვია, ნოემბერშიც კი, როდესაც „რეინჯერსი“ 15 ქულით წინ იყო.

„ძლიერი გუნდი გვყავს, თუმცა სეზონის დასაწყისში ძალიან არასტაბილურად გამოვდიოდით. ამის მიუხედავად, მაშინვე მწამდა, რომ ჩვენი ჩამოტოვება იოლი საქმე არ იყო. გულწრფელად გეტყვით, მეგონა მდგომარეობის გამოსასწორებლად მეტი დრო დაგვჭირდებოდა და ძალიან სასიხარულოა, რომ საახალწლოდ ლიდერები გავხდით. ახლა, მთავარია, ასეთი ფორმა შევინარჩუნოთ“.

ჩელსი

ვილაშ-ბოაშს არაფერი ემუქრება

„ჩელსის“ მწვრთნელ **ანდრე ვილაშ-ბოაშს** უთხრეს, რომ როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები პრემიერლიგის მიმდინარე ჩემპიონატში, მას თანამდებობას არ დაატოვებინებენ. დასავლეთლონდონელთა მეპატრონემ, **რომან აბრამოვიჩმა** განაცხადა, რომ ბოლოდროინდელი გულდასაწყვეტი შედეგების მიუხედავად, ის 34 წლის პორტუგალიელ სპეციალისტს ენდობა.

„ბოქსინგ დეიზე“, „ფულჰემთან“ 1:1-ის შემდეგ, ვილაშ-ბოაშმა პრემიერლიგის შარფი მოისროლა და ამ საქციელით ბევრი გულშემატკივარი გააკვირვა. გარდა ამისა, მან „ჩელსის“ რამდენიმე მილიონერ ვარსკვლავს „აუწია ყური“ — ათამაშა სახეცვლილი შემადგენლობა, რასაც არ ელოდნენ. თუმცა, ყველა ამ ისტორიაში მეპატრონემ მწვრთნელის მხარე დაიჭირა და ნათლად თქვა, რომ მომავალ ზაფხულს პორტუგალიელ სპეციალისტს სატრანსფერო ბაზარზე გასვლისა და შემადგენლობის გადახალისების სრული შესაძლებლობა მიეცემა.

სავარაუდოდ, **ნიკოლა ანელკას** და **ალექსის** გზას დაადგებიან ანუ „სტემფორდ ბრიჯს“ დატოვებენ **ფრენკ ლემპარდი, დიდიე დროგბა, ფლორან მალუდა, ჯონ ობი მიკელი** და **სალომონ კალუ**. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავად რომან აბრამოვიჩმა შეცვალა ბევრი რამისადმი დამოკიდებულება — კერძოდ, ადრე, როდესაც „ჩელსის“ წინა მწვრთნელებს, **კლაუდიო რანიერის, ლუიშ-ფელიპე სკოლარის** ან **ავრამ გრანტს** რომელიმე წამყვან მოთამაშესთან კონფლიქტი მოუვიდოდა, აბრამოვიჩი ულაპარაკოდ ფეხბურთელის მხარეზე დგებოდა, ახლა კი ასე აღარაა. რუსი მილიარდერისთვის ცხადი გახდა, რომ „ლურჯების“ მობერებულ გუნდს გადახალისება სჭირდება. გარდა ამისა, ამბობენ, რომ აბრამოვიჩს მეტისმეტად მოეწონა პორტუგალიელი მწვრთნელის ჯიქური დამოკიდებულება ფეხბურთელებისადმი — მართალია, „ლურჯების“ გასახდელში საქვეყნოდ ცნობილი და უმდიდრესი ვარსკვლავები არიან თავმოყრილი, მაგრამ ვილაშ-ბოაში მათ არასდროს მორიდებია, სათქმელს ყოველთვის მკვახედ ამბობს ხოლმე.

მოგეხსენებათ, დღეისათვის „ჩელსი“ პრემიერლიგის ცხრილში მეოთხე ადგილზეა, დანინაურებულ მანჩესტერულ გუნდებს, „სიტისა“ და „იუნაიტედს“ 11 ქულით ჩამორჩება. საინტერესოა, რომ იტალიელი მწვრთნელი, **კარლო ანჩელოტი**, კაცი, რომელმაც „ჩელსი“ პირველ სეზონში ინგლისის ჩემპიონი გახადა, გასულ ზაფხულს აბრამოვიჩმა მხოლოდ იმიტომ გააგდო, რომ მან ვერანაირი ტიტული ვერ მოიპოვა, ვილაშ-ბოაშის შემთხვევაში კი, მილიარდერი ამბობს, ჩემპიონატი როგორც არ უნდა დამთავრდეს, მის სამსახურს არაფერი ემუქრებაო.

ზემოთ ვახსენეთ, რომ „ჩელსის“ ვეტერანი ფეხბურთელები ნელ-ნელა დატოვებენ კლუბს. ასე მაგალითად, 33 წლის **დიდიე დროგბას** მომავლის კონტურები ნელ-ნელა იკვეთება — კოტდივუარელს აგერ უკვე მესამე ჩინური კლუბი მიადგა. „დელაიან აერბინისა“ და „შანხაი შენხუასგან“ დროგბამ ენითაუწერელი წინადადება მიიღო — ოღონდ ჩვენთან გადმოდი და კვირაში 200 ათას ფუნტს გადაგიხდითო. ახლა ჯერი ჩინეთის ჩემპიონ „გუანგჟუ ევერგრანდეზეა“. ინგლისური გაზეთები დაბეჯითებით წერენ, რომ ეს კლუბი კონკურენტების შეთავაზებაზე უფრო შთამბეჭდავ წინადადებას ამზადებს. მოგეხსენებათ, დროგბას „სტემფორდ ბრიჯზე“ ექვსი თვეღა დარჩა გასატარებელი. ახალ, ერთწლიან ხელშეკრულებაზე ის უარს ამბობს.

ნიუკასლი

ენდის დაპიბრუნებ!

„ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელი, **ალან პერდიუ** შეეცდება 22 წლის თავდამსხმელი, **ენდი ქეროლი** დაიბრუნოს. მოგეხსენებათ, ქეროლმა „ლივერპულში“ 35 მილიონ ფუნტად გადასვლის შემდეგ ანუ თითქმის ერთ წელიწადში, ხუთად ხუთი გოლი გაიტანა. არადა, ლაპარაკია თავდამსხმელზე, რომელიც ინგლისური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად იყო მიჩნეული.

შეადარეთ: 26 წლის სენეგალელმა ფორვარდმა, **დემბა ბამ** აგვისტოს მერე ანუ, რაც ქეროლი შეცვალა და „კაჭკაჭთა“ გუნდის წევრი გახდა, უკვე 14 გოლი შეაგდო... მაგრამ, პერდიუ ძველი ვარსკვლავის დაბრუნების იდეას მაინც არ ეშვება. ნიუკასლელთა მწვრთნელმა თქვა:

„არავის უნდა დიდი ფეხბურთელის დაკარგვა და არც ჩვენ მივესალმებოდით ენდის სადმე გაყიდვას. შანსი თუ მომეცა, ქეროლს აუცილებლად დავიბრუნებ. ამას დიდი სიამოვნებით დღესვე გავაკეთებდი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, „ლივერპული“ მის სანაცვლოდ დიდ თანხას ითხოვს“.

დღეს მიმომხილველები ცდილობენ გააანალიზონ ქეროლის მდგომარეობა და მიხვდნენ, რატომ ვერ გააქვს თავდამსხმელს „ლივერპულში“ გოლები ისევე, როგორც „ნიუკასლში“. რასაკვირველია, მთავარი დამნაშავე იმაში, რომ ქეროლი „წითელი“ მაისურით მხოლოდ 14 შეხვედრაში მოხვდა სასტარტო შემადგენლობაში, ტრავმებია. პერდიუმ დასძინა:

„ნებისმიერი თავდამსხმელისთვის აუცილებელია შემადგენლობაში რეგულარული ყოფნა. ენდი დიდებული ბიჭია. მე ის ძალიან მომწონს და გული დამწყდა ბოლო შეხვედრაში ინგლისის ნაკრებში რომ არ გამოიძახეს. მას შეუძლია ეროვნული გუნდის მთავარი ცხრა ნომერი გახდეს. ახლა, ახალ გარემოსთან შეგუების პროცესშია. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად ექნება“.

„ნიუკასლში“ თამაშის პერიოდში ქეროლმა 60 შეხვედრაში 33 გოლი გაიტანა და 2009 წელს გავარდნილი გუნდი ერთ წელიწადში დააბრუნა პრემიერლიგაში. ისევ პერდიუ:

„ენდი ახალგაზრდა ფეხბურთელია, ახალგაზრდებს, განსაკუთრებით კი თავდამსხმელებს, საკუთარი თავის რწმენა სჭირდებათ. ხანდახან, მწვრთნელმა ახალგაზრდა ფორვარდი წარუმატებელი პერიოდის მიუხედავად მაინც უნდა ათამაშოს ძირითად შემადგენლობაში. გარწმუნებთ, ქეროლს საუკეთესო წლები წინ აქვს“.

ახლა კი ქეროლს თავი დავანებოთ და ისა ვთქვათ, რისი ეშინია პერდიუს — მოდის სატრანსფერო პერიოდი და ბაზარზე დიდი კლუბები ფულით სავსე ქისებით გამოდიან. განა, გაუძლებს „კაჭკაჭთა“ კლუბი ცდუნებას და არ გაყიდის იმავე დემბა ბას, **ჩეიკ ტიოტეს** ან **იოან კაბაიეს**?

„რასაკვირველია, შეიძლება კატეგორიულად განაცხადო, რომ არანაირი ბიზნეს გარიგება არ გჭირდება და სატრანსფერო ბაზრის ბოლონამს ფულის მოხვეჭას არ აპირებ, მაგრამ მოვა უცბად ვილაც ძალიან მდიდარი და აურაცხელ ფულს შემოგთავაზებს. ვფიქრობ, „მანჩესტერ სიტის“ თავკაცის, რობერტო მანჩინის გარდა, ფეხბურთელის დაკარგვის საშიშროება პრემიერლიგის ყველა მწვრთნელს ემუქრება“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● აიაქსი. სეზონის I ნახევრის შეჯამება

ნამდვილი ეპიდემია

და ყოველივეზე დე ბურის დაგვიანებული რეაქცია

ჰოლანდიურმა ვებგვერდმა Parool.nl-მა ერედივიზიში "აიაქსის" მიერ განვლილი სეზონის 1-ელი ნახევარი შეაჯამა. ჰოლანდიური ფეხბურთის გრანდს ჩვენს ქვეყანაში მრავალი გულშემატკივარი ჰყავს. მიგვაჩნია, რომ მათთვის ეს სტატია ნამდვილად საინტერესო იქნება.

სეზონის პირველი ნახევარი შორს იყო "აიაქსის" შესახებ საინფორმაციო ბლოკადისგან. მრავლად ვრცელდებოდა ხმები საგანგაშო მოვლენების, გაუგებრობების, განცხადებების, პრესკონფერენციებისა და საქმის გარჩევების შესახებ. ჟურნალისტებს იმის საფუძველი ეძლეოდათ, რაც ყველაზე მეტად უყვართ – სხვის თეთრეულში იქექებოდნენ. მთელ ამ ხმაურს ყურადღება უმთავრესი პრობლემისგან შორს გადაჰქონდა. დღევანდელი "აიაქსის" თამაშის ხარისხი (მათ შორის გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგებიც) ცალკე საწერი თემაა. ეს ყველაფერი ერთ კონკრეტულ გარემოებამდე მიდის, რომელიც თითქოს შეუმჩნეველია, მაგრამ ხშირად დიდ როლს თამაშობს – ეს არის ტრავმები. სწორედ ამიტომ ხდება, რომ "აიაქსის" თამაში არ არის ისეთი, რისი ხილვაც მის გულშემატკივარს სურს, ხოლო მოთამაშეებსა და მწვრთნელებს – ჩვენება.

ტრავმები – ეს ის თემაა, რომელზეც ძნელია მსჯელობა, თუკი ინფორმაციას სრულად არ ფლობ. მოსაწყენი ფრაზები გაზეთებში გამოქვეყნებული ინფორმაციებიდან – მყესების გაწყვეტა, ზურგის ტრავმა, კოჭის დაზიანება და ასე შემდეგ, ცარიელ სიტყვებად რჩება, რომლისაც არაფერი გესმის. მიზეზი გასაგებია, რადგან გულშემატკივრის აბსოლუტური უმრავლესობა არ არის ჩახედული სპორტულ მედიცინაში. გაზეთებში ამოკითხული ნაგლეჯები შეიძლება მხოლოდ წარმოვიდგინოთ და ისე განვსაჯოთ. მაშ ასე, რიგითი გულშემატკივრისთვის ფეხბურთში "არსებობს" სამი სახის ტრავმა: 1. სათანადოდ არ მოითელა და დაიჭიმა; 2. მეტოქემ ჩაარტყა. 3. ფეხი დაუცდა და იტკინა.

ახლა შემოგთავაზებთ სიას, აიაქსელებიდან, ვის რა აწუხებდა სეზონის დაწყების დღიდან:

ბოილესენი – ბარძაყის უკანა კუნთის გაწყვეტა; **დე იონგი** - ბარძაყის წინა კუნთის დაჭიმვა; **იანსენი** – ბარძაყის ზედა მხარე, გაციება; **ბულიკინი** – ბარძაყის კუნთის დაჭიმვა, ჯვარედინი იოგების მიკროტრავმა; **ბურიხტერი** – ზურგი; **სულეიმანი** - ბარძაყის უკანა კუნთის დაზიანება; **ანიტა** – ტერფის ტრავმა და ტვინის შერყევა; **სიგტორსონი** – კოჭის დაზიანება; **ალდერვეირელდი** – კოჭი, ბარძაყის უკანა კუნთი; **ვერმეერი** – თავის მსუბუქი ტრავმა; **აისატი** – წვივის კუნთის დაჭიმვა; **ვან დერ ვილი** – საზარდული; **ოოიერი** – მუხლის მყესების დაჭიმულობა; **იზბილიზი** – კოჭი; **ბრუნო სილვა** – მხარი.

ბუნებრივია, პროფესიულ სპორტში ასეთი საკითხებისადმი მიდგომა ბევრად სერიოზულია. რისი თქმა შეიძლება ამდენ ტრავმირებულზე? ფეხბურთელების დიდმა ნაწილმა დაზიანება სხვების "დახმარების" გარეშე მიიღო. თუმცა მიუხედავად შთამბეჭდავი სიისა, ქულების დაკარგვის ახსნა და გუნდის უფერული თამაშის გამართლება მაინც გადაჭარბებულია. შეუძლებელია გავიხსენოთ, როდის ჰყავდა "აიაქსს" ამდენი ტრავმირებული დროის ასეთ მცირე მონაკვეთში. არა, დამტვრეულები როგორ არ ყოფილან, მაგრამ არა ამდენი და ასე უმიზეზოდ. კლუბში ითქვა, რომ მიზეზი ფიზიოთერაპევტის შეცვლაში უნდა იმალებოდეს. "კარგი ვერსიაა", მაგრამ რამდენად რეალურია მისი გავლენა დღევანდელ მდგომარეობაზე, კიდევ საკითხავია.

შეშფოთებულია ტრავმების რაოდენობით გუნდის კაპიტანი **იან ვერტონგენი**: *"მეც შემანუხა იმ ტრავმამ, რამაც ამ სეზონში ჩვენი არაერთი ფეხბურთელი გახადა სამკურნალო, კერძოდ, ბარძაყის უკანა კუნთის პრობლემამ. საბედნიეროდ, გადავრჩი და მინდორზე დაბრუნება შევძელი. კარგია, რომ არადეგებმა მოგვისწრო, რადგან წინ კიდევ ნახევარი სეზონია, ყოველი მეორე ფეხბურთელი კი უკვე ტრავმირებულია ან ტკივილებს უჩივის".*

აიაქსის მთავარი პრობლემა ტრავმები იყო

ფრანკ დე ბური: *"კუნთის ტრავმებმა განსაკუთრებით ნოემბერში შეგვაწუხა. იქამდე მსგავსი ჩივილები მხოლოდ ბოილესენს ჰქონდა. ახლა ჩვენთვის უკვე ცხადია, რა იყო ამის მიზეზი და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ უკვე შევიტანეთ გარკვეული ცვლილება სავარჯიშო პროგრამებში, რათა მსგავსი რამ მომავალში აღარ განმეორდეს. ვარჯიშების ინტენსივობა უკვე დაკორექტირებულია. ამაში ნამდვილად დამეთანხმება ვერტონგენი. ეს არ ნიშნავს, რომ ფეხბურთელები ტრავმებს აღარ მიიღებენ. ამის დასტურია ალდერვეირელდის დაზიანება, რომელიც მან სწორედ ცვლილების შემდეგ მიიღო, თუმცა ვფიქრობთ, რომ ეს უფრო შემთხვევა იყო, ვიდრე კანონზომიერება".*

გუნდის მთავარი მწვრთნელის სიტყვა გულშემატკივარს ნამდვილად აძლევს იმედს, მაგრამ ეს არ არის გარანტია, რომ კითხვები ფეხბურთელების ჯანმრთელობასთან დაკავშირებით აღარ დაისმება. მაგალითად, რიგითმა "აიაქსიდმა" შეიძლება იკითხოს, რატომ არ შეიძლებოდა სავარჯიშო სისტემის შეცვლა პირველი ან მეორე ტრავმის შემდეგ. რატომ მოეკიდნენ პრობლემას ასე გულგრილად? ნოემბრის ტრავმათა ეპიდემიის შემდეგ ნამდვილად არის საფუძველი, რომ არავინ დაიჯეროს "შემთხვევითი" დაზიანებების შესახებ. ავიღოთ თუნდაც ბურიხტერი, რომელმაც ტრავმა მინდორზე დაბრუნებისთანავე გაირთულა და გუნდს რამდენიმე თამაშით ისევ ჩამოშორდა.

იმედია, მეორე წრეში "აიაქსი" მეტოქეებს სრულად შეიარაღებული დაუხვდება. ჩვენ სარეზერვო შემადგენლობით გვიხდება თამაში, ამ მიზეზით თავის მართლება მხოლოდ "ღარიბებს" შეუძლიათ.

● ვარსკვლავი

ლიოვი მოურინიოზე საშიშია



იოჰან კრუიფი

ამ დღეებში **იოჰან კრუიფმა** კატალონიურ გამოცემა "დიარი არას" ინტერვიუ მისცა, სადაც უკმეხად მოიხსენია "ბარსას" ხელმძღვანელობა. გარდა ამისა, ის რამდენიმე საინტერესო თემასაც შეეხო.

- ამ კლუბში არ სჭირდებათ ჩემი ცოდნა, მათ მხოლოდ ჩემი სახელის გამოყენება სურთ. მაგრამ მე ნამდვილად არ ვარ ის, ვინც ყველას დაიცავს კრიტიკისგან... უკან როცა ვიხედები, ვხედავ, რომ აღვზარდე ხალხი, რომელიც ფეხბურთს ისევე ხედავს, ისევე ჭვრეტს, როგორც მე. სწორედ გვარდიოლაა ის ადამიანი, რომელსაც ყველაფრისთვის თავისი სახელის დარქმევა შეუძლია. შეიძლება ხედავდე კიდეც ფეხბურთელს, რომელიც თავის გუნდში კარგად გამოიყურება, მაგრამ შენ ის უნდა აიძულო, რომ ზუსტად ასევე ითამაშოს მსოფლიოს საუკეთესო კლუბში. როცა გვარდიოლას მთავარ მწვრთნელად ნიშნავდნენ, ალბათ, 95% ვერ წარმოიდგენდა, რომ გუნდი ასეთ მნვერვალებს შესწვდებოდა. ისე მოხდა, რომ იმ ადამიანის სახელი, რომელსაც ჰეპის შეცვლის პოტენციალი აქვს, უცნობია. აქ ბევრი რამ დამოკიდებულია დეტალებზე, ხარისხზე, ხასიათსა და მენტალიტეტზე.

ინტერვიუს დასასრულს კორესპონდენტმა კრუიფს **ჟოზე მოურინიოს** შემდეგ "რეალის" მთავარ მწვრთნელად **იოახიმ ლიოვის** შესაძლო დანიშვნაზე ჰკითხა აზრი. ჰოლანდიელის პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო: "ბარსასთვის" ლიოვი ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე მოურინიო".

● აღიარება

სეიდუ დუმბია

დუმბია რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელია

აფრიკელს ყველაზე მეტად რუსული ზამთრის ეშინია

ყოველწლიურ გამოკითხვას საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად რუსეთში ტრადიციულად გამოცემა "ფუტბოლი" ატარებს. ამჯერად მონაწილეობა სულ 299-მა ჟურნალისტმა მიიღო. მათი შერჩევის პრინციპი მარტივია: ისინი იმ ქალაქს უნდა წარმოადგენდნენ, რომლის კლუბიც უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს. ჟურნალისტებმა 2011 წლის საუკეთესო ფეხბურთელად მოსკოვის ცსკა-ს 23 წლის ივუარელი თავდამსხმელი **სეიდუ დუმბია** დაასახელეს (591 ქულა), მეორე ადგილზე მოსკოვის "დინამოს" უკრაინელი შემტევი **ანდრეი ვორონინი** გავიდა (505 ქულა). მათ დანარჩენ პრეტენდენტებს დიდი უპირატესობით აჯობეს. გამოკითხულებმა სულ 45 გვარი დაასახელეს.

ცსკა-ს თავდამსხმელს გაზეთი "სპორტ ექსპრესი" დაუკავშირდა და ინტერვიუ სთხოვა. აფრიკელმა ყველაფერზე გულწრფელად ილაპარაკა:

- სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, თუ მოვლენები ასე სწრაფად განვითარდებოდა. ვიცი ჩემი ძლიერი მხარეები და ვაპირებდი, რომ ისინი ცსკა-ს სასიკეთოდ რაც შეიძლება ეფექტურად გამომეყენებინა. მეორე საკითხია, რომ როგორღაც მოვახერხე და ადაპტაცია ძალიან მალე გავიარე. ვერ ვიფიქრებდი, რომ პრობლემები ასე სწრაფად მოგვარდებოდა.

ჩემთვის ყველაზე დიდი გამოცდა ამ ქვეყანაში ჩამოსვლის შემდეგ რუსული ზამთარი იყო. წინა წლის დეკემბერში იყო ეს თუ წელს იანვარში, ეს აღარ მახსოვს, მაგრამ ნამდვილად ასე მოხდა, ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ გასახდელში დაბრუნებულმა ცხარე ცრემლებით ვიტირე ტკივილისგან. თითქმის ვეღარ ვმოძრაობდი. სწორედ ეს იყო ყველაზე ძნელად შესაგუებელი. კოტ დ'ივუარში თერმომეტრი როცა 25 გრადუსზე ქვემოთ ეშვება, ჩვენთვის ეს ისეთივე მომენტია, როგორც თქვენთან ყინვა. ჩემი ქვეყანა ეკვატორთან ახლოსაა. ევროპისგან განსხვავებით, იქ წელიწადი 4 კი არა 2 ნაწილად იყოფა, წვიმებისა და გვალვის პერიოდებად. წვიმების დროს ერთადერთი რამ ხდება, ტემპერატურა ოდნავ ეცემა და ხანდახან იმდენი წყალი გეღვრება თავზე, თითქოს სათლიდან გასხამენო.

● ჟსჟ

ლეონარდოსთან ტრანსფერზე არ ულაპარაკია?!

ცოტა უტრირებული მაგალითია, მაგრამ მაინც: ჟსჟ-ში დანიშვნის შემდეგ ერთადერთი, რასაც **ლეონარდო** აკეთებს, ტრანსფერებზე მუშაობაა. ის ყიდულობს ფეხბურთელებს ან მოლაპარაკებებს აწარმოებს შესაძლო თანამშრომლობაზე. ამის წყალობით რამდენიმე თვეში მან უკვე 85 მილიონი ევროს დახარჯვა მოასწრო და ერთი ამდენის დახარჯვას კიდევ გეგმავს. ამ დღეებში ლეონარდო **ალეშანდრო პატოს** აგენტ **ჟილმარ ველოზს** შეხვდა. ბატონმა აგენტმა ფაქტი დაადასტურა, მაგრამ ტრანსფერზე მოლაპარაკება უარყო. მისი თქმით, ეს მხოლოდ ძველი მეგობრების შეხვედრა იყო და მეტი არაფერი. აი, რა განუცხადა მან "ეკიპს": *"პარი სენ-ჟერმენი" დიდი კლუბია და დარწმუნებული ვარ, მისი წინადადება ჩემი კლიენტისთვის მომხიბლავი იქნებოდა, მაგრამ ვაი, რომ ლეონარდოსთან ამ თემაზე ხმა არ დამიძრავს. დამიჯერეთ, ასეთი მასშტაბის საქმეებს უშუალოდ კლუბის მმართველები თუ გადაწყვეტენ. სასაუბრო თემას რაც შეეხება, მე უბრალოდ მის მოსაკითხად ჩამოვედი, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ყველაფერი წესრიგში აქვს. თუკი ჩემი არ გჯერათ, პირადად დაუკავშირდით "მილანის" ხელმძღვანელებს და ისინი დაგიდასტურებენ, რომ პატოს გაყიდვას არ აპირებენ".*

გვერდი მოამზადა **ლევან ბიგილაშვილმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. სეზონის შეჯამება

ეკვატორთან

ხეტაფე: ჩაფლავებული არაბული ნახტომი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
12. ხეტაფე	16	5	4	7	17-23	19

თარიღი	მეტოქე	ანგ.
28 აგვისტო	ლევანტე (შ)	1:1
10 სექტემბერი	რეალი (გ)	2:4
18 სექტემბერი	ვალეკანო (შ)	0:1
22 სექტემბერი	ესპანიოლი (გ)	0:1
26 სექტემბერი	ბეტისი (შ)	1:0
2 ოქტომბერი	მალაგა (გ)	2:3
15 ოქტომბერი	ვილიარეალი (შ)	0:0
23 ოქტომბერი	სოსიედადი (გ)	0:0
26 ოქტომბერი	ოსასუნა (შ)	2:2
29 ოქტომბერი	ვალენსია (გ)	1:3
7 ნოემბერი	ატლეტიკო (შ)	3:2
20 ნოემბერი	სპორტინგი (გ)	1:2
27 ნოემბერი	ბარსელონა (შ)	1:0
6 დეკემბერი	სევილია (გ)	0:3
11 დეკემბერი	გრანადა (შ)	1:0
17 დეკემბერი	მალიორკა (გ)	2:1

სეზონის წინ მადრიდის გარეუბნის გუნდის ისტორიაში ღირსშესანიშნავი რამ მოხდა - კლუბი „როიალ ემირეიტს კომპანიმ“ შეიძინა. ეს კი, მოგეხსენებათ, დალხენილ აწყმოსა და კარგი ფეხბურთელებით გაძლიერებას ნიშნავს. მაშინ, როცა მეზობელი „რაიო ვალეკანო“ ხელფასიდან ხელფასამდე არცთუ იოლად გადის, „ხეტაფეში“ ყველაფერი მაღალ დონეზეა, თუმცა **ლუის გარსიას** გუნდს ჯერაც ბევრი უკლია ძლიერ, კონკურენტუნარიან კლუბამდე. მართალია, „ხეტაფე“ მე-12 ადგილზეა, მაგრამ გასავარდნ ზონას მხოლოდ 4 ქულით უსწრებს.

რას ვწერდით აგვისტოში

ლუის გარსია ამბობდა, რომ ესპანეთში 2 ძალიან კარგი და 6 კარგი გუნდია, „ხეტაფე“ კი ამათ შემდეგ უნდა იყოსო. მწვრთნელი არც ოცნებას ერიდებოდა, ვინ იცის, იქნებ, მეტიც შეეძლოთო. ჩვენ „ხეტაფესგან“ სიურპრიზს და ცხრილის ზედა ნახევარში დამკვიდრებას ველოდით, ჯერჯერობით ეს მადრიდულ კლუბს არ გამოსდის, თუმცა მიზანთან შორს არაა.

სტატისტიკური მონაგარი

„ხეტაფეს“ სტატისტიკას რომ შეხედოთ, უჩვეულოს ვერაფერს აღმოაჩენთ - ყველაფერი ისეა, როგორც ცხრილის შუაში მყოფ გუნდს „ეკადრება“. თუ არ ჩავთვლით ერთ „დეტალს“, რომელიც ესპანეთში ბევრი გუნდის ნაკლია - „ხეტაფე“ სტუმრად ცუდად თამაშობს - სულ 4 ქულა 19-დან. ლუის გარსიას გუნდმა სტუმრად ძალიან ბევრი გოლი (17) გაუშვა. შინ კი „ხეტაფემ“ მხოლოდ ერთი



სეზონის პირველი ნახევარი ყველაზე კარგად კოლუმბიელმა მიკუმ ჩაატარა

19 ქულა არა მხოლოდ მე-13 ადგილზე მყოფ „გრანადას“ აქვს. ამდენივე მოაგროვეს, „ხეტაფემ“ (მე-12 ადგილი), „ბეტისმა“ (მე-11) და „ატლეტიკომ“ (მე-10). დღეს პირველი ორის სეზონის I ნახევრის შეჯამებას წარმოგიდგენთ.

მატჩი წააგო - დერბი ღატაკ „რაიო ვალეკანოსთან“.

გაფრთხილება: 64
2 ყვითელი ბარათი: 2
წითელი ბარათი: 1
პენალტი (გატ): 1/1
პენალტი (გატ) ხეტაფეს კარში: 2/2
საშუალო დასწრება: 9 700
დარტყმა (ზუსტი): 156 (46)
დარტყმა (ზუსტი) ხეტაფეს კარში: 218 (80)
დარტყმის სიზუსტე: 29,5%
კუთხური: 51
თამაშგარე: 45
ჯარიმა (მათზე): 251 (229)

გოლები

5 **მიკუ**
3 **დ. კასტრო, ბარადა**
2 **გუისა**
1 **კასკერო, პედრო ლეონი, მიჩელი, ვალერა**

საგოლე პასები

2 **გუისა**
1 **ბარადა, რიოსი, მიჩელი, ვალერა, სარაბია, ტორესი, მიკუ, ლასენი**

გაძევება

1 **ლოპო, ლასენი, ბარადა**

გაფრთხილება

7 **ტორესი**
5 **ლოპო, ვალერა, კასტრო, პერესი**
4 **ლასენი, რიოსი, მიჩელი**
3 **როდრიგესი, სარაბია, კასკერო**
2 **გუისა, მასილელა, მანე, პედრო ლეონი, რაფა**
1 **დიასი, მოია**

თამაშები

მეკარეები: მიგელ ანხელ **მოია** (14 თ), ხორდი **კოდინა** (2), ტომეუ **ნადალი**.

მცველები: დანიელ „**კატა**“ **დიასი** (16), ხუან **ვალერა** (14), ალბერტო **ლოპო** (12), მიგელ **ტორესი** (11), ხოსე „**მანე**“ ხიმენესი (9), ცეპო **მასილელა** (5), **რაფა** ლოპესი (5), მიკელანჯელო **ალბერტაცი**.

ნახევარმცველები: მეჰდი **ლასენი** (15), აბდელაზიზ **ბარადა** (13), დიეგო **კასტრო** (12), პედრო **რიოსი** (12), პაბლო **სარაბია** (11), **მიჩელ** მადერა (9), ხუან **როდრიგესი** (8), ფრანსისკო **კასკერო** (8), რუბენ **პერესი** (8), **პედრო ლეონი** (4), ხაიმე **გავილანი** (1), **ალბერტო** ოლივა, პედრო **მოსკერა**.

თავდამსხმელები: ნიკოლას ფედორ „**მიკუ**“ (16), დანიელ **გუისა** (14), ადრიან **კოლუნგა** (4).

სეზონის I ნახევრის იდეალური შემადგენლობა

4-2-3-1: *მოია - ვალერა, კატა დიასი, ლოპო, მანე - ლასენი, კასკერო - რიოსი, ბარადა, დ. კასტრო - მიკუ.*

საუკეთესო ფეხბურთელი: მიკუ (კოლუმბია) - 16 თამაში, 5 გოლი, 1 საგოლე პასი.

ბეტისი: უჩვეულო ოდისეა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
11. ბეტისი	16	6	1	9	17-22	19

თარიღი	მეტოქე	ანგ.
28 აგვისტო	გრანადა (გ)	1:0
11 სექტემბერი	მალიორკა (შ)	1:0
19 სექტემბერი	ბილბაო (გ)	3:2
23 სექტემბერი	სარაგოსა (შ)	4:3
26 სექტემბერი	ხეტაფე (გ)	0:1
2 ოქტომბერი	ლევანტე (შ)	0:1
15 ოქტომბერი	რეალი (გ)	1:4
23 ოქტომბერი	ვალეკანო (შ)	0:2
27 ოქტომბერი	ესპანიოლი (გ)	0:1
30 ოქტომბერი	რასინგი (გ)	0:1
5 ნოემბერი	მალაგა (შ)	0:0
19 ნოემბერი	ვილიარეალი (გ)	0:1
27 ნოემბერი	სოსიედადი (შ)	2:3
4 დეკემბერი	ოსასუნა (გ)	1:2
10 დეკემბერი	ვალენსია (შ)	2:1
18 დეკემბერი	ატლეტიკო (გ)	2:0

„ბეტისის“ შემატებით პრიმერა დივიზიონს პეწი დაუბრუნდა - სევილიური დერბი ისაა, რაც ამ ჩემპიონატს ალამაზებს. ახლანდელი „ბეტისიც“ საინტერესო გუნდი გამოდგა... უჩვეულო. **პეპე მელის** გუნდმა ფანტასტიკურად დაიწყო - 4-ივე მატჩი მოიგო და პრიმერას სათავეში მოექცა. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ „ბეტისს“ ასე გაუჭირდებოდა შემდგომში. ამას მოჰყვა 10-მატჩიანი მოუგებელი სერია, სადაც 10-დან 9 შეხვედრა სევილიელებმა წააგეს! კატასტროფისგან „ბეტისი“ ბოლო ორმა გამარჯვებამ იხსნა, თანაც რჩეულ გუნდებთან - „ვალენსიასთან“ და „ატლეტიკოსთან“.

როკე სანტა კრუსმა (3 გოლი) ვერ გაამართლა

რას ვწერდით აგვისტოში

ჩვენ „ბეტისს“, მიუხედავად იმისა, რომ სეგუნდა დივიზიონიდან ახლა დაბრუნდა, ცხრილის შუაში დამკვიდრებას ვუწინასწარმეტყველებდით. ახლა ანდალუსიური კლუბი მე-11 ადგილზეა. მაგრამ ჯერ კიდევ შორია იმ დრომდე, რომელზეც პეპე მელი სეზონის წინ საუბრობდა - „ბეტისი“ პრიმერას ისეთივე წევრი უნდა იყოს, როგორიც „ატლეტიკო“, „ვალენსია“ და „ბილბაოა“.

სტატისტიკური მონაგარი

სტატისტიკურად ყველაზე საინტერესო ოდისეა სწორედ „ბეტისს“ ჰქონდა და ამაზე ზემოთაც ვწერდით. 4 ტურის შემდეგ გუნდს 12 ქულა და ბურთების შეფარდება 9-5 ჰქონდა. შემდეგ 10 ტურში კი 1 ქულა, ბურთების შეფარდებით - 4-16. ბოლო ორ მატჩში „ბეტისმა“ 6 ქულა აიღო 4-1 ბურთების შეფარდებით. „ბეტისს“ ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები ფრე აქვს („რეალთან“ ერთად) - მხოლოდ 1.

გაფრთხილება:	40
2 ყვითელი ბარათი:	1
წითელი ბარათი:	2
პენალტი (გატ):	3/3
პენალტი (გატ) ბეტისის კარში:	4/3
საშუალო დასწრება:	36 000
დარტყმა (ზუსტი):	239 (70)
დარტყმა (ზუსტი) ბეტისის კარში:	214 (82)
დარტყმის სიზუსტე:	29,3%
კუთხური:	100
თამაშგარე:	37
ჯარიმა (მათზე):	232 (222)

გოლები

5 **რ. კასტრო**
3 **სანტა კრუსი**
2 **ხონათანი, ბენატი, სევილია**
1 **პოსუელო, ნაჩო, მოლინა**

საგოლე პასები

3 **ხონათანი**
2 **ჩიკა**
1 **სევილია, ბენატი, ხუანმა, კასტრო**

გაძევება

1 **კასტო, მარიო, პოსუელო**

გაფრთხილება

6 **ირინეი**
4 **ხონათანი**
3 **კასტო, მარიო, ისიდორო, ნაჩო, ბენატი**
2 **კასტრო, ამაია, სევილია, მომო, ესეკილი, დორადო, ჩიკა, მოლინა, კანიასი**

თამაშები

მეკარეები: **კასტო** ესპინოსა (15 თ), ინიაკი **გოიტია** (2), **ფაბრისიო** რამირესი, **ადრიან** კასტილიო.

მცველები: **ნაჩო** პერესი (16), ხოსე **დორადო** (15), ხავიერ **ჩიკა** (10), **მარიო** ალვარესი (8), ანტონიო **ამაია** (7), ხოსე **ისიდორო** (6), **უსტარიც** ასტარლოა (6), დუშკო **ტოშიჩი** (1), **ხუანიტო** კალაორნო.

ნახევარმცველები: **ბენატ** ეჩებარია (15), **ირინეი** სანტოსი (15), ჯეფერსონ **მონტერო** (11), სალვა **სევილია** (10), ხოსე **კანიასი** (7), ხავიერ **მატილია** (6), **ხუანმა** გომესი (4), **ესეკილ** კალვენტე (4), ალვარო **ვადილიო** (4), „**მომო**“ ფიგეროა (2), სერხიო **როდრიგესი** (2).

თავდამსხმელები: **ხონათან** პერეირა (13), როკე **სანტა კრუსი** (13), რუბენ **კასტრო** (13), ხორხე **მოლინა** (11), ალეხანდრო **პოსუელო** (8).

სეზონის I ნახევრის იდეალური შემადგენლობა

4-2-3-1: *კასტო - ჩიკა, დორადო, მარიო, ნაჩო - ირინეი, ბენატი - ხონათანი, სევილია, მონტერო - რ. კასტრო.*

საუკეთესო ფეხბურთელი: ბენატ ეჩებერია - 15 თამაში, 2 გოლი, 1 საგოლე პასი.

ამბავშეკრული ბიბლიოთეკა

იყო ინტერი, ახლა მილანი?

„ბარსელონას“ ბრაზილიელი მარცხენა მცველი **მაქსველი** ივნისში, სავარაუდოდ, „მილანში“ გადავა. იტალიური გრანდის ხელმძღვანელობას **ტაიე ტაივოს** შემცვლელის პოვნა სურს, მაგრამ არის ერთი „დეტალი“, მაქსველს მილანის მეორე კლუბში, „ინტერში“ უთამაშია. 30 წლის ბრაზილიელი ფეხბურთელის აგენტი არ უარყოფს „მილანის“ ინტერესს.

ნილმარი: ფლა ან ფლუ?

როგორც ჩანს, 27 წლის **ნილმარი** ამ ზამთარს მაინც დატოვებს ესპანურ პრიმერა დივიზიონს. ბრაზილიური მედია ირწმუნება, რომ „ვილიარეალის“ და სელესაოს თავდამსხმელის მომავალი კლუბი აუცილებლად ბრაზილიური იქნება. სამშობლოში დაბრუნების სურვილი თავად ნილმარმა გამოთქვა. დღეისათვის, ნილმარით „ფლამენგო“ და „ფლუმინენსე“ არიან დაინტერესებულნი. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში სერიოზულმა ტრავმამ ნილმარს საკუთარი შესაძლებლობების ხეირიანად გამოვლენის შანსი არ მისცა, მის ანგარიშზე მხოლოდ 2 გოლია.

აგენტების წინააღმდეგ

„ბარსელონას“ პრეზიდენტ **სანდრო როსელს** უეფას გენერალური მდივანი **ჯანი ინფატინო** გამოექომაგა და აღნიშნა, რომ ისიც სწორედ როსელივით ფიქრობს სატრანსფერო საკითხზე. ახლა რაშია საქმე - როსელმა განაცხადა, რომ დღევანდელ ფეხბურთში უსამართლოდაა დაყენებული სატრანსფერო საკითხი, როცა კლუბი უხდის ფეხბურთელის აგენტს და არა ფეხბურთელი. „*როსელს სრულიად ვეთანხმები ამ საკითხში. დიახ, აგენტს ფული იმან უნდა გადაუხადოს, ვინც დაიქირავა - ანუ ფეხბურთელმა*“.

თუ ევროპაში გავალთ...

„ლევანტეს“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ, თუკი ვალენსიური კლუბი ევროსაგზურს მოიპოვებს, კლუბი „ამერიკას“ ეკვადორელ ფორვარდს, **კრისტიან ბენიტესს** შეიძენს. მექსიკური კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე გამოაცხადა, რომ ბენიტესი ტრანსფერზეა. შეგახსენებთ, რომ „ჩუჩოს“ ევროპაში უკვე უთამაშია, მაგრამ 25 წლის ფორვარდმა „ბირმინგემ სიტიში“ ვერ გაამართლა - პრემიერლიგაში სულ 3 გოლი გაიტანა.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● გერმანია. წლის ტრანსფერის ექო

როგორ იბრძოდა პუტინი ნოიერისთვის

შპორტ ბილდმა მანუს ტრანსფერის საიდუმლო დეტალები გამოაქვეყნა

გერმანული სპორტული ტაბლოიდი „შპორტ ბილდი“ ჯერ კიდევ ზაფხულში წერდა იმის შესახებ, რომ რუსეთის პრემიერმინისტრი **ვლადიმირ პუტინი** ყველანაირად ცდილობდა, **მანუელ ნოიერის** „შალკედან“ „ბაიერნში“ ტრანსფერი არ დაეშვა. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მაშინ გაარკვიეს, რომ „შალკეს“ გენერალური სპონსორის, „გაზპრომის“ ბატონ-პატრონი პუტინი მოსკოვში გელზენკირხენული კლუბის

ვლადიმირ პუტინი მანუელ ნოიერის ფანი ყოფილა

შეფ **კლემენს ტიონიესს** შეხვდა და უთხრა, ნებისმიერ თანხას გადავიხდით, ოღონდაც ნოიერი დარჩენაზე დაითანხმეთო. „შპორტ ბილდმა“ საახალწლო ნომერში ამ ამბის აქამდე უცნობი, ძალიან საინტერესო დეტალები გაახმაურა.

ეს 17 მაისს მოხდა: ტიონიესი მოსკოვში იმყოფებოდა, სადაც „გაზპრომის“ ხელმძღვანელებთან კონტრაქტის გაგრძელების შესახებ გამართა მოლაპარაკებები. ამის შემდეგ, მძღოლმა „შალკეს“ ბოსი პირდაპირ პუტინის „თეთრი სახლისკენ“ წაიყვანა – მას უთხრეს, რომ რუსეთის პრემიერმინისტრი ჩაიზე ეპატიჟებოდა. პუტინთან ერთად, ტიონიესს „გაზპრომის“ შეფი **ალექსეი მილერიც** შეხვდა.

შეხვედრა, რომელიც გერმანიის თასის ფინალამდე („შალკემ“ ფინალში „დუისბურგი“ 5:0 დაამარცხა) ოთხი დღით ადრე შედგა და საათნახევარი გაგრძელდა. სწორედ პუტინთან საუბრის დროს დაესვა წერტილი „შალკესა“ და „გაზპრომის“ თანამშრომლობის 2017 წლამდე გაგრძელებას, რაც გელზენკირხენულ კლუბს ამ ხნის მანძილზე მინიმუმ 120 მილიონ ევროს მოუტანს. საუბრის ბოლოს, პუტინმა ტიონიესს მანუელ ნოიერი უხსენა – მას აინტერესებდა, მართლა ტოვებდა თუ არა გერმანიის ნაკრების მეკარე „შალკეს“. იმ დროს ნოიერს უკვე ოფიციალურად ჰქონდა ნათქვამი, რომ გელზენკირხენელებთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებდა, რაც ავტომატურად ნიშნავდა იმას, რომ „შალკეს“ ის უნდა გაეყიდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მანუელი გელზენკირხენს 2012 წლის ზაფხულში უკვე უფასოდ დატოვებდა. არაოფიციალურად „ბაიერნში“ მისი გადასვლა უკვე გადაწყვეტილი იყო – მოგვიანებით თავად ტიონიესმაც თქვა, რეკორდმაისტერის პრეზიდენტ ული ჰაინესთან შეთანხმებას 30 აპრილს მივაღწიეო.

...და აი, ჰაინესთან შეთანხმებიდან 17 დღის შემდეგ, პუტინი ტიონიესს ეუბნება, რომ ის მუდმივად უყურებს „შალკეს“ თამაშებს, უნდა, რომ გელზენკირხენში ჩავიდეს და მატჩსაც დაესწროს და რომ მისი საყვარელი შალკელი მანუელ ნოიერია. პუტინი ტიონიესს გერმანულად ესაუბრებოდა – 1985-დან 1990 წლამდე ის დრეზდენში ოფიცრად იყო წარგზავნილი, ცოლად კი გერმანულის მასწავლებელი შეირთო...

„გემშვიდობებით და თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს: შეინარჩუნეთ მანუელ ნოიერი! ჩვენ მზად ვართ, ამისათვის ნებისმიერი თანხა გადავიხადოთ!“ - ეს იყო პუტინის ბოლო სიტყვები.

„ვხვდებოდი, რომ ამ თხოვნას ვერ შევუსრულებდი, რადგან ნოიერს „ბაიერნში“ გადასვლას ვერაფრისდიდებით გადავათქმევინებდი. პუტინმა ორჯერ გამიმეორა, ფული პრობლემა არ არისო, - იხსენებს ტიონიესი და იქვე დასძენს, - *აშკარად ჩანდა, რომ „შალკეს“ ყველა მატჩი ჰქონდა ნანახი და ძალიან უნდოდა, მანუ შეგვენარჩუნებინა.“*

„შალკეს“ ბოსი ვალდებული იყო, ბედი კიდევ ერთხელ ეცადა და მანუელთან დასალაპარაკებლად ფაქტობრივად იდეალური მომენტი შეარჩია: ტიონიოესი ნოიერთან გერმანიის თასის ფინალის შემდეგ განმარტოვდა – იმ დროს, როცა მთელი გელზენკირხენი ზეიმობდა და ლოგიკურად მართლა იყო იმის შანსო, რომ მანუელი კიდევ ერთხელ დაფიქრებულიყო.

„არაფერი გამოვიდა, რადგან მანუელისთვის ფული მთავარი არ იყო. მე მას პუტინის სიტყვები გადავეცი, რაზეც მაშინვე, დაუფიქრებლად მიპასუხა, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ გადაწყვეტილების შეცვლა გამორიცხულია, „ბაიერნში“ ფულის გამო არ მივდივარ და შესაბამისად, ამის გამო არც „შალკეში“ დავრჩებიო,“ - ამბობს ტიონიესი.

აი, ასე შედგა ტრანსფერი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი იყო 2011 წელს. მანუელ ნოიერმა „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2016 წლამდე გააფორმა, „შალკემ“ კი რეკორდმაისტერისგან 22 მილიონი ევრო მიიღო. სხვათა შორის, 2016 წლამდე თითოეული ჩემპიონობისთვის მიუხნენელებმა გელზენკირხენელებს თითო მილიონი, ხოლო ჩემპიონთა ლიგის მოგების შემთხვევაში კი მილიონნახევარი ევრო უნდა გადაუხადონ...

● მოსალოდნელი ტრანსფერი

მარკო როისის მომავალი საფეხბურთო გერმანიაში ერთ-ერთი უმთავრესი თემაა

როისს დორტმუნდი ურჩევნია?

ბაიერნის ბოსებს ეს არ მოეწონებათ...

მარკო როისი ბუნდესლიგის პირველი წრის უმთავრესი აღმოჩენა და ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია (10 გოლი, 4 საგოლე პასი). ფაქტია, რომ მონხენგლადბახის „ბორუსიას“ 22 წლის უნიჭიერესი და უკვე ვარსკვლავად ქცეული გარემარბის შენარჩუნება გაუჭირდება. მეტიც: შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ როისი „გლადბახში“ მაქსიმუმ წელიწადნახევარი თუ დარჩება, ისე კი, დიდი შანსია, რომ მარკომ მიონხენგლადბახი სეზონის ბოლოს ან სულაც ახლავე დატოვოს, რადგან მთხოვნელთა რაოდენობა მუდმივად იზრდება. ჩვენი გერმანელი კოლეგები დარწმუნებულები არიან იმაში, რომ როისისთვის გადამწყვეტი ბრძოლა მიუნხენის „ბაიერნსა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ შორის გაჩაღდება. ახლა კი რამდენიმე გამოცემა საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ თავად მარკო უპირატესობას არა „ბაიერნს“, არამედ „დორტმუნდს“ ანიჭებს!

„ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა როისზე ხმამაღლა საუბარი ორიოდე თვის წინ დაიწყეს, თუმცა დეკემბრის დასაწყისში რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** თქვა, რომ მარკოსთვის მიუნხენში გადასვლა ჯერ ადრეა, თუმცა იქვე დასძინა, ცხადია, ჩვენთვის ის ძალიან საინტერესო ფეხბურთელიაო.

„ბაიერნს“ როისი, რა თქმა უნდა, აინტერესებს. ჩვენ ვიცით, რომ მის კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის თანახმად, მსურველმა „გლადბახს“ 17.5 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს. ეს ჩვენთვისაც კი დიდი თანხაა, მაგრამ თუ მარკო პროგრესს განაგრძობს, უკან არაფერზე დავიხევთ. ისე კი, მიმაჩნია, რომ მისთვის „ბაიერნი“ ჯერ მაინც ადრეა. ვფიქრობ, უმჯობესია, მიონხენგლადბახში კიდევ ერთი სეზონი გაატაროს,“ - განაცხადა რუმენიგემ.

ახლა კი გაზეთები „ბილდი“ და „დერ ვესტენი“ ავრცელებენ ცნობას იმის შესახებ, რომ თავად როისი „დორტმუნდისკენ“ იხრება. ხსენებული გამოცემების ინფორმაციით, როისი უკვე შეხვდა და ესაუბრა გერმანიის მოქმედი ჩემპიონის ბოსებს. ფაქტი ის არის, რომ როისი 16 წლამდე სწორედ „დორტმუნდის“ ბავშვთა გუნდში თამაშობდა, მერე კი წავიდა - ამბობენ, დორტმუნდელებმა მას ფიზიკური კონდიციები დაუწუნესო. დორტმუნდიდან მარკომ „ალენში“ ამოყო თავი, მერე „გლადბახში“ მოხვდა, მაგრამ მისი ოჯახი დღემდე დორტმუნდში ცხოვრობს. დორტმუნდელია მისი მეგობარი გოგონაც.

BVB-ს შეფები როისზე საუბარს თავს არიდებენ. კითხვაზე, მართლა შეხვდა თუ არა მარკოს, დორტმუნდელთა გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** ასე უპასუხა: *„მე მხოლოდ იმ ფეხბურთელებზე მსურს საუბარი, რომლებიც ჩვენთან თამაშობენ.“*

მარკო როისს „გლადბახთან“ კონტრაქტი 2015 წლამდე აკავშირებს. „ბაიერნი“ მისთვის ჯერ მართლაც ადრეა, რადგან მიუნხენურ გრანდში მას ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვერავინ მისცემს – რეკორდმაისტერს მის პოზიციებზე ხომ **ფრანკ რიბერი, არიენ რობენი** და **თომას მიულერი** ჰყავს. შესაბამისად, თუ როისი მართლაც „დორტმუნდს“ ანიჭებს უპირატესობას, ეს სავსებით ლოგიკურია.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● მოსალოდნელი ტრანსფერი

ლუკას, ნაბოდი ლონდონში!

მერტეზაკერი პოდოლსკის არსენალს აწონებს, რომშიც ფხიზლად არიან...

„კიოლნისა“ და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელ **ლუკას პოდოლსკის** არაერთი გუნდი რომ ეპატიჟება, ამის შესახებ რამდენჯერმე დავწერეთ. მათ შორისაა ლონდონის „არსენალიც“: „მეთოფეების“ მთავარი მწვრთნელი **არსენ ვენგერი** იანვარში წინა ხაზის გაძლიერებას გეგმავს და მისთვის სასურველი მოთამაშეების სიაში 26 წლის პოდოლსკიცაა. შეიძლება ამ ტრანსფერში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს „არსენალის“ გერმანელმა მცველმა **პერ მერტეზაკერმა**. 27 წლის უკანახაზელი ყველანაირად ცდილობს, პოდოლსკის ლონდონში გადაბარგების პერსპექტივა მოაწონოს.

„იმედი მაქვს, რომ ვენგერი პოდოლსკის ხელში ჩასაგდებად ბრძოლას გააგრძელებს. დარწმუნებული ვარ, რომ ლუკასი ჩვენს გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებს, - აცხადებს მერტეზაკერი „დეილი მეილისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, - *მე ხშირად ვესაუბრები პოლდის და ვურჩევ, რომ ჩვენთან გადმოვიდეს.“*

ლუკას პოდოლსკის „კიოლნთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „არსენალი“ მზადაა, გერმანულ კლუბს მის სანაცვლოდ 23 მილიონი ევრო გადაუხადოს. თუმცა ლუკასისთვის ომში ინტენსიურად ჩაერთო რომის „ლაციოც“. რამდენიმე დღის წინ იტალიური გამოცემა „კორიერე დელო სპორტი“ წერდა,

ლუკას პოდოლსკიმ უნდა აირჩიოს: ან არსენალი, ანაც ლაციო

პოლდიმ რომაულ კლუბს უკვე წინასწარი თანხმობა შეუთვალაო. ამ ინფორმაციას ჯერჯერობით არავინ ადასტურებს, ის კი ფაქტია, რომ მას მერე, რაც 33 წლის **მიროსლავ კლოზეს** ტრანსფერმა გაამართლა, „ლაციოს“ ბოსი **კლაუდიო ლოტიტო** თავდასხმაში კლოზე/პოდოლსკის ტანდემზე ოცნებობს. ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, თავად პოდოლსკი „ლაციოში“ გადასვლისკენ იხრება.

„კიოლნის“ მენეჯერ **კლაუს ჰორსტმანის** თქმით, მას ჯერ არც ლონდონიდან შეხმიანებია ვინმე და არც რომიდან, იმას კი ხვდება, რომ ამ კლუბების მხრიდან სერიოზული დაინტერესების შემთხვევაში, „თხებს“ პოდოლსკის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ.

● მოსაზრება

ლიპი: ევრო 2012-ს გერმანია მოიგებს!

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონი მწვრთნელი **მარჩელო ლიპი** ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე ფსონს გერმანიის ნაკრებზე ჩამოდის. მისი აზრით, ზაფხულში უკრაინასა და პოლონეთში გასამართავი კონტინენტის პირველობაზე გამარჯვების ყველაზე უკეთესი შანსი ბუნდესგუნდს აქვს.

„ჩემი აზრით, დღესდღეობით ყველაზე ძლიერი ნაკრები გერმანიას ჰყავს. ცხადია, არ მავიწყდება ესპანეთის შესანიშნავი გუნდიც, მაგრამ ჩემი აზრით, ევროპის ჩემპიონობასთან გერმანელები ყველაზე ახლოს არიან. იოახიმ ლიოვის გუნდთან ერთად, ევროპის ტოპსამეულში სწორედ ესპანეთს და ჰოლანდიის ნაკრებს დავასახელებ, - აცხადებს ლიპი „კორიერე დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და დასძენს: - *გერმანელები ძალიან სწრაფ და ტექნიკურ, კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობენ. ამასთან ბუნდესნაკრები ყველაზე ახალგაზრდული გუნდია. ვფიქრობ, რომ ესპანელები ვეღარ შეძლებენ პირველობას, იმიტომ, რომ ამ თაობას ყველაფერი მოგებული აქვს, გერმანია კი ძალიან დამშეულია.“*

ცხადია, ლიპიმ იტალიის ნაკრებზეც ისაუბრა. მისი აზრით, „სკუადრა აძურამ“ **ჩეზარე პრანდელის** ხელში საკმაოდ დიდი პროგრესი განიცადა, მაგრამ „მაესტროს“ იტალია ევრო 2012-ის მთავარ ფავორიტად მაინც არ მიაჩნია.

გოტფრიდ ლენცი

● ფრაიბურგი

ზორგი გააგდეს, შგრაიხი დანიშნეს

მარკუს ზორგი „ფრაიბურგის“ მწვრთნელი აღარ არის

წლის ბოლოს ასეთ რამეს აღარავინ ელოდა, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა: ბუნდესლიგის აუტსაიდერ „ფრაიბურგში“ მონასტერი აირია. ჯერ იყო და მწვრთნელმა **მარკუს ზორგმა** გუნდიდან ექვსი ფეხბურთელი მოკვეთა, ახლა კი კლუბის ხელმძღვანელებმა თავად 46 წლის ზორგი გაათავისუფლეს! მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ „ფრაიბურგს“ **ფოლკერ ფინკეს** უდიდესი ერის (1991-2007) შემდეგ პირველად ემუქრება მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე. ზორგმა გუნდი ზაფხულში, მას მერე ჩაიბარა, რაც ყოფილი მწვრთნელი **რობინ დუტი** „ლევერკუზენში“ გადავიდა და მის ხელში ბრაისგაუელები ძალიან ცუდ შედეგებს აჩვენებენ.

ზოგადად, „ფრაიბურგი“ მწვრთნელს ხშირად არ იცვლის ხოლმე. თავად განსაჯეთ: ფინკემ იქ 16 წელი იმუშავა, დუტმა კი – 4. როგორც ჩანს, კლუბის ბოსებს იმის ბოლო იმედიც გადაეწურათ, რომ ზორგის ხელში გუნდი გამოსწორდებოდა. გარკვეულია ისიც, რომ მარკუს ზორგის თანამდებობას მისი ასისტენტი, 46 წლის **კრისტიან შტრაიხი** დაიკავებს.

გოტფრიდ ლენცი

● ჯენოა

პრეციოზი: ჯილა სუპერვარსკვლავია

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ „ჯენოას“ მესვეურებს **კარვალიო ამაურისთან** აქვთ მოლაპარაკებები და დიდია შანსი, ბრაზილიური წარმოშობის იტალიელი თავისთან გადაიბირონ. ეს ამბავი ძალაში რჩება, მაგრამ წინა პლანზე უკვე **ალბერტო ჯილარდინოს** „ჯენოაში“ გადაბარგებამ წამოწია. ამ ტრანსფერის შესახებ **ენრიკო პრეციოზიმ** ისაუბრა და ერთობ ომახიანი განცხადებები გააკეთა. მოვუსმინოთ გენუური კლუბის პრეზიდენტს:

„ჯილარდინოს გადაბირება ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს მსურდა, მაგრამ მაშინ ფლორენციელებმა ფეხბურთელთან განშორება არ ისურვეს. საბედნიეროდ, ამჯერად ყველაფერი კარგად დასრულდა და უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალბერტო 'ჯენოას' ფეხბურთელია. მართალია, ხელშეკრულებისთვის ხელი ჯერ არ მოგვინერია, მაგრამ ამ საქმეს წინ არაფერი უდგას. სამედიცინო შემოწმების და რამდენიმე ფორმალური პროცედურის შემდეგ, კონტრაქტი გაფორმდება. დარწმუნებული ვარ, რომ „ჯენოაში“ ჯილა საუკეთესო კუთხით წარმოაჩენს თავს. გულშემატკივრებს ძალიან კარგი საჩუქარი გავუკეთეთ, ალბერტო თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი, ნამდვილი სუპერ ვარსკვლავია“.

იტალიურ პრესაში გავრცელებული ცნობის თანახმად, ალბერტო ჯილარდინოს გადაბირება გენუელებს 8 მილიონი ევრო უჯდებათ, კონტრაქტი კი 4.5-წლიანი იქნება. აქვე ვთქვათ, რომ ჯილა 2008 წლის შემდეგ „ფიორენტინას“ ღირსებას იცავს, ამჟამად 29 წლის გახლავთ და თუ „ჯენოაში“ კონტრაქტის ამოწურვამდე იასპარეზა, შესაძლოა კარიერა სწორედ ამ გუნდში დაასრულოს.

ალბერტო ჯილარდინო

ლაშა წიკლაური

● ნაპოლი

ჰამშიკმა წელი შეაფასა

მარეკ ჰამშიკი

„ნაპოლის“ სლოვაკმა შემტევმა **მარეკ ჰამშიკმა** „რაი სპორტს“ ვრცელი ინტერვიუ მისცა და ძირითადად გასული წლის მოვლენებზე ილაპარაკა. მარეკისთვის, ისევე როგორც მისი გუნდისთვის, წელი მთლიანობაში ძალიან წარმატებული გამოდგა, რის შესახებაც თავად უკეთესად მოგითხრობთ:

„სერია A-ს 2010/2011 წლების სეზონი ჩვენთვის ძალიან წარმატებული გამოდგა, რადგან ოთხეულში მოვხვდით და ჩემპიონთა ლიგის საგ ზური მოვიპოვეთ. ეს დიდი მოვლენა იყო როგორც პირადად ჩემთვის, ისე მთელი ნეაპოლისთვის. ამას არ დავჯერდით და ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე ჯგუფური ბარიერი დავძლიეთ. მართალია, სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში ლიდერებს ცოტა ჩამოვრჩით, მაგრამ წინ კიდევ უამრავი მატჩია და დარწმუნებული ვარ, მდგომარეობის გამოსწორებას მოვახერხებთ. ყველაზე კარგი მოგონებები 2011 წლიდან? - რა თქმა უნდა ის დღე, როდესაც ლიგის საგ ზური საბოლოოდ გავიფორმეთ, ამან კი მთელს ნეაპოლში უდიდესი ზეიმი გამოიწვია. ძალიან კარგად მახსოვს „მანჩესტერ სიტისთან“ გასვლაზე მოპოვებული ქულა, რადგან ეს პირველი მატჩი იყო ჯგუფურ ეტაპზე და ფრე დადებით შედეგად შეფასდა. საოცარი დღე იყო, როდესაც „ვილიარეალს“ გასვლაზე მოვუგეთ და ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის საგ ზური მოვიპოვეთ - მოკლედ, 2011-მა ბევრი კარგი მოგონება დამიტოვა და იმედია, მომავალშიც ასე იქნება“.

ლაშა წიკლაური

● ვარსკვლავი

რონალდინიო კიდევ ერთი წლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

“ფლამენგოს” ვიცე-პრეზიდენტის **მიშელ ლევის** თქმით, გულშემატკივრებს გუნდში **რონალდინიოს** მომავალზე სანერვიულო აღარ აქვთ, რადგან 31 წლის ფეხბურთელმა კლუბთან ახალი ერთწლიანი კონტრაქტი შეათანხმა და მას ხელს უახლოეს დღეებში მოაწერს. *“გულშემატკივრებს შეუძლიათ ჩათვალონ, რომ სანტა კლაუსმა მათ მშვენიერი საჩუქარი გაუკეთა. რისი თქმა შეიძლება? ჩვენ უბრალოდ ბედნიერები ვართ. მოლაპარაკებები დიდხანს გაგრძელდა, თუმცა საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ საერთო ენა გამოვნახეთ”.*

“ო ჟოგოს” ცნობით, რონისთან ხელმოწერის საზეიმო ცერემონია 30 დეკემბერს (ესე იგი დღეს) უნდა გაიმართოს. ეს ნიშნავს, რომ რონალდინიოს ევროპაში ტრანსფერზე ჭორები უნდა შეწყდეს.

ლევან ბიბილაშვილი

● ამბები

ჯაფუ ჩინოვნიკი ხდება

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **მარკუშ კაფუ** ბრაზილიის სპორტის სამინისტროში პასუხისმგებელ თანამდებობაზე დაინიშნაო, - წერს ბრაზილიური გამოცემა “გლობო”. ბრაზილიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატისა და 2016 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო საკითხების კურატორი იქნება. ვეტერანი ფეხბურთელის თქმით, მან პოლიტიკაში წასვლა სწორედ იმიტომ გადაწყვიტა, რომ მსგავსი მნიშვნელოვანი საქმეებისთვის მოეკიდა ხელი.

ჯეჟმანი პარტიზანის სამსახურში

ბელგრადის “პარტიზანის” პრეზიდენტი **დრაგან ჯურიჩი** კლუბიდან რამდენიმე დღის წინ დათხოვნილი **მლადენ კრსტაიჩის** შემცვლელს ეძებს. შეგახსენებთ, რომ “შალკესა” და სერბეთის ნაკრების ყოფილმა ცენტრალურმა მცველმა პრეზიდენტი ტრანსფერებიდან შემოსული ფულის არარაციონალურად ხარჯვაში დაადანაშაულა, რის შემდეგაც ჯურიჩმა მას კარისკენ მიუთითა. პრეზიდენტი **მატეა კეჟმანის** აგენტს დაუკავშირდა და თანამშრომლობა შესთავაზა. 32 წლის სერბმა თავდამსხმელმა ორიოდე კვირის წინ კარიერის შესაძლო დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება. აგენტი აცხადებს, რომ ჯურიჩთან შეხვედრას იანვრის პირველ რიცხვებში გეგმავს და შესაძლო თანამშრომლობის დეტალებიც მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცნობილი.

ლევან ბიბილაშვილი

ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა

მედცენტრი Shine

გაწუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული ჭრილობები?

გთავაზობთ მაღთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე

მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და კისრის კიდურების არეში

დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა

ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330

მის: ვეკუა 14
www.shine.ge

ძიუდო. ჟამი ფიქრისა და განსჯისა... ინტერვიუ გია თენაძესთან

უკეთესს ალბათ ვერც ვინატრებდით

თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ძიუდოს წამყვან კერათა რიგებში გორი წარმატებით დაბრუნდა. ფეხზე წამოდგომა კი 90-იანი წლების შემდეგ მხოლოდ 2002 წელს ტიტულოვანი ადგილობრივი ფალავნის გია თენაძის მიერ კობა კურტანიძის სახელობის სკოლის შექმნით დაიწყო. წინსვლა ეტაპობრივად გაგრძელდა და დღესაც წარმატებით მიმდინარეობს. სკოლის აღზრდილები წლეულს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულნი იყვნენ საქართველოში. სკოლას რამდენიმე წელია ანზორ თენაძე ხელმძღვანელობს, გია კი ჯერ ქალთა ნაკრების თავკაცი იყო, ხოლო ცოტა ხნის წინათ ჭაბუკთა გუნდიც ჩააბარეს. გორში „სპორტული ცენტრის“ შექმნისთანავე კი მის ხელმძღვანელად დაინიშნა.

- ბატონო გია, პირველ ყოვლისა, წლევანდელ მიღწევებზე გკითხავთ...

- 2011 წელი, წინასთან შედარებით ნაყოფიერი იყო. ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში გვქონდა ისეთი წარმატება, უკეთესს ძნელად რომ ვინატრებდით. ბექა ღვინიაშვილი (81) ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებულია. ბექა ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა გია გუგავამ მსოფლიოს ჩემპიონატზეც წაიყვანა და იქ ბრინჯაოს მედალი ერგო. შეიძლება შეცდომაც იყო, რომ ბექას ახალგაზრდების ევროპა გამოვატოვებინეთ, თორემ მჯერა არც იქიდან დაბრუნდებოდა უმედლოდ. ახალგაზრდულ ნაკრებში ყველაზე გამორჩეული იყო ლაშა შავდათუაშვილი (66). მისი წარმატებები ქვეყნის ჩემპიონატზე მოპოვებული ოქროს მედლით დაიწყო, კარგად გამოვიდა საერთაშორისო ტურნირებში, მოიგო ევროპის ჩემპიონატი, გახდა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. ბოლოს მან ცოტა უკმაყოფილების გრძნობა დაგვიტოვა, როცა საქართველოს ჩემპიონატზე დიდებში მხოლოდ მესამე ადგილი იკმარა, მაგრამ არაუშავს, მომავალი წინ აქვს.

- რა მონაცემებით გამოირჩევა ეს ორი ნიჭიერი მოჭიდავე?

გია თენაძე

- ღვინიაშვილი უაღრესად დიდი ფიზიკური შესაძლებლობების სპორტსმენია, რასაც კარგად უხამებს მდიდარ ტექნიკურ არსენალს. შავდათუაშვილი უფრო კლასიკურ, იაპონურ ძიუდოს ჭიდაობს, დინჯი, მოზომილი მოძრაობებით. იგი ფრთხილია და, მართალია, ქულებს უხვად არ მოიპოვებს, მაგრამ თავადაც არ კარგავს, ძნელად ეცემა ტატამზე. არიან სპორტსმენები, რომელთაც გამუდმებით უნდა უკიჟინო „ივარჯიშეო“, შავდათუაშვილი და ღვინიაშვილი პირიქით, უნდა აიძულო, ვარჯიში შეწყვიტონ. ღმერთმა ნუ ქნას, რომ რამე გაუთვალისწინებელმა (სერიოზულმა ტრავმამ და სხვ) მიზეზმა შეაფერხოს მათი კარიერა. მერწმუნეთ, რომ ისინი უდავოდ დიდი სპორტსმენები გაიზრდებიან.

- რით ახსნით, ახალგაზრდებში მძიმე წონაში ზედიზედ საქართველოს სამგზის ჩემპიონის უშანგი კოკაურის საერთაშორისო არენაზე გამუდმებით ხელმოცარვას.

- ქვეყნის სამგზის ჩემპიონობა მან თითქმის ყველა შეხვედრის წმინდა მოიგებით მოიპოვა. მართალია, ზოგიერთ საერთაშორისო ტურნირზე კვარცხლბეკზეც ადის, მაგრამ ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჯერჯერობით ამას ვერ ახერხებს. ადრე გორის დარბაზში თავის წონის სპარინგ-პარტნიორები არ ჰყავდა. ახლა ვითარება შეიცვალა. უცხოურ არენაზე ერთგვარად „შებოჭილია“, თუმცა ეს არ არის გადაულახავი კომპლექსი. მის ასაკში კიდევ ერთი ძლიერი ძიუდოისტია - ლევან მატიაშვილი. თავაწეულები მოუყვებიან დიდ სპორტის გზას სახელოვანი მამების ღირსეული შვილები, ქუთაისელები - როსტომ ხახალეიშვილი და გუგა კიბორძალიძე.

- უფროსი ასაკის გორელ ძიუდოისტებზე რას იტყვით?

- საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატში მათ ერთი ოქროს და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. შედეგს ურიგო არ ეთქმის, მაგრამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინც დაგვიტოვა, რადგან ბრინჯაოს პრიზიორებს ვაჟა მარგველაშვილს (60), პაატა ღვინიაშვილს და დავით კარბელაშვილს (ორივე - 81) ნამდვილად მეტი შეეძლოთ. ისინი კარგი მონაცემების სპორტსმენები არიან.

- ბევრს გაუკვირდა, 73 კილოში ზვიად ბაზანდარაშვილი კვარცხლბეკს მიღმა რომ დარჩა.

- ეს ბიჭი ნამდვილი ფალავნის მონაცემებით ბუნებრივადაა დაჯილდოებული, შედეგიანად ჭიდაობს ძიუდოს, სამბოს, ქართულს, მაგრამ სამწუხაროდ, რეჟიმს ვერ იცავს. შეუსაბამოა მისი შედეგები და შესაძლებლობები. მწვრთნელებს რომ უჯერებდეს, საქმე გაცილებით უკეთ იქნებოდა.

- თუმცა ამ წონაში ლიდერი მაინც გორის წარმომადგენელია.

- დიახ, ეროვნულ გუნდში ფავორიტი ბაჩო ტატალაშვილია, რომელიც საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატიდან გათავისუფლებული იყო. იგი იმ მცირე ჯგუფშია, ვინც სრულად გაუძლო პეტერ ზაიზენბახერის სანვრთნელ რეჟიმს. ჩვენი ძიუდოისტები არ იყვნენ მიჩვეულები ასეთ ფიზიკურ დატვირთვებს. შეიძლება ავსტრიელს ერთი შეხედვით ძალიანაც გაუკვირდა ეს, ვინაიდან, ახლა ევროპაში დიდ ყურადღებას უთმობენ ფიტნესს და ძირითადად მკლავების ხარჯზე ჭიდაობენ. ასე თუ ისე, ტატალაშვილზე ნეგატიურად არ უმოქმედია ზაიზენბახერის სისტემას. მართალია, ბაროს წლეულს შარშანდელზე დაბალი შედეგი ჰქონდა გრან-პრიზე, მაგრამ ვატყობ, აშკარად მოუმატა. ოლიმპიური ლიცენზიაც თითქმის მოპოვებული აქვს.

- ლიცენზიისათვის ბრძოლაში შავდათუაშვილიც ხომ არ ჩაებმება?

- შავდათუაშვილი ახლა გადავიდა დიდებში და იქ ჯერ მხოლოდ ერთხელ, ჰოლანდიის გრან-პრიზე იასპარეზა. მის წონაში ლიდერი ქარდავაა, რომელსაც დღესდღეობით ტრავმა აწუხებს. ახალი წლიდან ისიც იჭიდავებს ტურნირებზე და ალბათ კონკურენციაში გაირკვევა საუკეთესოს ვინაობა.

- როგორც ქალთა ნაკრების თავკაცი, კმაყოფილი თუ ხართ განვლილი სეზონით?

- ზოგადად თუ ავიღებთ, ჩვენი გოგონები უცხოეთის ტურნირებში ადრინდელთან შედარებით, პირველივე წამებზე აღარ აგებენ და ზოგჯერ დამაკმაყოფილებელ შედეგსაც აჩვენებენ, თუმცა ეს ჯერ არ კმარა. ერთი ოლიმპიური ლიცენზიის იმედი გვქონდა. ნინო ოძელაშვილის მომზადებაზე თანხებიც დაიხარჯა, საერთაშორისო შეჯიბრებებზეც არაერთხელ ვაასპარეზეთ, მაგრამ წინსვლა ძალიან უმნიშვნელო იყო. უფრო ნაყოფიერი შედეგისთვის ფაქტობრივად უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში უნდა ეცხოვრა და იქ ევარჯიშა, მაგრამ ლიცენზიის გარანტიას ამითაც ხომ ვერ მივიღებდით და ფინანსურადაც, რასაკვირველია, ძნელი იყო ასეთი რისკის გაწევა.

- ცოტა ხნის წინათ ძიუდოს ფედერაციამ ქალთა ნაკრებთან ერთად ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელადაც დაგნიშნათ..

-ჩემამდე გიორგი ვაზაგაშვილს საკმაოდ წარმატებული სეზონი ჰქონდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ზაიზენბახერის თანაშემნე, ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური აქტიურ სპორტში დასაბრუნებლად ვარჯიშს შეუდგა, დღის წესრიგში დადგა მისი ჩანაცვლების საკითხი. ამ პოსტზე განიხილეს ვაზაგაშვილის კანდიდატურა, რაც ყველამ საუკეთესო ვარიანტად მიიჩნია. მე კი ჭაბუკთა გუნდი ჩამბარეს. რაც შეეხება სამომავლო იმედებს, გეტყვით, რომ ჭაბუკების ნაკრებს ბექა ღვინიაშვილი ტოვებს. მისი დარი ტალანტები ყოველ სეზონში არ ჩნდებიან. ლიდერის ახალგაზრდებში გადასვლა ჩვენს გუნდს შეეტყობა, თუმცა თუ სწორი მიმართულებით გავაგრძელებთ მუშაობას, შედეგი კვლავაც კარგი იქნება.

- წლეულს როგორ დაკომპლექტდება ნაკრები, მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატის მიხედვით, თუ შარშანდელივით რესპუბლიკური ტურნირების შედეგებსაც გაითვალისწინებთ?

- ნაკრების დასაკომპლექტებლად ერთი თვის წინათ ტურნირი უკვე გავმართეთ გორში, იანვრის ბოლოს საგარეჯოში კიდევ ერთ შეჯიბრებასჩავატარებთ, ბოლოს კი ქვეყნის პირველობაზე გამოვარკვევთ საუკეთესოებს. ნაკრები გაზაფხულზე, ანთალიაში გამოვა ევროპის თასზე, სადაც თითოეულ წონაში იმ ორ-ორი ძიუდოისტის ვინაობა გაირკვევა, რომლებიც ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებენ.

- ნაკრების მწვრთნელები ჭაბუკთა შორის ჩვენში გამართულ სხვადასხვა შეჯიბრებას თუ ესწრებით ტალანტების აღმოსაჩენად?

- რასაკვირველია. სპორტის სამინისტროდან პირდაპირ მაქვს ასეთი დავალება, მეტიც, უნდა შემოვიაროთ რეგიონები და ჩავატაროთ ღია გაკვეთილებიც კი. შედგება მონაცემთა ბაზა. არ დაიკარგება პირველი მწვრთნელის ამაგი. გამოირიცხება ერთი და იგივე ჯგუფის ორ მწვრთნელზე მიწერა ხელფასისა და სხვა მიზეზთა გამო.

- არცთუ იშვიათად, შეჯიბრებების ორგანიზაციული დონე მოიკოჭლებს...

- ცუდია, რომ ასეთი შემთხვევები ხდება. რეგიონებიდან ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მდგომარეობა გორშია. რაც დიდწილად ბატონი გურამ პაპიტაშვილის დამსახურებაა. იგი უაღრესად მოწესრიგებული და ძიუდოს წეს-ტრადიციების პატივისმცემელი კაცია.

- 2015 წლის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე საასპარეზო ძიუდოისტთა ნაკრები უკვე დაკომპლექტდა, თქვენ მისი კურირებაც დაგევალათ...

- ის ძიუდოისტები, რომლებიც ამ ფორუმზე გამოვლენ, ახლა 11-12 წლისანები არიან. ახალჩამოყალიბებულ ნაკრებს ნესტორ ხერგიანი, ბიძინა მოხევიშვილი და ირაკლი უზნაძე უხელმძღვანელებენ, კურირება კი მე იმიტომ დამევალა, რომ თუ იმ დროსაც ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელი ისევ ვიქნები, ფაქტობრივად ჩემი ხელმძღვანელობით მოუწევთ ასპარეზობა. ფედერაციის, სპორტის სამინისტროს და ყველა ჩვენგანის დიდი სურვილია, რომ ოლიმპიურ ფესტივალზე ღირსეულად გამოვიდეთ...

ვასილ ბალახაძე

დავით ასპანიძის ფოტო

ლელოზე ხელმოწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მეტოქე

საყურადღებო ცვლილებები მეტოქის ბანაკში

სად წავა ალიევი, ლაშხთან თუ ცხადაიასთან?

***საქართველოს** ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა გასულ უქმეებზე საქართველოს ჩემპიონატი მოიღია და ახლა მეტად მნიშვნელოვანი მომავალი სეზონისთვის ემზადება. საქმე ისაა, რომ წლეულს მათ არც ისე კარგად იასპარეზეს და დანაკარგის ამოღება გაისად მოუწევთ. მართალია, ამ ნაკრების აქტივში რევაზ ლაშხის (60) მიერ მოპოვებული ევროპის ჩემპიონობაა, რაც საჭიდაო სახეობებში ერთადერთი ტიტულია, თუმცა სეზონის უმთავრეს შეჯიბრებაზე - მსოფლიოს პირველობაზე ერთი მედლისა და ამდენივე ლიცენზიის მეტს ვერაფერს გამორჩა, რაც მანუჩარ ცხადაიას*

(66) დამსახურებაა. გაისად სწორედ სალიცენზიო მარაგის შევსებაზე მოუწევთ ზრუნვა, თუმცა ეს არ იქნება იოლი.

ჩვენებურთა ერთ-ერთმა უმთავრესმა სტრატეგიულმა მეტოქემ - აზერბაიჯანელებმაც წინასაახალწლო დღეებში გამართეს საკუთარი ჩემპიონატი, სადაც ჩვენთვის უაღრესად საინტერესო ამბავიც მოხდა საკადრო გადაადგილებების თვალსაზრისით. თანაც, ისეთ წონებში, რომლებიც ჩვენთვისაც სტრატეგიულია - 60-66-ში. მოგეხსენებათ, 60-ში აქამდე აზერბაიჯანელთა ლიდერი **ჰასან ალიევი** იყო, რომელმაც ახლა ზედა წონაში იჭიდავა და ფინალში ოლიმპიადის ვიცეჩემპიონი **ვიტალი რახიმოვიც** დაამარცხა. ალიევი ორი წლის განმავლობაში დაუმარცხებელი იყო, შარშან კი მისი ტრიუმფი ლაშხმა შეწყვიტა, როცა ევროპის ჩემპიონატზე ულამაზეს შეხვედრაში დაამარცხა. ის ორთაბრძოლა შეჯიბრების კლასიკად იქცა, ალიევი კი მსოფლიოს წინ გამოტყდა, ყველაზე მეტად ქართველთან შეხვედრა მსურსო. სტამბულში მას რევანშის შანსი არ მიეცა, რადგან ისიც და ჩვენებურიც ადრევე გავარდნენ და არათუ ანგარიშსწორება, საკუთარი თავი გაუხდათ სადარდელი.

ალიევს თბილისელი მაყურებელიც კარგად იცნობს, რადგან მისი ზეობა ჩვენი ქალაქიდან დაიწყო, როცა 2009 წელს აქ გამართულ ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე ფინალში **არჩილ თურმანიძე** დაგვიმარცხა და ჩემპიონი გახდა. ალალად უნდა ითქვას - მაშინ სტუმარმა მთელი ტურნირი ძალზე ძლიერად ჩაატარა, თუმცა რაც მომდევნო თვეებში გააკეთა, მთელი ორი სეზონის განმავლობაში, მაინც ძნელად თუ წარმოვიდგენდით - იმავე წელს ახალგაზრდებში დუბლიც შეასრულა ანუ მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, 2010-ში უკვე ეროვნულ ნაკრებში გადაინაცვლა და იქაც დუბლი მიითვალა! ამ წარმატებებში გარკვეული წვლილი **ოთარ ტატიშვილმაც** შეიტანა, რომელიც 2009 წელს გარკვეული პერიოდი იქაური ნაკრების მთავარი მწვრთნელიც იყო და ალიევი მასთანაც ვარჯიშობდა. საინტერესოა, რომ ტატიშვილმა ერთხელ ის დარბაზიდანაც კი გააგდო 5-წუთიანი დაგვიანებისთვის.

შარშან ასევე ძნელად წარმოვიდგენდით, ალიევისთვის წლევანდელი სეზონი თუ ასეთი უფერული იქნებოდა - ბრინჯაო ევროპაზე და მეშვიდე ადგილი მსოფლიოზე. აი, ესაა მისი წლევანდელი მონაგარი, რაც ტალანტად შერაცხილი და წინა სეზონის საუკეთესო ბერძენ-რომაელ მოჭიდავედ ალალად უსახელებული კაცის მონაგარს არ შეესაბამება. მსოფლიოს პირველობამდე ევროპაზე ლაშხთან მარცხი მან ასე ახსნა - შარშანდელმა წარმატებამ ფსიქოლოგიურად გადამღალა და საბრძოლოდ განწყობა ვერ შევძელი, თორემ მომზადებული კარგად ვიყავიო. მაშინ ნათქვამს ისიც დაამატა, რომ ლაშხთან წაგებამ ძილი გაუფრთხო და მოსვენება დაუკარგა.

ეტყობა, ალიევს წონის პრობლემაც აწუხებს, რაკი მისი შეცვლა განიზრახა. თან, ალბათ, ახალ წონასაც მოერგო, რაკიღა რახიმოვის ძლევა შეძლო. ოფიციალური მონაცემებით, რახიმოვი 28 წლისაა, ანუ ვეტერანიც არ ეთქმის, თან ბოლო წლებშიც წარმატებით ჭიდაობდა ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე. ერთი სიტყვით, მისი დამარცხება აღსანიშნავი საქმეა.

ვგონებ, ჩვენთვის საოლიმპიადოდ კიდევ უფრო უკეთესი იქნება, ალიევი ამ წონაში - 66-ში თუ დამკვიდრდება. ამით ცხადაიასთვის არაფერი იცვლება - ალიევი იქნება თუ რახიმოვი, მისთვის ორივე ანგარიშგასაწევი მეტოქეა. თუმცა აქ იმის გახსენებაც არ იქნება ურიგო, ახალ წონაში დამკვიდრებას ადაპტაცია, გარკვეული დრო რომ სჭირდება ანუ ცხადაიასთვის იქნებ ეს კარგიც იყოს. სამაგიეროდ, თუ ალიევი მართლაც გადავა იქ, ამით ლაშხს წონაში ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი მოაკლდება! ახლა აზერბაიჯანის პირველობა 60-ში ვინმე **ხანლარ მამედოვმა** მოიგო, რომელმაც ფინალში **ელხან ფაშაევს** აჯობა. ვფიქრობთ, არც ერთი მათგანი ლაშხის ღირსეული კონკურენტი არაა, თუმცა აქ ისიც შევნიშნოთ, რომ ევროპაზე ისევ შეიძლება მოხდეს ალიევისა და ლაშხის დაპირისპირება - როგორც ჩვენი ნაკრების თავკაცმა **ბეგი დარჩიამ** განაცხადა, კონტინენტის პირველობას ლაშხიც და ცხადაიაც ზედა წონებში იჭიდავებენ. თუმცა რეალურად განხორციელების შემთხვევაში ეს გადაადგილება საოლიმპიადოდ ლაშხისთვის ძალიან კარგი იქნება. სალიცენზიო შეჯიბრებებიც ევროპის პირველობამდე იმართება, ანუ, არც იქ ეყოლება ალიევი და ოლიმპიადაზე ხომ - თავისთავად. თან ჩვენთვის კარგი ისიცაა, რომ აზერბაიჯანს საგზური არც 66-ში აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ სალიცენზიო ტურნირებში ალიევი 60-ში არ გამოვა. ოღონდ აქ არც ისაა გამორიცხული, იქაური მწვრთნელი სალიცენზიოებში ხანლარ მამედოვს არ ენდოს და რომელიმე მათგანში მაინც ალიევი ისევ 60-ში დააყენოს, 66-ში კი კვლავ რახიმოვს ენდოს, რადგან ორივე წარმატების რეალური კანდიდატია, ხოლო საოლიმპიადოდ ანუ თუ საგზურებს გაინაღდებენ, 66-ის ლიდერად ისევ ალიევი დაბრუნოს. თუმცა ეს მაინც ვარაუდია და მასზე დაყრდნობა არაფერს გვარგებს, მაგრამ, ცხადაია, აქედანვე თუ დაიწყებს სავარაუდო მეტოქის ძლიერი თუ სუსტი მხარეების შესწავლას, არ იქნება ურიგო.

ჩვენმა თანამემამულემ, ევროპის პრიზიორმა **შალვა გადაბაძემ** ისევ შეინარჩუნა ლიდერობა აზერბაიჯანის ნაკრებში. მან ფინალში ირანელ მსოფლიოს პრიზიორ **სამან ტახმასიბის** მოუგო. აქ აღსანიშნავი ისაა, რომ თავის დროზე 84 კილოგრამიდან ჩვენებური სწორედ ქურთული წარმოშობის ნატურალიზებულმა ირანელმა ამოაგდო, ახლა კი ახალ წონაშიც გადაჰყვა, თუმცა გადაბაძემ საკუთარი ადგილი მიუჩინა. სხვა წონებში ჩემპიონები **ელდანიზ აზიზლი** (55), **ნიამედინ იბრაგიმოვი** (74), **რაფიკ ჰუსეინოვი** (84) და **მაქსიმ პროხოროვი** (120) გახდნენ.

ირაკლი თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● წლის რჩეულნი

ირაკლი ცირეკიძე

ქუთაისში საუკეთესოდ ცირეკიძე დაასახელეს

ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა და ქალაქის სპორტის მესვეურებმა ქუთაისის 2011 წლის შედეგების მიხედვით საუკეთესო სპორტსმენები, მწვრთნელები და გუნდები გამოავლინეს. გამოკითხვაში მონაწილეებმა ქუთაისის 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენად ერთხმად დასახელეს მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში **ირაკლი ცირეკიძე,** რომლის წლევანდელ მონაგარში შედის საფრანგეთის მსოფლიო თასზე, თურქეთში ევროპის ჩემპიონატზე და იაპონიაში „ძიგორო კანოს“ საერთაშორისო ტურნირზე მოპოვებული ბრინჯაოს მედლები. რაც შეეხება ქუთაისის 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენების ათეულს, წინა წლებისგან განსხვავებით წლეულს სიაში 14 სპორტსმენი მოხვდა. სპორტის სფეროში საუკეთესო საგანმანათლებლო პროექტად დასახელდა „სპორტი და ოლიმპიზმი“, რომლის ავტორია იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის თავჯდომარე **რევაზ რობაქიძე** და მენეჯერი **ლაშა ლოსაბერიძე.** რჩეულთა დაჯილდოება 30 დეკემბერს შედგება ქუთაისის მერიაში.

რჩეულთა შორის რჩეული

ირაკლი ცირეკიძე (ძიუდო) - მწვრთნელი მერაბ მერაბიშვილი

საუკეთესო სპორტსმენები

ნანა ძაგნიძე (ჭადრაკი)

მიხეილ ბახტიძე (კრივი) - მწვრთნელი ანატოლი ცქიფურიშვილი

ავთანდილ ხურციძე (კრივი)

სანდრო ბაზაძე (ფარიკაობა) - მწვრთნელი მერაბ ბაზაძე

მიხეილ მარდალეიშვილი (ფარიკაობა) - მწვრთნელი მერაბ ბაზაძე

რაულ ცირეკიძე (ძალოსნობა) - მწვრთნელი გია ცირეკიძე

ალექსანდრე აბუთიძე (მკლავჭიდი) - მწვრთნელიავთანდილ ახვლედიანი

შოთა გოგისვანიძე (ბ/რ ჭიდაობა) - მწვრთნელი ელგუჯა მარუაშვილი

სერგო გოგისვანიძე (ბ/რ ჭიდაობა) - მწვრთნელი ელგუჯა გოგისვანიძე

მერი არაბიძე (ჭადრაკი) - მწვრთნელი ალექსანდრე არსენიძე

ნინო ფანჩულიძე (ტყვიის სროლა) - მწვრთნელი თემურ მებურიშვილი

ლევან გუგავა (ძიუდო) - მწვრთნელი იური ჯოჯუა

სალომე სირაძე (მძლეოსნობა) - მწვრთნელი ვასილ მახარაძე

ანრი მარგველაშვილი (კარატე) - მწვრთნელი ვაჟა უნგიაძე

საუკეთესო გუნდები

სარაგბო კლუბი „აია“- მწვრთნელი ბესიკ ხამაშურიძე

ხელბურთის გუნდი „ქუთაისი“ - მწვრთნელი გრიგოლ თავხელიძე

საკალათბურთო გუნდი „ქუთაისი 2010“ მწვრთნელი მალხაზ კოხრეიძე.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

● ჭადრაკი

უდანაკარგოდ მხოლოდ გურამიშვილია

იტალიურრეჯო ემილიაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე კვლავ წარმატებით ითამაშა თბილისელმა დიდოსტატმა **სოფიკო გურამიშვილმა** - გუშინ მან იტალიელ მარიანა კიერიჩს 27-ე სვლაზე გააჩერებინა საათი და სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ლიდერობს. ყაიმით დამთავრდა ივა ვიდენოვას (ბულგარეთი) და მარიაგრაცია დე როსას (იტალია) შეხვედრა, მარინა ბრუნელომ (იტალია) კი ანა შარევიჩს (ბელარუსი) სძლია. შარევიჩს 2 ქულა აქვს, დე როსას და ბრუნელოს – 1,5-1,5, ვიდენოვას – 1, კიერიჩს – 0 ქულა.

ვაჟთა პაექრობაში ორი ტურის შემდეგ 6 ქულით (აქ გამარჯვება 3 ქულად ფასობს, ყაიმისთვის - 1, წაგებისთვის 0 ქულა იწერება) რუსი ალექსანდრ მოროზევიჩი მეწინავეობდა. გუშინ იგი 24-ე სვლაზე ჰიკარუ ნაკამურას (აშშ) დაუზავდა და 7 ქულით კვლავაც გათამაშების ცხრილის სათავეშია. ყაიმით დამთავრდა ნიკიტა ვიტიუგოვისა (რუსეთი) და ანიშ გირის (ჰოლანდია) ორთაბრძოლა, ხოლო ვასილი ივანჩუკმა (უკრაინა) შავი ფიგურებით მასპინძელი ფაბიანო კარუანა დაამარცხა. ამდენად, სამი ტურის შემდეგ 5-5 ქულით მეორე-მესამე ადგილებს ივანჩუკი და ნაკამურა ინაწილებენ. შემდეგ მოდიან: გირი, ვიტიუგოვი-2-2, კარუანა-1 ქულა.

დღეს მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართება.

ვაჟა დანელია

მონაგარი ქულით გაიმდიდრა

ციურიხში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველი დიდოსტატი **თორნიკე სანიკიძეც** მონაწილეობს. მეოთხე ტურში ჩვენებური გერმანელ დანიელ ფრიდმანს დაუზავდა, მეხუთეში კი ასევე ქულა გაიყო მიჰაილო სტოიანოვიჩთან (სერბეთი). რაც შეეხება გერმანიის სახელით მოასპარეზე **დავით ბარამიძეს,** მანაც ბოლო ორ ტურში მონაგარს ქულა შესძინა - ალბერტო დავიდსა (ლუქსემბურგი) და ევგენი ვორობიოვს (რუსეთი) შეუთანხმდა ყაიმზე.

ოთხი ტურის შემდეგ 10 მოჭადრაკეს 3,5-3,5 ქულა ჰქონდა. გუშინ მათგან მხოლოდ ბორის გრაჩოვმა (რუსეთი) გაიმარჯვა - სტელოს ჰალკიასს (საბერძნეთი) აჯობა. მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს იგორ კურნოვოსი (რუსეთი) - იანიკ პელეტიური (შვეიცარია), ეჰსან ჩაემი (ირანი) - მაქსიმ ტუროვი (რუსეთი), ალბერტო დავიდი - პეტერ პროხაზკა (უნგრეთი). ვორობიოვ-ბარამიძის ზავზე უკვე ვთქვით.

ხუთი ტურის შემდეგ გრაჩოვს 4,5 ქულა აქვს, ათმა მოჭადრაკემ 4-4 ქულას მოუყარა თავი, მათ შორისაა ბარამიძე. სანიკიძე 3,5 ქულით მეთორმეტე-ოცდამესამე ადგილებს იყოფს.

მე-6 ტურში სანიკიძე ჰალკიასს შეხვდება, ბარამიძე - ჩაემს. ლიდერთა ჯგუფის წევრები ასე დაწყვილდნენ: ალექსეევი - გრაჩოვი, ბარტელი - ვორობიოვი, პროხაზკა - კურნოსოვი, ტუროვი - დავიდი, პელეტიერი - ფრიდმანი.

ვაჟა დანელია

ბოლო ჯურის წინ

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დღეს დამთავრდება **თეიმურაზ ლომაიას** მემორიალი. ბოლო ტურის წინ ოთხივე ასაკობრივ ჯგუფში სატურნირო სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა, განსაკუთრებით - **უფროს ასაკში.** აქ სამ მოჭადრაკეს - **ნინო ხომერიკს, ალექსანდრე ბარამიძესა** და **ვეფხვია ხუბულავას** 5-5 ქულა აქვთ. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით **საბა ამირიძე, ანა კუჭავა** და **გუგა ბურდული** ჩამორჩებიან. გამარჯვებული და პრიზიორებიც მათს დაპირისპირებაში გაირკვევა.

დანარჩენ ჯგუფებში 6 ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა:

8-წლიანები: დიანა ლომაია-6, მარი მირინაშვილი, სალომე მჭედლიშვილი-5-5, ლალი გარსიაშვილი, ქეთი დავითური, სალომე ბეიტრიშვილი, კატო ფიფია-4-4; საბა ლომსაძე, ლაზარე ლომსაძე-5,5-5,5, გიორგი ჯიქია, ბექა პერტაია, გიორგი დემურხანაშვილი, გიორგი წონორია, დათო გაბუნია, გუბაზ ქუხილავა – 5-5 ქულა.

10-წლიანები: სალომე სანიკიძე-5, სალომე ხუცურაული, ეკატერინე ცომაია, ლიზი კავილაძე-4,5-4,5; ცოტნე მამულაიშვილი, კოკა ბუკია-5,5-5,5, ნიკოლოზ პეტრიაშვილი, ლუკა შამუგია, ლუკა გოგია-5-5 ქულა.

12-წლიანები: ნატა ჯიბუტი-6 (ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი), დალი ნანეიშვილი-4,5, მარი ჯანიაშვილი, მარიამ შუბითიძე, თამარ ონიანი-4-4; საბა ამირიძე, გიორგი თავზარაშვილი-5,5-5,5, გურამ ჭელიძე, მიხეილ მუხუგული-5-5, ნიკოლოზ ცომაია-4,5 ქულა.

ვაჟა დანელია

● საქართველოს საფალავნოს ფოტომატიანე

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა წარუშლელი კვალი დატოვა XX საუკუნის მსოფლიოს საჭიდაო სამყაროს ისტორიაში. მაშინ სხვა გზა არ იყო და ქართველ ფალავნებს საბჭოთა ნაკრებში უნევდათ თავის გამოჩენა საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე.

1960-იანი წლების „ბერძნულ-რომაელთა“ ამ თაობამ (იხ. სურათი) შორს გაუთქვა სახელი ქართულ გენს და ჩვენ უნიკალურ საჭიდაო ხელოვნებას, რომელიც შორეულ წარსულში იღებს სათავეს. წინაპართა გენი პირველებმა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გააღვიძეს ჩვენმა ლეგენდარულმა ფალავნებმა თბილისში, ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში ე.წ დროებითი ცირკების არენებზე. „გარდა ქართულის, იქ რეგულარულად იმართებოდა შეჯიბრებები ფრანგულ ჭიდაობაში, რომელსაც კლასიკურ (ბერძნულ-რომაულ) ჭიდაობად მოიხსენიებდნენ“...

1960-იანი წლები. (მარცხნიდან): **თემურ ხართიშვილი, როსტომ აბაშიძე, ომარ ბლიაძე, კოტე ლულუნიშვილი, რომან რურუა, დავით გვანცელაძე, ომარ ეგაძე, არჩილ ხარაბაძე.**

გურამ სალარაძე
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში

შაბათი ორ სვლაში

ავტომობილების ინჟინერ-კონსტრუქტორი, შვიდი წიგნის ავტორი **როლანდ კლდიაშვილი** ბრძენთა თამაშით ჭაბუკობიდანაა გატაცებული, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ადგენს საჭადრაკო ამოცანებს, ამჟამად შვილიშვილ **ნინო კლდიაშვილთან** ერთად მუშაობს ორ-სამსვლიან ამოცანებზე. დღეს გთავაზობთ ბაბუა და შვილიშვილის ორ ნაწარმოებს.



1. გდ3



1. ად7

ყურადღება!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ ფედერაციებს ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

● ბრიჯი

ოლიმპია საქართველოს ჩემპიონი გახდა

დასრულდა საქართველოს 2011 წლის გუნდური პირველობა სპორტულ ბრიჯში 8 გუნდისა და 43 მოთამაშის მონაწილეობით. ნახევარფინალში "ოლიმპიამ" სძლია "ათიკოს", ხოლო "42-ე სკოლამ" – "სამტრედიას". ფინალში

" ოლიმპიამ " აჯობა " 42-ე სკოლის მათემატიკოსებს და ჩემპიონობა მოიპოვა (**რ. ბერიაშვილი, რ. ბურდიაშვილი, გ. გოშაძე, გ. უჩავა**). სხვათა შორის, ეს ის გუნდია, რომელიც საჩვენებელ გამოსვლებში იყო ნარმოდგენილი 2008 წლის ქ. პეკინის ოლიმპიური თამაშების დღეებში. ჩემპიონი საქართველოს ბრიჯის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ჯამბურიამ** დააჯილდოვა.

სპორტული რადიო
ჯა – კო
Ja – Ko
FM 96.3

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სუპერლიგა. XI ტურის რჩეულნი

ნიკიცა და ჯერემი

2011 წლის ბოლო, მე-11 ტური ეფექტურად გაიხსნა – რუსთავში შსს-მ სუპერლიგის მიმდინარე სეზონის რეკორდი დაამყარა, 117 ქულა ჩააგდო. საოცარი შედეგიანობით გამოირჩა ძალოვანთა ამერიკელი გამთამაშებელი **ლარი ბლერი**: 34 წუთში 32 ქულა, 8 პასი, 7-7 ჩაჭრა-მოხსნა. მარგი ქმედების კოეფიციენტს არ იკითხავთ? – 42. დეკემბრის საუკეთესო კალათბურთელი უდავოდ ბლერია.

პარასკევსვე ბათუმში წლევანდელი სუპერლიგის სარეკორდო, 20 მოხსნა გაიფორმა "ქუთაისის" ცენტრმა **რიჩარდ მათიაშვილმა**. ცხადია, მის ანგარიშზე 20-ზე მეტი ქულაა – 28. ასე რომ, სიმბოლური ნაკრებისთვის გამთამაშებელიცა გვყავს და ცენტრიც.

სიმბოლურში მსროლელად და მსუბუქ ფორვარდად წრის ცენტრალური მატჩის, "ოლიმპი"-"არმიას" ორი მონაწილე შევიყვანეთ: **ნიკიცა სლიუკა**, რომელმაც სირენამდე 8 წამით ადრე სამქულიანით ოლიმპელები 61:60 დააწინაურა, ხოლო საპასუხო შეტევაში, სირენამდე წამით ადრე **ჯერემი რიჩარდსონმა** ასევე სამქულიანით "არმიას" 63:62 მოაგებინა. ეს ორი კალათბურთელი ტურის საუკეთესოებად დავასახელეთ.

სიმბოლურ ნაკრებში ერთი ადგილი დაგვრჩა, რომელიც სტუ-ს მძიმე ფორვარდმა **ზვიად ანთაძემ** შეავსო. მისმა გუნდმა "სოხუმი" დაამარცხა და პირველი წრე მეექვსე ადგილზე დაასრულა.

სტუ-სოხუმი	94:74
ოლიმპი-არმია	62:63
დინამო-თსუ	101:91
რუსთავი-შსს	63:117
ბათუმი-ქუთაისი	80:107

რეკორდები

ქულა

41 - ლარი ბლერი (შსს)
2-ქულ 11/21; 3-ქულ 4/8; საჯ 7/8
17.12.11 შსს-თსუ

მოხსნა

20 - რიჩარდ მათიაშვილი (ქუთაისი)
(მეტოქე: 4; საკუთ: 16)
23.12.11 ბათუმი-ქუთაისი

პასი

14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)
29.10.11 შსს-ოლიმპი
14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)
10.12.11 დინამო-ოლიმპი
14 - ბენჟამინ ვუდსაიდი (არმია)
17.12.11 სოხუმი-არმია

ჩაჭრა

7 - რევაზ ჩაჩანიძე (რუსთავი)
29.10.11 სტუ-რუსთავი
7 - ნიკა რამიშვილი (ბათუმი)
11.11.11. ბათუმი-სოხუმი
7 - ლარი ბლერი (შსს)
23.12.11 რუსთავი-შსს

დაფარება

6 - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი)
15.10.11 თსუ-ოლიმპი
6 - ბექა ბექაური (სამედიცინო)
05.11.11 დინამო-სამედიცინო

ქულა

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	ქ	ქ.საშ.
1	ლაშა ფარღალავა	სოხუმი	9	228	25.33
2	ლევან ფაცაცია	სოხუმი	10	249	24.9
3	ძიენ კარტერი	დინამო	7	164	23.43
4	რობერტ კრეესი	შსს	10	231	23.1
5	თორნიკე ნინიაშვილი	თსუ	10	211	21.1
6	ბექა ჩიკვილაძე	სამედიცინო	10	176	17.6
7	ლევან ხმელიძე	რუსთავი	10	169	16.9
8	გიორგი ბარბაძაძე	ქუთაისი	10	169	16.9
9	ლაშა კეშელავა	ბათუმი	10	163	16.3
10	ნიკიტა სლიუკა	ოლიმპი	10	161	16.1
11	რიჩარდ მათიაშვილი	ქუთაისი	9	144	16
12	ირაკლი მიძელაძე	ბათუმი	10	156	15.6
13	დუდა სანაძე	დინამო	10	155	15.5
14	ავთანდილ ელიაშვილი	ბათუმი	9	137	15.22

მოხსნა

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	მ.დაც	მ.შეტ.	მ.სულ	მ.საშ.
1	ძიენ კარტერი	დინამო	7	46	54	100	14.29
2	ლევან ფაცაცია	სოხუმი	10	32	83	115	11.5
3	ილიცა მილუტინოვიჩი	ოლიმპი	10	22	82	104	10.4
4	თორნიკე ნინიაშვილი	თსუ	10	32	69	101	10.1
5	რიჩარდ მათიაშვილი	ქუთაისი	9	26	62	88	9.78
6	ბექა ბექაური	სამედიცინო	10	35	59	94	9.4
7	ლაშა კეშელავა	ბათუმი	10	21	72	93	9.3
8	ზურა მაჩალაძე	სტუ	10	32	58	90	9
9	ივო ჰოუერი	ოლიმპი	9	36	38	74	8.22
10	მიხეილ ბერიშვილი	ოლიმპი	9	18	56	74	8.22

პასი

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	პ	პ.საშ
1	ლაშა გამყრელიძე	ოლიმპი	9	85	9.44
2	მიხეილ ჩიტაშვილი	თსუ	9	67	7.44
3	სანდიეტა გეინსი	არმია	6	39	6.5
4	დავით არწივიძე	რუსთავი	10	62	6.2
5	ირაკლი მიძელაძე	ბათუმი	10	59	5.9
6	ლაშა ფარღალავა	სოხუმი	9	48	5.33
7	რიჩარდ მათიაშვილი	ქუთაისი	9	41	4.56
8	ლევან ცეკვავა	ქუთაისი	9	39	4.33
9	გივი ბაძრაძე	დინამო	10	43	4.3
10	რობერტ კრეესი	შსს	10	41	4.1
11	გიორგი გაფრინდაშვილი	სოხუმი	10	40	4

ჩაჭრა

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	ჩ	ჩ.საშ
1	ნიკა რამიშვილი	ბათუმი	10	30	3
2	სანდიეტა გეინსი	არმია	6	15	2.5
3	შალვა კოხრეიძე	თსუ	9	22	2.44
4	რევაზ ჩაჩანიძე	რუსთავი	10	24	2.4
5	ვასილ ბერუაშვილი	სტუ	10	23	2.3
6	ლაშა გამყრელიძე	ოლიმპი	9	19	2.11
7	ზურა მაჩალაძე	სტუ	10	20	2
8	დუდა სანაძე	დინამო	10	18	1.8
9	გიორგი გულისაგედაშვილი	ოლიმპი	10	18	1.8
10	უილიამ ტომასი	არმია	8	14	1.75

დაფარება

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	დ	დ.საშ
1	ბექა ბექაური	სამედიცინო	10	24	2.4
2	სერგო ათუაშვილი	სოხუმი	8	12	1.5
3	ჟოლივეტ ტუჯანი	შსს	10	15	1.5
4	რიჩარდ მათიაშვილი	ქუთაისი	9	13	1.44
5	ვასილ ბერუაშვილი	სტუ	10	14	1.4
6	ნემანია ილიჩი	სამედიცინო	8	11	1.38
7	იოანიმ შელგოი	არმია	10	13	1.3
8	ილიცა მილუტინოვიჩი	ოლიმპი	10	12	1.2
9	ზურა მაჩალაძე	სტუ	10	11	1.1

შეცდომა

ად.	მოთამაშე	გუნდი	თ	შ	შ.საშ
1	ლაშა ფარღალავა	სოხუმი	9	41	4.56
2	ლაშა გამყრელიძე	ოლიმპი	9	36	4
3	ლევან ცეკვავა	ქუთაისი	9	36	4
4	მიხეილ ჩიტაშვილი	თსუ	9	32	3.56
5	ირაკლი მიძელაძე	ბათუმი	10	32	3.2
6	ნიკა რამიშვილი	ბათუმი	10	29	2.9
7	ძიენ კარტერი	დინამო	7	20	2.86
8	დავით არწივიძე	რუსთავი	10	28	2.8
9	გიორგი ხანიაშვილი	სტუ	10	27	2.7

● ქართველი NBA-ში

ზაზა ფაჩულია: გამომეღვიძა და...



როგორც ველოდით, „ატლანტა ჰოქსმა" სეზონის მეორე მატჩიც დამაჯერებლად მოიგო. „ნიუ ჯერსის" შემდეგ ჯორჯიელებმა „ვაშინგტონი" დაიბრიყვეს და მეოთხე პერიოდის დაწყებამდე თავად დედაქალაქელებიც დარწმუნებულნი იყვნენ „ატლანტას" გამარჯვებაში („ჰოქსი" 85:64-ს იგებდა). საბოლოოდ 101:83.

მასპინძლებმა ამჯერადაც გუნდური თამაშის მაგალითი მოგვცეს, რასაც ქულათა მონაგარიც მოწმობს - ერთბაშად 6 კალათბურთელი ასცდა 10-ქულიან ზღვარს. ორმაგი დუბლი სასტარტო ცენტრმა **ელ ჰორფორდმა** შეასრულა - 15 ქულა, 10 მოხსნა.

ზაზა ფაჩულია მოედანზე ტრადიციულად, პირველი და მესამე პერიოდების ბოლოს შევიდა, მეორე და მეოთხე თორმეტნუთეულების დასაწყისი ითამაშა, მოედანზე 16 წუთი გაატარა და 6 ქულა ჩააგდო. მატჩის წინ ზაზას თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ქართველმა ცენტრმა ჟურნალისტებს განუცხადა:

- მატჩის დილას გამომეღვიძა და მარცხენა მხარში ტკივილი ვიგრძენი. შეხვედრის დაწყებამდე ექიმებს გავესინჯე და თამაშის უფლება დამრთეს. ტრავმა ნიუ ჯერსიში მივიღე, მაგრამ ნამდვილად არ მახსოვს კონკრეტულად რა ეპიზოდში.

„ატლანტა ჰოქსი" მორიგ მატჩს „ნიუ ჯერსი ნეთსთან" შინ, 31 დეკემბერს გამართავს.

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ-ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ 101:83

ზაზა ფაჩულია: 15:59 წუთი, 6 ქულა (2-დან 1 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო), 2 მოხსნა, 1 პასი, 3 ფოლი, 1 შეცდომა.

ᲥᲠᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘᲐ

I ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ

04:28	ზაზამ სმიტი შეცვალა
04:04	შეცდომა: 1
00:37	ორქულიანი: 2ძ (24:15)

II ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ

08:57	ფოლი: 1
08:35	პასი: 1 (სმიტი 2ძ, 33:28)
07:20	ორქულიანი: არაზუსტი
07:18	ჰორფორდმა ზაზა შეცვალა

III ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ

03:23	ზაზამ ჰორფორდი შეცვალა
03:17	ფოლი: 2
01:52	საჯარიმოები: 2/2 (4ძ, 80:59)
00:32	ფოლი: 3
00:32	მოხსნა: შეტ-0, დაც-1

IV ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ

11:30	საჯარიმოები: 2/2 (6ძ)
10:25	მოხსნა: შეტ-0, დაც-2
08:34	ბენსონმა ზაზა შეცვალა

● აქცია

ქართულ-ამერიკული შოუ



სპორტის სასახლეში გაიმართა საჩვენებელი მატჩი ამერიკულ „ჰარლემ ამბასადორსა" და სუპერლიგის ახალგაზრდათა ნაკრებს შორის. შეხვედრა სტუმრებმა 87:76 მოიგეს, თუმცა მთავარი არა ანგარიში, არამედ სანახაობრივი მხარე იყო. ქართველი გულშემატკივარი, რომელმაც ბილეთში არცთუ მცირე თანხა გადაიხადა, გაცილებით უკეთეს სანახაობას რომ ელოდა, ეს მატჩის შემდეგაც იგრძნობოდა.

ერთი კი ფაქტია - ეფექტური კალათბურთი ქართველ ახალგაზრდებს მეტად თუ არა, არანაკლებად გამოუვიდათ.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დაჯილდოება

ბესიკ ხამაშურიძის ბენეფისი

სამ ნომინაციაში გამარჯვებული ბესიკ ხამაშურიძე

მამუკა გორგოძის კუთვნილი პრიზი ლევან ვასაძემ ნაკრების მენეჯერს გადასცა

საქართველოს ჩემპიონი არმია

ვერცხლის პრიზიორი აია

საქართველოს რაგბის კავშირმა ტრადიციულად წლის ბოლოს სეზონის მონაგარი შეაჯამა. საზეიმო ცერემონიალს „გამოფენის“ მე-6 პავილიონში ასევე ტრადიციულად ცნობილი ტელეკომენტატორი, ვეტერანი მორაგბე **თემურ ჯაფარიძე** უძღვებოდა.

სანამ დაჯილდოება დაიწყებოდა, რაგბის თემს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ** მიმართა, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა სეზონის განმავლობაში სახვადასხვა ასაკის ქართველი მორაგბეების მიერ მიღწეული წარმატებები.

მამუკა გორგოძე

„2011 წელი ქართული რაგბისთვის წარმატებული იყო. ამის დასტურად თუნდაც ჩვენი ეროვნული ნაკრების მსოფლიოს თასზე გამოსვლა გამოდგება. „ბორჯღალოსნების“ თამაშმა ქართულ რაგბის მსოფლიოს აღიარება მოუტანა. სწორედ ამის შედეგია, რომ რაგბის საერთაშორისო საბჭო (IRB) 2013 წლიდან ელიტარული ქვეყნების რანგში აგვიყვანს და შესაბამისად დამოკიდებულებაც სათანადო იქნება.

წლეულს გამართული საქართველოს ჩემპიონატი ერთ-ერთი გამორჩეული იყო. გუნდების სათამაშო დონე უდავოდ ამაღლდა. შეჯიბრების მშვენება კი ფინალური მატჩი გამოდგა. „არმიასა“ და „აიას“ დაპირისპირებაში იყო ყველაფერი, რითაც რაგბია მშვენიერი - თავდადებული ბრძოლა, მატჩის ბოლო წუთებამდე შენარჩუნებული ინტრიგა და დრამატიზმი.

საკმაოდ საინტერესო, მაღალი დონის მატჩები გაიმართა ჭაბუკთა A და B ლიგებში. ახალგაზრდულმა გუნდებმა დიდი გამოცდილება მიიღეს. წარმატებით იასპარეზეს საერთაშორისო არენაზე საქართველოს 18 და 19-წლამდელთა ნაკრებებმა. ისინი ევროპის ჩემპიონები გახდნენ და რანგით კიდევ უფრო მაღალ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, მწვრთნელებს, მსაჯებს, მოთამაშეებს, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მუხლჩაუხრელად შრომობენ. ჩვენი ყველაზე დიდი მიღწევა კი ისაა, რომ შევინარჩუნეთ ერთობა და სხვებისგან განსხვავებული იმით ვართ, რომ ერთიანი, ძმური სარაგბო ოჯახი გვაქვს. ეს არის ჩვენთვის ყველაზე დიდი პრიზი და ამას ვერანაირი მედალი თუ ჯილდო ვერ შეცვლის.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ასევე ყველა იმ ადამიანს და ორგანიზაციას, ვინც მთელი ამ დროის განმავლობაში გვერდით გვედგა და გვეხმარებოდა. ჩვენს ხელისუფლებას, რომლის ოთხწლიანი პროგრამის გარეშეც ამდენს ვერაფრით მოვახერხებდით. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“, რომელიც შესანიშნავ სტადიონებს გვიშენებს. ასევე სპონსორებს „კვარციტს“, „ნატახტარს“, „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“, „კავკაზუსს“, „ლიბერთი ბანკს“ და ყველა იმ კერძო პირს, ვინც უანგაროდ გვეხმარებოდა.

სამომავლოდ გასაკეთებელი ათასჯერ მეტია, ვიდრე აქამდე გვიკეთებია. ახლა ქართული რაგბი გაცილებით მაღალ რანგშია და, შესაბამისად, მეტი მოგვეთხოვება“.

ცერემონიალი საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებულისა და პრიზიორების დაჯილდოებით დაიწყო. „არმიას“, „აიასა“ და „ლოკომოტივს“ შესაბამისად ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები გადასცეს.

ამის შემდეგ თემურ ჯაფარიძემ საქართველოს ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები დაასახელა, რომელშიც ყველაზე მეტი წარმომადგენელი ქვეყნის ჩემპიონ „არმიადან“ მოხვდა, ოთხი მორაგბე ჰყავს საუკეთესოთა შორის „აიას“, სამი მრავალგზის ჩემპიონ „ლოკომოტივს“, ორიც - „ლელოს.

2011 წლის საუკეთესო ქართველ მორაგბედ საქართველოს ნაკრებისა და „მონპელიეს“ მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე** დაასახელეს, რომელიც „ბაზის ბანკმა“ ხუთი ათასი ლარით დააჯილდოვა.

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მექუსე „არმაზის“ მგზავი **დავით კიკნაძე** გახდა, რომელმაც გუნდს 195 ქულა მოუტანა. მერე კი ქუთაისის „აიას“ მოთამაშე-მწვრთნელის, **ბესიკ ხამაშურიძის** ბენეფისის ჯერიც დადგა. „ანტილოპამ“ სამ ნომონაციაში გაიმარჯვა. ის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მელელოვე (13 ლელო), საუკეთესო მწვრთნელი და საუკეთესო მოთამაშეა. ყოველივე ამისთვის მას ჯილდოდ მუსიკალური ცენტრი, პლაზმური ტელევიზორი და ციფრული ფოტოკამერა ერგო.

„მინდა ყველას დიდი მადლობა ვუთხრა ჩემი დამსახურების აღიარებისთვის. მართლაც ძალიან ბევრი ვიშრომეთ, რაც საფრანგეთიდან ჩამოვედი, სახლისა და სტადიონის გარდა არსად დავდივარ. ბევრს ჯერაც საფრანგეთში ვგონივარ. სამომავლოდ, ვეცდებით, ქუთაისის „აიამ“ მუდამ ღირსეულად იასპარეზოს. გუნდში ძალიან ბევრი ახალგაზრდა მორაგბე გვყავს და ასპარეზს მათ დავუთმობთ“. - თქვა „აიას“ მოთამაშე-მწვრთნელმა ბესიკ ხამაშურიძემ.

ღონისძიებაზე უყურადღებოდ არც ვეტერანები დარჩენილან. ვისაც წლეულს 50, 60 და 70 წელი შეუსრულდა, რაგბის კავშირმა დაასაჩუქრა. ესენი არიან: **ირაკლი კიზირია, მურად თოფურიძე, გენადი ღადუა, გოჩა აბაშიძე, დავით კილასონია, მერაბ ოდიშელაშვილი, გივი ავლასტიმოვი, ირაკლი დოლიძე, თამაზ სახლთხუციშვილი, გიზო ურუშაძე, ალექსანდრე ცისკარიშვილი, ვახტანგ კაპანაძე, ზაალ გიგინეიშვილი, მიხეილ გარუჩავა, გიორგი ბერიაშვილი** და **თენგიზ თავაძე.**

რაგბის ვეტერანები დაჯილდოების ცერემონიალზე

წლის ნომინანტები

2011 წლის საქართველოს საუკეთესო მორაგბე: **მამუკა გორგოძე** (მონპელიე).

2011 წლის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მორაგბე: **ბესიკ ხამაშურიძე** (აია).

2011 წლის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელი: **ბესიკ ხამაშურიძე** (აია).

2011 წლის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მელელოვე: **ბესიკ ხამაშურიძე** (აია) - 13 ლელო.

2011 წლის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მექუსე: **დავით კიკნაძე** (არმაზი) - 195 ქულა.

სიმბოლური ნაკრები

15. ბესიკ ხამაშურიძე (აია), 14. გიორგი შკინინი (არმია), 13. სანდრო თოდუა (ლელო), 12. ირაკლი ჩხიკვაძე (აია), 11. ალექსანდრე ტუჩაშვილი (არმია), 10. ლაშა ხმალაძე (ლელო), 9. ბიძინა სამხარაძე (არმია).

1. ზურაბ ჟვანია (აია), 2. ბექა მეკოკიშვილი (არმია), 3. გიორგი ვეფხვაძე (ლოკომოტივი), ტარიელ ჩხიკვაძე (აია), 4. ხვიჩა ბუჯიაშვილი (არმია), 5. დავით ჩიტიძე (ლოკომოტივი), 6. გიორგი თხილაშვილი (არმია), 7. გიორგი კალმახელიძე (არმია), 8. გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), ბესო უდესიანი (არმია).

თავდადებულები

ვილიამ კაიფაჯიანი, დავით კიკნაძე (არმაზი), გიორგი ჭუაძე, ივანე დავითაშვილი (ორივე-აკადემია), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), უჩა ალადაშვილი, ილია გოგიშვილი (ორივე-ხარები).

ბესიკ ჯანგავაძე
გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები

msy-gov-ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ვაშინგტონი ზეიმობს

მეფეებს ახალი მწვრთნელი მოუხდათ

რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. პლეი ოფის ზონაში მყოფი „ნიუ ჯერსი“ საკუთარ მოედანზე ხვდებოდა „ბაფალოს“, რომელიც აშკარა კრიზისშია და ამაოდ ცდილობს პლეი ოფის ზონაში დაბრუნებას. „სეიბრზს“ დღევანდელ შეხვედრამდე ბოლო 12-დან რვა მატჩი ჰქონდა წაგებული.

„ბაფალო“ ამჯერადაც დამარცხდა. „ნიუ ჯერსის“ მეორე პერიოდის მეშვიდე წუთისთვის პრაქტიკულად გადაწყვეტილი ჰქონდა მატჩის ბედი, როცა სამი გოლი გაუტანა მეტოქეს.

„დევილზი“ მეექვსე ადგილზეა აღმოსავლეთში, „ბაფალოს“ კი მე-11 პოზიცია უკავია და პლეი ოფის ზონას ორი ქულით ჩამორჩება.

აღმოსავლეთის ლიდერის - „რეინჯერსის“ ხუთმატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა „ვაშინგტონმა“, რომელიც „ბაფალოს“ მსგავსად ჯერაც პლეი ოფის ზონის მიღმა იმყოფება.

არასტაბილურად მოთამაშე დედაქალაქურმა კლუბმა ამჯერად აღმავლობით ჩაატარა მთელი შეხვედრა. „ვაშინგტონს“ მხოლოდ პირველ პერიოდში გაუჭირდა, როცა **იოჰანსონის** შაიბას რეინჯერსელმა **დუბინსკიმ** უპასუხა და პირველ შესვენებაზე გუნდები საყაიმო ანგარიშით გავიდნენ.

მეორე პერიოდში „ვაშინგტონი“ **ბროუერმა** გაიყვანა წინ, ხოლო „რეინჯერსს“ გადამწყვეტი დარტყმა რუსმა ჰოკეისტებმა მიაყენეს. **ოვეჩკინის** გადაცემებით დუბლი შეასრულა **სიომინმა** და „ვაშინგტონმა“ 4:1 გაიმარჯვა. „რეინჯერსმა“ ათით მეტი ზუსტი დარტყმა შეასრულა, მაგრამ შესანიშნავად თამაშობდა ვაშინგტონელთა კარის დარაჯი **ტომაშ ვოკოუნი**, რომელმაც 31 დარტყმა მოიგერია.

კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფება რეგულარული ჩემპიონატის ყოფილი ლიდერი „მინესოტა უაილდი“. ეს გუნდი სტუმრად „ნეშვილის“ წინააღმდეგ სათამაშოდ შვიდმატჩიანი წაგებათა სერიით ჩავიდა და გუშინ ზედიზედ მერვე შეხვედრა წააგო.

პირველ ორ პერიოდში მაყურებელმა მეკარეების ბრწყინვალე თამაში იხილა. ნეშვილელმა **პეკა რინემ** და მინესოტელმა **ჯოშ ჰარდინგმა** 40 წუთი მშრალად შეინახეს საკუთარი კარი, თუმცა მესამე პერიოდში მაინც გაუშვეს თითო შაიბა - ანგარიში მეშვიდე წუთზე ნეშვილელმა **ჯორდინ ტუტუმ** გახსნა, საფინალო სირენამდე სამი წუთით ადრე კი თანაფარდობა აღადგინა **დენი ჰიტლიმ**.

დაინიშნა ოვერტაიმი, რომელმაც გამარჯვებული ვერ გამოავლინა, ბოლოს კი საქმე ბულიტების სერიამდე მივიდა და იქ ერთადერთი ზუსტი დარტყმა „ნეშვილის“ ფორვარდმა **კოლინ უილსონმა** განახორციელა. „მინესოტამ“ სამივე პენალტი გააფუჭა და ზედიზედ მერვე შეხვედრა წააგო რეგულარულ ჩემპიონატში.

ძალიან მოუხდა მწვრთნელის შეცვლა „ლოს ანჯელესს კინგზსს“. მას შემდეგ, რაც ამ გუნდს სათავეში **დერილ სატერი** ჩაუდგა, „მეფეებმა“ ხუთიდან ოთხი შეხვედრა მოიგეს. ამჯერად მათ სერიოზული გამოცდა ელოდათ - სტუმრად თამაშობდნენ რეგულარული ჩემპიონატის ლიდერის „ჩიკაგოს“ წინააღმდეგ.

მაყურებელმა შემტევი ჰოკეი იხილა - ორივე გუნდმა 38-38 ზუსტი დარტყმა შეასრულა. შეუდარებელი იყო „ლოს ანჯელესის“ მეკარე **ჯონათან კუიკი**, რომელმაც ყველა დარტყმა მოიგერია და „შათაუტი“ შეასრულა, „ჩიკაგოს“ მეკარე **კროუფორდი** კი ორ დარტყმას ვერ გაუმკლავდა - „ლოს ანჯელესმა“ თითო შაიბა გაიტანა მეორე და მესამე პერიოდებში.

„კინგზმა“ ამ გამარჯვებით მეცხრე ადგილზე გადაინაცვლა და ქულების რაოდენობით გაუთანაბრდა მერვეადგილოსან „დალასს“.

ნიუ ჯერსი-ბაფალო 3:1

1:0, 2:1, 0:0

გოლები: 1:0 სიკორა-9 (ელიაში-18, ბროდო-3), 2:0 სიკორა-10 (ელიაში-19, ვოლჩენკოვი-5), 3:0 პარიზე-12 (ფეინი-5, ენრიკე-18), 3:1 ვანეკი-18 (ლეოპოლდი-7, სტეფორდი-13).

ვაშინგტონი-რეინჯერსი 4:1

1:1, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 მ. იოჰანსონი-7 (ჰალპერნი-7), 1:1 დუბინსკი-3 (კელეჰანი-14), 2:1 ბროუერი-10 (ჯ. კარლსონი-17), 3:1 სიომინი-8 (ბექსტრიომი-24, ოვეჩკინი-14), 4:1 სიომინი-9 (ოვეჩკინი-15, ელზნერი-10).

ნეშვილი-მინესოტა 2:1 (ბ)

0:0, 0:0, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 ტუტუ-6 (ბლუმი-4, ბუიონი-5), 1:1 პიტლი-11 (პროსერი-5, მ. კოვუ-22).

ბულიტები გაიტანეს: კ. უილსონი (ნეშვილი).

ჩიკაგო-ლოს ანჯელესი 0:2

0:0, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 პანტერი-2 (კლიფორდი-4, ფრეზერი-1), 0:2 სტოლი-4 (ჯასტინ უილიამსი-17, დაუტი-13).

ფინიქსი-ბოსტონი 1:2 (ო)

1:1, 0:0, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 კრეისი-7 (ჰორტონი-13, მარშანი-15), 1:1 რეი უიტნი-13 (ლენგკოუ-11, შლემკო-10), 1:2 საიდენბერგი-2 (ჰუიო-3, კ. კელი-9).

სან ხოსე-ვანკუვერი 2:3 (ო)

0:1, 2:1, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 დ. სედინი-15 (ჰ. სედინი-33, ედლერი-20), 0:2 ჯესლერი-10 (ედლერი-21, ბიეკსა-16), 1:2 კუტური-16 (მარლო-14), 2:2 ჯ. ტორნტონი-7, 2:3 ებეტი-4 (ბიეკსა-17, ჰანსენი-11).

კროსბი მსუბუქად ვარჯიშობს

„პიტსბურგ პინგვინგზის“ მთავარმა მწვრთნელმა **დენ ბილსმამ** ბოლო ინფორმაცია გააცნო ჟურნალისტებს გუნდის კაპიტნის **სიდნი კროსბის** ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. შეგახსენებთ, რომ მძიმე ტვინის შერყევის შემდეგ ჰოკეიში დაბრუნებულმა კროსბიმ ისევ ტრავმა მიიღო და კვლავ გამოვიდა მწყობრიდან.

„კრობის ისევ აქვს ტვინის შერყევის სიმპტომები. ახლა ის მსუბუქი ვარჯიშებით არის დაკავებული“, - განაცხადა ბილსმამ.

ჩოგბურთი

ჯოკოვიჩი: ჯერ მარადონა, შემდეგ პირველი მოგება

ნოვაკი აბუ დაბიში როჯერ ფედერერზე გავიდა, ნადალი კი რამდენიმე კვირა დასვენებას აპირებს

მსოფლიოს პირველ ჩოგან **ნოვაკ ჯოკოვიჩს** ახალი სეზონისთვის მზადებისას ლეგენდარულ **დიეგო მარადონასთან** ურთიერთობის საშუალება მიეცა. საემიროებში მომუშავე არგენტინელი აბუ დაბიში სერბი ჩოგბურთელის ვარჯიშს დაესწრო და თავისი საჩოგბურთო თვისებები წარუდგინა ჯოკოვიჩს.

„ლეგენდარულმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ ყველას დაგვიმტკიცა, რომ კარგად შეუძლია ჩოგნის ხმარება. ის ჩოგბურთს გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე მე ფეხბურთს“, - დაწერა საკუთარ „ტვიტერზე“ ჯოკოვიჩმა.

გარდა ამისა, ნოვაკმა საკუთარ გვერდზე განათავსა ვიდეო, რომელშიც მარადონა ვირტუოზულად ჟონგლიორობს ჩოგბურთის ბურთით.

„დიეგოსთვის ბურთის ზომას მნიშვნელობა არ აქვს“, - მიაწერა ამ ვიდეოს სერბმა ჩოგბურთელმა.

■ ■ ■

მეორე დღეს ჯოკოვიჩი აბუ დაბის საჩვენებელ ტურნირში ჩაება. როგორც უკვე ვწერდით, წილისყრის თანახმად, ნოვაკს მეოთხედფინალის თამაში უწევდა მსოფლიოს მე-16 ჩოგანთან, ფრანგ **გაელ მონფილსთან**. სერბმა მეორე სეტში 4:6 წააგო, სამაგიეროდ, პირველი და მესამე პარტია ერთნაირი ანგარიშით - 6:2 მოიგო და ნახევარფინალში გავიდა, სადაც შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** შეხვდება.

გუშინვე ირკვეოდა მსოფლიოს მეორე ჩოგნის **რაფაელ ნადალის** მეტოქე ნახევარფინალში. ამ უფლებისთვის ერთმანეთს ებრძოდნენ ესპანელი **დავიდ ფერერი** და ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა**. აქაც ყველაფერი სამ სეტში გადაწყდა და ისევ ფრანგი გამოვიდა დამარცხებული. ფერერმა 2:6, 7:6, 6:2 გაიმარჯვა.

■ ■ ■

ესპანელ რაფაელ ნადალს ისევ აწუხებს ტრავმა. „დიდი სლემის“ ტურნირების 10-გზის ჩემპიონმა განაცხადა, რომ ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ რამდენიმე კვირა პაუზას აიღებს და ტრავმირებულ მხარს იმკურნალებს. რაფას თქმით, ის სწორედ ამ დაზიანების გამო ვერ იხარჯება ასი პროცენტით.



ნოვაკი და დიეგო

ავტოსპორტი

ინდოელები არ ხუმრობენ

ერთ-ერთ წინა ნომერში ვნერდით ინდური სარბოლო ჩემპიონატის შესახებ, რომლის სახელწოდებაა - i1 Super Series. ხუთეტაპიანი ჩემპიონატი, რომელშიც საკუთარი გუნდები ეყოლებათ ინდოეთის ქალაქებს, სტარტს 21 იანვარს აიღებს და 10 მარტს დასრულდება. მონაწილეები 250 ცხენის ძალის სპორტკარებით (Radical SR3) გამოვლენ.

i1 Super Series ჩვეულებრივი რეგიონული პირველობა იქნებოდა, რომ არა მონაწილეთა შემადგენლობა - საბოლოო სიაში ფორმულა 1-ის ცხრა ყოფილ პილოტს ვხედავთ, მათ შორისაა მსოფლიოს ერთი ჩემპიონი და გრან-პრის სამი გამარჯვებული. სტარტზე გავლენ: **ჟაკ ვილნევი, ჯანკარლო ფიზიკელა, ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი, ჟან ალეზი, მიკა სალო, ვიტანტონიო ლიუცი, ქარუნ ჩანდჰოკი, ალექს იონგი** და **საკონ იამამოტო**.

ცალკე იქნება ახალგაზრდა პილოტების ჩათვლა. აქ ვიხილავთ „რედ ბულის“ ტესტპილოტს **ნილ იანის**, სამგზის მსოფლიოს ჩემპიონის **ნიკი ლაუდას** ვაჟს - **მატიამ ლაუდასა** და სხვებს. სიაში არის ორი ქალი პილოტი: პიპა მანი და სინდი ალემანი.

i1 Super Series-ის მთლიანი საპრიზო ფონდი 2 მილიონი დოლარი გახლავთ.

გამოკითხვა

ჟურნალისტების რჩეულნი

ჟურნალისტმა საერთაშორისო ასოციაციამ (AIPS) ტრადიციულად წლის შედეგები შეაჯამა და საუკეთესო სპორტსმენები დაასახელა. გამოკითხვის თანახმად, 2011 წლის ლაურეატები გახდნენ სერბი ჩოგბურთელი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და ნორვეგიელი მოთხილამურე **მარიტ ბიორგენი**.

AIPS-ის პრესცენტრის ინფორმაციით, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 82 ქვეყნის 379-მა ჟურნალისტმა. ჯოკოვიჩმა, რომელიც ზედიზედ მეორედ გახდა პრესის წარმომადგენელთა ლაურეატი, 812 ქულა (23,74%) მიიღო. „ბარსელონას“ არგენტინელმა ფეხბურთელმა **ლეონელ მესიმ**, ისევე როგორც გასულ წელს, მეორე ადგილი დაიკავა. მან ხმების 12,18 პროცენტი დაიმსახურა. მესამეზეა იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი** (441, 12,89%).

ქალებს შორის ბიორგენმა 576 ქულა (17,78%) დააგროვა. შემდეგ მოდიან კენიელი მძლეოსანი **ვივიან ჩერუიოტი** (566, 17,47%) და იტალიელი მოცურავე **ფედერიკა პელეგრინი** (448, 13,83%).

წლის გუნდი გახდა „ბარსელონა“ (1411, 43,07%). მეორე ადგილი დაიკავეს ზელანდიელმა მორაგბეებმა (1000, 30,53%), მესამე - ბრაზილიელმა ქალმა ფრენბურთელებმა (617, 18,83%).

AIPS (International Sports Press Association) 1924 წელს შეიქმნა. ასოციაციაში 130 ქვეყნის ჟურნალისტია გაერთიანებული. AIPS ერთგვარი შუამავალია საერთაშორისო პრესასა, სპორტსმენებსა და სპონსორებს შორის, ატარებს შეკრებებსა და სემინარებს დამწყები ჟურნალისტებისთვის.

ამბები

ჩოგბურთი

არანჩა კაპიტანი გახდა

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, 40 წლის **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** ფედერაციის თასზე ესპანეთის ქალთა ნაკრების კაპიტანი გახდა.

ქვეყნის ჩოგბურთის ფედერაციამ „დიდი სლემის“ ტურნირების ოთხგზის ჩემპიონთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. აღსანიშნავია, რომ სანჩეს-ვიკარიო ნაკრების რეკორდსმენია ფედერაციის თასზე მოპოვებული გამარჯვებებით - 50 ერთეულთა თანრიგში და 22 - წყვილებში.

არანჩას ესპანეთის ნაკრების კაპიტნის როლში დებიუტი 2012 წლის 4-5 თებერვალს ექნება, როცა მისი გუნდი მეოთხედფინალში რუსეთის ნაკრებს შეხვდება.

კლეიბანოვა როლან გაროსს გეგმავს

რუსული პრესის ცნობით, ამ ქვეყნის ერთ-ერთმა წამყვანმა ჩოგბურთელმა **ალისა კლეიბანოვამ**, რომელმაც შარშან კარიერა კიბოს ავადმყოფობის გამო შეწყვიტა, ქიმიოთერაპიის კურსი დაასრულა და იმედი აქვს, რომ თებერვალში ფლორიდაში გაემგზავრება, სადაც ვარჯიშს დაიწყებს და კორტზე დაბრუნებას ეცდება.

თუ ყველაფერი ნორმალურად ჩაივლის, კლეიბანოვას მწვრთნელები იმედოვნებენ, რომ ჩოგბურთელი როლან გაროსის წინ რამდენიმე ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. თუმცა ისინი ხვდებიან, რომ ეს რთული პროცესი იქნება.

ქალათბურთი

ფინიქსი რედს იმატებს

„ფინიქს სანზის“ ხელმძღვანელობა შედეგიანი მცველის ძიებით არის დაკავებული და შემადგენლობის გაძლიერებისთვის ერთ-ერთ ვარიანტად 32 წლის **მაიკლ რედის** კანდიდატურას განიხილავს. მოთამაშემ უკვე რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა „ეირვეის ცენტრში“ და უახლოეს დღეებში კონტრაქტს გააფორმებს კლუბთან.

ბოლო სამი სეზონის განმავლობაში ტრავმის გამო რედმა მხოლოდ 61 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ბოსტონური კრიზისი

სამიდან სამი მოგებით დაიწყო რეგულარული ჩემპიონატი ერთ-ერთმა მთავარმა ფავორტმა „მაიამი ჰიტმა“. თუმცა გუშინ, ფლორიდელებს მოულოდნელად ძალიან გაუჭირდათ სტუმრად „შარლოტ ბობკეტსის“ დამარცხება.

პირველ ტაიმში მასპინძელთა გუნდი მთლიანად დომინირებდა ფარქვეშ ბრძოლაში. „შარლოტმა“ ათით მეტი მოხსნა შეასრულა და დიდ შესვენებაზე 15-ქულიანი უპირატესობით გავიდა - 60:45. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მასპინძელთა რიგებში ფრანგი **ბორის დიაო**, რომელმაც შეხვედრა 16 ქულითა და 16 მოხსნით დაასრულა.

„მაიამი“ მესამე მეოთხედში გამოფხიზლდა და ბრწყინვალე დაცვით გამოასწორა სიტუაცია. ამ 12 წუთის განმავლობაში „შარლოტი“ 25-ჯერ ფლობდა ბურთს და აქედან „ჰიტმა“ მეტოქეს 12-ჯერ დააშვებინა შეცდომა. სწორედ ამის ხარჯზე „მაიამმ“ ეს მეოთხედი 14 ქულის სხვაობით მოიგო და ბოლო 12-წუთეულის წინ „შარლოტის“ უპირატესობა ერთ ქულამდე დავიდა.

მეოთხე მეოთხედში თამაში, ძირითადად, ქულა ქულაში მიდიოდა. ბრწყინვალე იყო ამ დღეს **ლებრონ ჯეიმსი**, რომელმაც 35 ქულით, 6 მოხსნით და 7 შედეგიანი პასით დაასრულა შეხვედრა, თუმცა მთავარი სიტყვა „მაიამის“ მეორე ლიდერმა **დუეინ უეიდმა** თქვა. საფინალო სირენამდე სამი წამით ადრე, როცა „შარლოტი“ წინ იყო 95:94, სწორედ უეიდმა ჩააგდო გამარჯვების მომტანი ბურთი. 96:95 - „მაიამის“ სასარგებლოდ და ეს გუნდი სამიდან სამი მოგებით ლიდერობს აღმოსავლეთ კონფერენციას.

■ ■ ■

მემფისში გასული წლის ნახევარფინალისტთა დაპირისპირება შედგა. „ოკლაჰომამ“ „მაიამის“ მსგავსად სამ მატჩში ასპროცენტიან მაჩვენებელს მიაღწია, ამასთან, **კევინ დურანტმა** ისევ დააგროვა 30 ქულაზე მეტი. აღსანიშნავია, რომ გასულ სეზონში შედეგიანობის ეს ზღვარი „ოკლაჰომას“ წარმატების ერთგვარი ბარომეტრი იყო. გუნდმა 29-დან 24 მატჩი მოიგო იმ დროს, როცა მისმა ლიდერმა 30 ან მეტი ქულა დააგროვა.

ამ მატჩში რამდენიმე საინტერესო მომენტს ჰქონდა ადგილი. ჯერ ერთი, **რასელ უესტბრუკმა** მთლიანად ჩააგდო მატჩი - 13-დან ვერც ერთი ტყორცნა ვერ მოათავსა კალათში; კევინ დურანტმა საწყისი შვიდი ტყორცნიდან ექვსი ააცილა, მაგრამ შემდეგ გაასწორა მიზანი და თავისი გუნდი გამარჯვებამდე მიიყვანა; „მემფისმა“ თამაშიდან პირველი ბურთი სასტარტო მეოთხედის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ჩააგდო; ორივე გუნდმა თითქმის მიაღწია 100-ქულიან ზღვარს, მაგრამ ტყორცნების გამოყენების პროცენტი 40-ს არ აღემატებოდა; „გრიზლისმა“ ზედიზედ მეორე მატჩი წააგო იმ დროს, როცა მისმა სამმა ლიდერმა ორმაგი დუბლი შეასრულა. საბოლოოდ, დურანტისა და **ჯეიმს ჰარდენის** აუღელვებელმა და კონცენტრირებულმა თამაშმა სტუმრებს საგარეო გამარჯვება მოუტანა.

■ ■ ■

ღრმა კრიზისში იმყოფება „ბოსტონი“. „კელტებმა“ 2007 წლის შემდეგ პირველად წააგეს სეზონის სასტარტო სამი მატჩი. **პოლ პირსის** გარეშე „ბოსტონის“ დაცვა და შეტევა არაფრად ვარგა. თუმცა „ნიუ ორლეანთან“ „სელტიქსის“ წაგებას მაინც ვერავინ წარმოიდგენდა, მით უმეტეს, რომ „ჰორნეტსს“ თავისი ახალი ლიდერი **ერიკ გორდონი** არ ჰყავდა, რომელმაც პირველ მატჩში მუხლი დაიზიანა. სამაგიეროდ, შემადგენლობაში დაბრუნდა **ჯარეტ ჯეკი** და ის მატჩის მთავარი გმირი გახდა. **რაჟონ რონდომ** ვერ შეძლო მისი შეჩერება.

დასკვნით მეოთხედში მასპინძლებმა არა მარტო შეტევაში ითამაშეს კარგად, არამედ შესანიშნავი დაცვა ააწყვეს. „ჰორნეტსმა“ „ბოსტონს“ თამაშიდან ტყორცნების მხოლოდ 37 პროცენტი ჩააგდებინა. შემდეგ მატჩში „სელტიქსს“ წესით პირსი უნდა დაუბრუნდეს და შესაძლოა, მაშინ ფავორიტმა პირველი გამარჯვება მოიპოვოს.

უეიდის გამარჯვების ტყორცნა

■ ■ ■

„სან ანტონიომ“ აკადემიურ სტილში მიუჩინა თავისი ადგილი „კლიპერსს“. **მანუ ჯინობილიმ** და **ტონი პარკერმა** მიუთითეს კალიფორნიელთა მთავარ მწვრთნელ **ვინი დელ ნეგროს**, რომ მას დაცვის გასაუმჯობესებლად ჯერ კიდევ ბევრი შრომა დასჭირდება. სტუმრები უბრალოდ საშინლად გამოიყურებოდნენ. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ „სპურსის“ წინა ხაზი უბრალოდ მოთელვას გადიოდა და ვარჯიშზე კომბინაციებს ხვეწდა. „კლიპერსის“ ზოგიერთმა მოთამაშემ, მათ შორის **გრიფინმა, გომესმა** და **ბილაპსმა** ჩათვალეს, რომ „ბებერი“ „სპურსის“ წინააღმდეგ დაცვაში თამაში საჭირო არ იყო. სტუმრებმა ერთადერთხელ გაიბრწყინეს, როცა მეორე მეოთხედის ბოლოს ხუთ წუთში ხუთი სამქულიანი ჩააგდეს და 14-ქულიანი ჩამორჩენა მთლიანად გააბათილეს. „სან ანტონიო“ ამან ვერ შეაშინა და თავისი სპურტით უპასუხა მესამე მეოთხედში.

■ ■ ■

დღის ბოლო მატჩში „გოლდენ სტეიტმა“ „ჩიკაგოს“ შემდეგ „ნიუ იორკიც“ დასაჯა. აშკარაა, რომ „მეომრების“ ახალი მთავარი მწვრთნელი **მარკ ჯექსონი** ჯერ-ჯერობით შესანიშნავად უძღვება საქმეს. რაც მთავარია, გუნდმა დაცვაში თამაში ისწავლა. „უორიორზმა“ უბრალოდ გაანადგურა ფარქვეშ „ნიქსის“ წინა ხაზი და მეტოქეზე 21-ით მეტი მოხსნა დააგროვა. ოკლენდელების მსუბუქი ფორვარდი **დომინიკ მაკგუაიერი**, რომელსაც ამ მატჩამდე სახეზე ბევრი ვერ ცნობდა, ინდივიდუალური დაცვის ნამდვილი მასტერკლასი ჩაუტარა **კარმელო ენდტონის**. მან მთლიანად დაკეტა „ნიქსის“ ვარსკვლავი, ხოლო **ამარე სტაუდმაიერს** უნარიანად უმკლავდებოდნენ ფარქვეშ **კვამე ბრაუნი, ანდრეს ბიედრინში** და **ეკპე უდო**.

სტუმრებმა ვერაფრით შეაჩერეს **მონტა ელისი** და განსაკუთრებით **ბრენდონ რაში**, რომელიც ძალიან კომფორტულად გრძნობდა თავს მოედანზე. საერთო ჯამში, „ნიუ იორკმა“ მძიმე შთაბეჭდილება დატოვა, „მეომრები“ კი შინ ავტორიტეტებს არ ცნობენ.

ტორონტო-ინდიანა 85:90

11:18, 23:20, 21:25, 30:27

ტ: დეროზანი (22), ბარნიანი (21+5 პასი), ბეილესი (13), ჯ. ჯონსონი (6+8 მოხსნა+6 ჩაჭრა), ა. ჯონსონი (2+10 მოხსნა).

ი: გრეინჯერი (21+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯორჯი (18), უესტი (14+6 მოხსნა), ჰიბერტი (12+10 მოხსნა), კოლისონი (10+12 პასი), ჰენსბრო (8+8 მოხსნა).

ატლანტა-ვაშინგტონი 101:83

26:17, 29:25, 30:22, 16:19

ა: ჯონსონი (18), მ. უილიამსი (17+8 მოხსნა), სმიტი (15+10 მოხსნა), ჰორფორდი (11+10 მოხსნა), ტიგი (11+5 პასი), მაკგრეიდი (11).

ვ: იანგი (21), უოლი (20+6 პასი), მაკგი (15+12 მოხსნა), ლუისი (13).

ნიუ ორლეანი-ბოსტონი 97:78

24:18, 24:21, 24:24, 25:15

ნ-ო: ჯეკი (21+9 პასი), ლენდრი (20+11 მოხსნა), ოკაფორი (13+6 მოხსნა+5 დაფარება), ბელინელი (13+6 მოხსნა), კამანი (12+9 მოხსნა), არიზა (8+6 მოხსნა).

ბ: ალენი (15), რონდო (13+6 პასი), ბასი (11), დულნიგი (10), გარნეტი (8+7 მოხსნა), სტიუმსმა (2+6 დაფარება+4 მოხსნა).

სან ანტონიო-კლიპერსი 115:90

26:19, 32:35, 38:17, 19:19

ს-ა: ჯინობილი (24+6 პასი), ბლეირი (20+6 მოხსნა), ჯეფერსონი (19), პარკერი (14+9 პასი), ანდერსონი (12), დანკანი (10+8 მოხსნა).

კ: გრიფინი (28+9 მოხსნა), უილიამსი (12), ბატლერი (12), ბილაპსი (11), ჰოლი (10+9 პასი), ჯორდანი (8+8 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება).

ფინიქსი-ფილადელფია 83:103

18:25, 16:23, 20:32, 29:23

ფინ: პრაისი (16), უორიკი (14), ჰილი (14).

ფილ: იგუოდალა (15+6 პასი+4 ჩაჭრა), იანგი (15+5 მოხსნა), ჰოლიდეი (15), უილიამსი (13+5 პასი), ტერნერი (12+7 მოხსნა), მიქსი (12), ჰოსი (9+11 მოხსნა).

შარლოტი-მაიამი 95:96

32:20, 28:25, 10:24, 25:27

შ: ჰენდერსონი (21), ოგუსტინი (20+6 მოხსნა+5 პასი), დიაო (16+16 მოხსნა+8 პასი), უოკერი (14), უაიტი (8+11 მოხსნა+3 დაფარება).

მ: ჯეიმსი (35+6 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), ბოში (25+6 მოხსნა), ჩელმერსი (15), უეიდი (10).

დეტროიტი-კლივლენდი 89:105

23:25, 16:25, 30:29, 20:26

დ: გორდონი (25), ნაიტი (23+6 პასი), სტაკი (11), პრინსი (10), მონროო (10+7 მოხსნა).

კ: სამუელსი (17), სეშენსი (17+7 მოხსნა+6 პასი), ჯეიმისონი (15), ირვინგი (14+7 პასი), ვარეჯაო (10+7 მოხსნა), ტომპსონი (10), გიბსონი (8+6 მოხსნა).

მემფისი-ოკლაჰომა 95:98

20:23, 29:31, 21:18, 25:26

მ: რენდოლფი (24+12 მოხსნა), გეი (19+12 მოხსნა), გასოლი (16+12 მოხსნა), პარგო (15+7 პასი), ალენი (9).

ო: დურანტი (32+8 მოხსნა), ჰარდენი (20+7 მოხსნა), პერკინსი (10).

დენვერი-იუტა 117:100

28:23, 35:23, 25:20, 29:34

დ: ნენე (25+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰარინგტონი (18+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ლოუსონი (15), გალინარი (11+5 მოხსნა), ფერნანდესი (11+8 მოხსნა), აფლალო (10+5 მოხსნა).

ი: ჯეფერსონი (19+5 მოხსნა), ბარტსი (15), მაილზი (13), მილსეპი (13+8 მოხსნა), ჰარისი (10), ჰაიეორდი (10+7 პასი).

გ. სტეიტი-ნიუ იორკი 92:78

21:23, 16:20, 27:21, 28:14

გ-ს: ელისი (22+8 პასი), რაში (19+6 მოხსნა), ლი (13+5 მოხსნა), სმიტი (11+6 მოხსნა), რაიტი (8+8 მოხსნა), ბრაუნი (3+10 მოხსნა).

ნ-ი: სტაუდმაიერი (16+10 მოხსნა), ფილდსი (14), უოკერი (14), ენტონი (13).

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

პორტუგალია

II დივიზიონი

მორეირენსე-ნავალი	1:1

იაპონიის თასი

ტოკიო-სერეზო	1:0
იოკოჰამა-კიოტო	2:4 დ.დ.

ავსტრალია

სიდნეი-მელბურნი ჰ	0:4

კალათბურთი

ესპანეთი

ხუვენტუდი-რეალი	78:75
ვალიადოლიდი-ვალენსია	74:65
ფუენლაბრადა-ალიკანტე	60:64
გრან კანარია-ლაგუნ არო	45:78

გერმანია

ბაიერნი-ბაიროიტი	73:65

ბეიგ-ლოთეკა

ჰოკეი

კალ

ავტომობილისტი-ტრაქტორი	1:2 (ო)
დინამო (მ)-ტორპედო	3:2

ფინეთი

ბლუზი-იოკერიტი	2:1 (ო)
კალვა-ილვესი	2:1 (ბ)
პელიკანსი-ჰპკ	2:1
ტაპარა-კერპეტი	1:3
ტპს-საიპა	2:1 (ბ)
ჰიფკ-ლუკო	6:2
ესეტი-იუვიასკიულა	2:4

ჩეხეთი

კლადნო-ლიტვინოვი	5:0

შპენგლერის თასი

კლოტენი-ვიტკოვიცე	1:5
კანადა-ვოლფსბურგი	2:3 (ბ)

● TV პროგრამა

30 დეკემბერი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. I წრის შეჯამება. ვალენსია.
11:00 იტალიის ჩემპიონატი. I წრის შეჯამება. ნაპოლი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი.
14:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ლიონი.
16:00 იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ინტერი.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნჩელსი.
20:00 ესპანეთის ჩემპიონატი. I წრის შეჯამება. ლევანტე.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 იტალიის ჩემპიონატი. I წრის შეჯამება. რომა.
23:45 ინგლისის ჩემპიონატი. XIX ტური. ლივერპული-ნიუკასლი (LIVE).
01:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL

● NBA. იანვრის კალენდარი

1 იანვარი
კლივლენდი-ნიუ ჯერსი
მაიამი-შარლოტი
ორლანდო-ტორონტო
ვაშინგტონი-ბოსტონი
მინესოტა-დალასი
ჩიკაგო-მემფისი
დენვერი-ლოსანჯელესი
საკრამენტო-ნიუ ორლეანი
კლიპერსი-პორტლენდი

2 იანვარი
ფინიქსი-გ. სტეიტი
ბოსტონი-ვაშინგტონი
ნიუ იორკი-ტორონტო
დეტროიტი-ორლანდო
მაიამი-ატლანტა
ნიუ ჯერსი-ინდიანა
მინესოტა-სან ანტონიო
დალასი-ოკლაჰომა
დენვერი-მილუოკი
იუტა-ნიუ ორლეანი

3 იანვარი
კლივლენდი-შარლოტი
ჩიკაგო-ატლანტა
ოკლაჰომა-პორტლენდი
მემფისი-საკრამენტო
იუტა-მილუოკი
ლოსანჯელესი-ჰიუსტონი

4 იანვარი
ტორონტო-კლივლენდი
ნიუ იორკი-შარლოტი
დეტროიტი-ჩიკაგო
მინესოტა-მემფისი
დალასი-ფინიქსი
დენვერი-საკრამენტო
ორლანდო-ვაშინგტონი
მაიამი-ინდიანა
ბოსტონი-ნიუ ჯერსი
ნიუ ორლეანი-ფილადელფია
სან ანტონიო-გ. სტეიტი
კლიპერსი-ჰიუსტონი

5 იანვარი
ატლანტა-მაიამი
სან ანტონიო-დალასი
საკრამენტო-მილუოკი
პორტლენდი-ლოსანჯელესი

6 იანვარი
შარლოტი-ატლანტა
ვაშინგტონი-ნიუ იორკი
ბოსტონი-ინდიანა
მინესოტა-კლივლენდი
ნიუ ორლეანი-დენვერი
ლოსანჯელესი-გ. სტეიტი
ტორონტო-ნიუ ჯერსი
ფილადელფია-დეტროიტი
ორლანდო-ჩიკაგო
ოკლაჰომა-ჰიუსტონი
იუტა-მემფისი
ფინიქსი-პორტლენდი

7 იანვარი
ატლანტა-ჩიკაგო
დეტროიტი-ნიუ იორკი
ჰიუსტონი-ოკლაჰომა
სან ანტონიო-დენვერი
გ. სტეიტი-იუტა
ინდიანა-შარლოტი
ნიუ ჯერსი-მაიამი
ფილადელფია-ტორონტო
დალასი-ნიუ ორლეანი
კლიპერსი-მილუოკი

8 იანვარი
ვაშინგტონი-მინესოტა
ოკლაჰომა-სან ანტონიო
პორტლენდი-კლივლენდი
საკრამენტო-ორლანდო
ფინიქსი-მილუოკი
ლოსანჯელესი-მემფისი

9 იანვარი
ფილადელფია-ინდიანა
ნიუ ჯერსი-ატლანტა
ჩიკაგო-დეტროიტი
ტორონტო-მინესოტა
ნიუ იორკი-შარლოტი
დენვერი-ნიუ ორლეანი

10 იანვარი
შარლოტი-ჰიუსტონი
ფილადელფია-საკრამენტო
მილუოკი-სან ანტონიო
მემფისი-ოკლაჰომა
პორტლენდი-კლიპერსი
გ. სტეიტი-მაიამი
ვაშინგტონი-ტორონტო
დეტროიტი-დალასი
მინესოტა-ჩიკაგო
იუტა-კლივლენდი
ლოსანჯელესი-ფინიქსი

11 იანვარი
ტორონტო-საკრამენტო
ნიუ იორკი-ფილადელფია
ჩიკაგო-ვაშინგტონი
სან ანტონიო-ჰიუსტონი
იუტა-ლოსანჯელესი
ინდიანა-ატლანტა
ბოსტონი-დალასი
ნიუ ორლეანი-ოკლაჰომა
დენვერი-ნიუ ჯერსი
პორტლენდი-ორლანდო
კლიპერსი-მაიამი

12 იანვარი
ატლანტა-შარლოტი
მილუოკი-დეტროიტი
მემფისი-ნიუ იორკი
ფინიქსი-კლივლენდი
გ. სტეიტი-ორლანდო

13 იანვარი
შარლოტი-დეტროიტი
ფილადელფია-ვაშინგტონი
ჰიუსტონი-საკრამენტო
დალასი-მილუოკი
ფინიქსი-ნიუ ჯერსი
ლოსანჯელესი-კლივლენდი
ტორონტო-ინდიანა
ბოსტონი-ჩიკაგო
ნიუ ორლეანი-მინესოტა
სან ანტონიო-პორტლენდი
დენვერი-მაიამი

14 იანვარი
ატლანტა-მინესოტა
შარლოტი-გ. სტეიტი
ჰიუსტონი-პორტლენდი
ჩიკაგო-ტორონტო
დალასი-საკრამენტო
კლიპერსი-ლოსანჯელესი
ვაშინგტონი-ფილადელფია
ინდიანა-ბოსტონი
ოკლაჰომა-ნიუ იორკი
მემფისი-ნიუ ორლეანი
იუტა-ნიუ ჯერსი

15 იანვარი
დეტროიტი-გ. სტეიტი
სან ანტონიო-ფინიქსი
დენვერი-იუტა

16 იანვარი
მემფისი-ჩიკაგო
შარლოტი-კლივლენდი
ფილადელფია-მილუოკი
კლიპერსი-ნიუ ჯერსი
ბოსტონი-ოკლაჰომა
ლოსანჯელესი-დალასი
ნიუ იორკი-ორლანდო
ვაშინგტონი-ჰიუსტონი
ნიუ ორლეანი-პორტლენდი
ატლანტა-ტორონტო
მინესოტა-საკრამენტო

17 იანვარი
კლივლენდი-გ. სტეიტი
მაიამი-სან ანტონიო
ჰიუსტონი-დეტროიტი
იუტა-კლიპერსი
ორლანდო-შარლოტი
ჩიკაგო-ფინიქსი
მილუოკი-დენვერი

18 იანვარი
ვაშინგტონი-ოკლაჰომა
ორლანდო-სან ანტონიო
ნიუ ჯერსი-გ. სტეიტი
მინესოტა-დეტროიტი
ატლანტა-პორტლენდი
კლიპერსი-დალასი
ფილადელფია-დენვერი
ნიუ იორკი-ფინიქსი
ბოსტონი-ტორონტო
ნიუ ორლეანი-მემფისი
საკრამენტო-ინდიანა

19 იანვარი
ჰიუსტონი-ნიუ ორლეანი
იუტა-დალასი
მაიამი-ლოსანჯელესი

20 იანვარი
ტორონტო-პორტლენდი
ფილადელფია-ატლანტა
დეტროიტი-მემფისი
ბოსტონი-ფინიქსი
სან ანტონიო-საკრამენტო
გ. სტეიტი-ინდიანა
ვაშინგტონი-დენვერი
ნიუ იორკი-მილუოკი
კლივლენდი-ჩიკაგო
ორლანდო-ლოსანჯელესი
კლიპერსი-მინესოტა

21 იანვარი
ატლანტა-კლივლენდი
მაიამი-ფილადელფია
ჰიუსტონი-სან ანტონიო
ნიუ ჯერსი-ოკლაჰომა
მემფისი-საკრამენტო
ნიუ იორკი-დენვერი
დეტროიტი-პორტლენდი
ჩიკაგო-შარლოტი
ნიუ ორლეანი-დალასი
იუტა-მინესოტა

22 იანვარი
ვაშინგტონი-ბოსტონი
მაიამი-მილუოკი
ლოსანჯელესი-ინდიანა
კლიპერსი-ტორონტო
ნიუ ჯერსი-შარლოტი

23 იანვარი
ფილადელფია-ვაშინგტონი
მინესოტა-ჰიუსტონი
ჩიკაგო-ნიუ ჯერსი
ოკლაჰომა-დეტროიტი
პორტლენდი-საკრამენტო
ბოსტონი-ორლანდო
მილუოკი-ატლანტა
ნიუ ორლეანი-სან ანტონიო
დალასი-ფინიქსი
გ. სტეიტი-მემფისი

24 იანვარი
ინდიანა-ორლანდო
მაიამი-კლივლენდი
პორტლენდი-მემფისი
შარლოტი-ნიუ იორკი
ფინიქსი-ტორონტო

25 იანვარი
ვაშინგტონი-შარლოტი
ფილადელფია-ნიუ ჯერსი
ოკლაჰომა-ნიუ ორლეანი
ჰიუსტონი-მილუოკი
დალასი-მინესოტა
საკრამენტო-დენვერი
ლოსანჯელესი-კლიპერსი
კლივლენდი-ნიუ იორკი
დეტროიტი-მაიამი
ჩიკაგო-ინდიანა
სან ანტონიო-ატლანტა
იუტა-ტორონტო
გ. სტეიტი-პორტლენდი

26 იანვარი
ორლანდო-ბოსტონი
კლიპერსი-მემფისი

27 იანვარი
ფილადელფია-შარლოტი
დეტროიტი-ატლანტა
ჩიკაგო-მილუოკი
მაიამი-ნიუ იორკი
ნიუ ორლეანი-ორლანდო
დენვერი-ტორონტო
გ. სტეიტი-ოკლაჰომა
ბოსტონი-ინდიანა
კლივლენდი-ნიუ ჯერსი
ჰიუსტონი-ვაშინგტონი
მინესოტა-სან ანტონიო
დალასი-იუტა
პორტლენდი-ფინიქსი

28 იანვარი
ფილადელფია-დეტროიტი
ჰიუსტონი-ნიუ იორკი
ფინიქსი-მემფისი
შარლოტი-ვაშინგტონი
მილუოკი-ლოსანჯელესი
იუტა-საკრამენტო

29 იანვარი
მაიამი-ჩიკაგო
ნიუ ჯერსი-ტორონტო
დალასი-სან ანტონიო
მინესოტა-ლოსანჯელესი
ბოსტონი-კლივლენდი
ორლანდო-ინდიანა
ნიუ ორლეანი-ატლანტა
დენვერი-კლიპერსი

30 იანვარი
ფილადელფია-ორლანდო
მაიამი-ნიუ ორლეანი
მილუოკი-დეტროიტი
ფინიქსი-დალასი
კლიპერსი-ოკლაჰომა
ვაშინგტონი-ჩიკაგო
ჰიუსტონი-მინესოტა
მემფისი-სან ანტონიო
იუტა-პორტლენდი

31 იანვარი
კლივლენდი-ბოსტონი
ტორონტო-ატლანტა
მემფისი-დენვერი
ლოსანჯელესი-შარლოტი
ინდიანა-ნიუ ჯერსი
ნიუ იორკი-დეტროიტი
გ. სტეიტი-საკრამენტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სამთო თხილამურები

მინიკაბა და თხილამურები

ამერიკელმა სამთო მოთხილამურემ **სარა შლეპერმა** უცნაური დაშვება გაახორციელა მსოფლიოს თასის ეტაპზე - მან მინიკაბა ჩაიცვა, ხელში თავისი სამი წლის ვაჟი **ლასე** დაიჭირა და ასე გაიარა დისტანცია. სწორედ ამგვარად აღნიშნა 32 წლის სპორტსმენმა დიდი სპორტიდან წასვლა: ეს ეტაპი ბოლო გახლავთ მის მდიდარ კარიერაში.

ქალი მოთხილამურეები გუშინ ავსტრიის ქალაქ ლინცში შეიკრიბნენ, სადაც სლალომში იმართებოდა ეტაპი. ამ სტარტამდე წინასწარ იყო ცნობილი, რომ შლეპერი უკანასკნელად იასპარეზებდა მსოფლიოს თასის ეტაპზე.

შლეპერი 1995 წლიდან გამოდიოდა მსოფლიოს თასზე. სულ 186 ეტაპში მიიღო მონაწილეობა, 2005 წელს კი შვეიცარიაში სლალომის სტარტი მოიგო. ეს მისი ერთადერთი გამარჯვებაა კარიერაში.

ამერიკელ მოთხილამურეს ოთხ ოლიმპიადაში მიუღია მონაწილეობა - 1998, 2002, 2006 და 2010 წლებში. ოლიმპიადებზე მისი საუკეთესო შედეგი იყო მეათე ადგილი 2006 წელს სლალომის დისციპლინაში.

■ ■ ■

ლინცში გუშინდელი ეტაპის გმირი კი ავსტრიელი **მარლის შილდი** აღმოჩნდა, რომელიც წელს დომინირებს სლალომში - მან ამ დისციპლინაში ზედიზედ მეოთხე სტარტი მოიგო.

ამ სტარტის მთავარი სენსაცია აღმოჩნდა 16 წლის ამერიკელი **მიკაელა შიფრინი**. მან მე-40 ნომრად აიღო სტარტი და პირველი ცდის შემდეგ მე-12 შედეგი აჩვენა. სამაგიეროდ, მეორე დაშვებისას საუკეთესო დრო ჰქონდა და ამან პოდიუმზე ასვლის საშუალება მისცა. შიფრინი ბოლო 33 წლის განმავლობაში ყველაზე ახალგაზრდა მოთხილამურეა, ვინც სამეულში შეაღწია.

თუ შიფრინი კარიერაში პირველად ავიდა პოდიუმზე, შილდმა 47-ე პოდიუმი მოიპოვა სლალომში, რითაც გაიმეორა ლეგენდარული **ფრენი შნაიდერის** რეკორდი. სულ შილდი სლალომში 31 გამარჯვებით იწონებს თავს.

შლეპერის უცნაური დაშვება

ამერიკელმა ვარსკვლავმა **ლინდსი ვონმა** მე-18 ადგილი დაიკავა, თუმცა მაინც შეძლო საერთო ჩათვლაში პირველობის შენარჩუნება. მას 612 ქულა აქვს, შილდს - 440.

■ ■ ■

გუშინ, კაცებმაც გააგრძელეს მსოფლიოს თასის გათამაშება. ისინი იტალიის კურორტ ბორმიოში შეიკრიბნენ და ყველაზე სწრაფ დისციპლინაში - სწრაფდაშვებაში სცადეს ბედი.

ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, შვეიცარიელმა **დიდიე დეფაგომ**. ამ მოთხილამურემ შარშან ტრავმის გამო მთელი სეზონი გამოტოვა და გაუჭირდა ნლევანდელ ჩემპიონატში შესვლა. ვანკუვერის ოლიმპიადაზე სწარფდაშვების მოგების შემდეგ, დეფაგომ სექტემბერში მუხლის ტრავმა მიიღო და დიდი ხანი დასჭირდა რეაბილიტაციის კურსის გასავლელად.

შვეიცარიელისთვის ეს მეოთხე ტრიუმფი იყო მსოფლიოს თასის ეტაპებზე და აქედან სამჯერ მან სწორედ სწრაფდაშვება მოიგო.

არ შეცვლილა არაფერი მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში. ნორვეგიელმა **აქსელ ლუნდ სვინდალმა** მეექვსე ადგილი დაიკავა და ეს საკმარისი აღმოჩნდა გენერალურ კლასიფიკაციაში ლიდერის პოზიციის შესანარჩუნებლად. სვინდალი 31 ქულას უგებს უახლოეს მდევარს, ავსტრიელ მარსელ ჰირშერს.

● წლის შეჯამება

სპორტული 2011: ოქტომბერი/ნოემბერი/დეკემბერი

ოქტომბერი

„რედ ბულის“ პილოტმა **სებასტიან ფეტელმა** ოთხი ეტაპით ადრე გაიფორმა ფორმულა 1-ში მსოფლიოს ჩემპიონის მეორე ტიტული. ამისთვის საკმარისი აღმოჩნდა იაპონიის გრან-პრიზე მესამე ადგილის დაკავება.

გერმანელი პილოტი 24 წლისა და 99 დღის ასაკში ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. სეზონის ბოლოს მან რეკორდი დაამყარა სეზონში მოპოვებული პოულების რაოდენობით - 15-ჯერ დაინყო რბოლა პირველი პოზიციიდან.

■ ■ ■

ტრაგედიით დასრულდა სეპანგის ავტოდრომზე მალაიზიის ეტაპი მოტოგრან-პრიში. მეორე წრეზე იტალიელი **მარკო სიმონჩელი** თანამემამულე **ვალენტინო როსისა** და ამერიკელ **კოლინ ედვარდსს** შეეჯახა და ეს ავარია მისთვის სავალალო აღმოჩნდა. სიმონჩელის ჩაფხუტი მოძვრა და თავის უმძიმესი ტრავმა მიიღო. ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

24 წლის სიმონჩელის დაღუპვა პირველია მოტოგრან-პრიში 2003 წლის შემდეგ, როცა იაპონიის გრან-პრიზე დაილუპა ადგილობრივი მოტომრბოლი **დაიხირო კატო**.

■ ■ ■

მონაკოში წლის საუკეთესო ველომრბოლად ბელგიელი **ფილიპ ჟილბერი** დასახელეს, რომელმაც სეზონის განმავლობაში რამდენიმე კლასიკური ერთდღიანი რბოლა მოიგო და ჯამში 18 გამარჯვებას მიაღწია.

გამოკითხვაში მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს ტურ დე ფრანსის ჩემპიონმა **კეიდელ ევანსმა** და მსოფლიოს ჩემპიონმა **მარკ კევენდიშმა.**

■ ■ ■

კიევში საზეიმოდ გაიხსნა ოლიმპიური სტადიონი, რომელზეც 2012 წელს ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალი გაიმართება. არენის ტევადობა 60 ათასი მაყურებელია და მისი მშენებლობა 470 მილიონი დოლარი დაჯდა.

ფინალის გარდა ამ სტადიონზე გაიმართება ჯგუფური ეტაპის სამი მატჩი და ერთი მეოთხედფინალი.

■ ■ ■

ბერლინის მარათონზე მამაკაცებს შორის მსოფლიოს ახალი რეკორდი დამყარდა. კენიელმა **პატრიკ მაკაუმ** 42-კილომეტრიანი დისტანცია 2 საათში, 3 წუთსა და 38 წამში დაფარა, რითაც გააუმჯობესა ლეგენდარული ეთიოპიელის **ჰაილე გებრესელასიეს** ძველი მიღნევა.

ერთი თვის შემდეგ, ფრანკფურტის მარათონზე ასევე კენიელმა **უილსონ კიპსანგმა** ისტორიაში მეორე დრო აჩვენა - მას მხოლოდ ოთხი წამი დააკლდა ახალი რეკორდის დასამყარებლად.

■ ■ ■

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ლოკაუტი გამოცხადდა. კლუბების მფლობელებმა და კალათბურთელებმა ვერ გაიყვეს ლიგის საერთო შემოსავალი და მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში საფრთხის წინაშე დადგა რეგულარული ჩემპიონატი. NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა** გააუქმა სეზონის საწყისი მატჩები.

საბოლოოდ, მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს და სეზონი თითქმის ორთვიანი დაგვიანებით დაიწყო. კალენდრის მიხედვით, რეგულარულში თითოეული გუნდს 66 მატჩის ჩატარება მოუწევს.

■ ■ ■

ბეისბოლის მსოფლიოს სერია „სენტ ლუის კარდინალსის“ ტრიუმფით დასრულდა. ფინალში მან 6:2 დაამარცხა „ტექსას რეინჯერსი“ და ბოლო ექვს წელიწადში მეორედ და ჯამში მეთერთმეტედ დაეუფლა ტიტულს.

მსოფლიო სერიის საუკეთესო მოთამაშე გახდა სენტლუისელი **დევიდ ფრზი**. ის აგრეთვე ეროვნული ლიგის სერიაშიც საუკეთესოდ დასახელდა.

ნოემბერი

პროფესიული კრივის სამყარომ უდიდესი დანაკლისი განიცადა. კიბოს ავადმყოფობით 67 წლის ასაკში გარდაიცვალა ლეგენდარული ამერიკელი მძიმენონოსანი **ჯო ფრეზერი**.

„მწველმა ჯომ“, პირველ რიგში სახელი გაითქვა იმით, რომ პირველმა დაამარცხა **მოჰამედ ალი** და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა. ეს 1971 წელს, ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ მოხდა. იმ დაპირისპირებას „საუკუნის ბრძოლა“ უწოდეს.

ფრეზერის დაკრძალვას თავად **მოჰამედ ალი** ესწრებოდა. აქვე იყვნენ **მაიკ ტაისონი, ლარი ჰოლმსი** და მსოფლიოს კრივის სხვა ლეგენდარული პიროვნებები.

■ ■ ■

მორიგი გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს საუკეთესო მოკრივემ, ფილიპინელმა **მენი პაკიაომ**. ლას ვეგასში ის მესამედ შეხვდა მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესს** და ქულებით შეძლო მისი დამარცხება, თუმცა ბევრს ეჭვი შეეპარა მსაჯების საბოლოო გადაწყვეტილების სისწორეში.

■ ■ ■

მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავმა **კრისტიანო რონალდომ** კარიერაში მეორედ მოიგო ევროპის საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი „ოქროს ბუცი“. პორტუგალიელს პრიზი ლეგენდარულმა **ეუსებიომ** და **ალფრედო დი სტეფანომ** გადასცეს.

პორტუგალიელმა ფორვარდმა გასულ სეზონში 40 გოლის გატანა მოახერხა.

■ ■ ■

ამერიკის შეერთებულ შტატებში საფეხბურთო სეზონი **დევიდ ბექჰემის** „ლოს ანჯელეს გელაქსის“ ტრიუმფით დასრულდა. კალიფორნიულმა კლუბმა ფინალში **ლენდონ დონოვანის** გოლით აჯობა ჰიუსტონის „დინამოს“ და მეორედ გახდა MLS-ის თასის მფლობელი, თავად ბექჰემმა კი პირველი ტიტული მოიპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ვეტერანი ინგლისელი აქტიურად ავითარებს თავის საფეხბურთო კარიერას. მან შესაძლოა, „პარი სენ-ჟერმენში“ გააგრძელოს გამოსვლა, გარდა ამისა, ლონდონის ოლიმპიადაზე თამაში აქვს გადაწყვეტილი.

■ ■ ■

რაგბიში მსოფლიოს თასზე განცდილი ფიასკოს შემდეგ ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა **მარტინ ჯონსონმა**. ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად აღიარებულმა გუნდმა მეოთხედფინალი წააგო საფრანგეთის ნაკრებთან, რომელმაც, თავის მხრივ, ფინალამდე მიაღწია და იქ დაძაბულ ბრძოლაში წააგო მასპინძელ ახალი ზელანდიის ნაკრებთან.

■ ■ ■

ტურ დე ფრანსის სამგზის ჩემპიონის, ესპანელი **ალბერტო კონტადორის** საქმე სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში გაგრძელდა. მართალია, ველომრბოლი ესპანეთის ველოსპორტის ფედერაციამ გაამართლა, მაგრამ კონტადორს მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ უჩივლა და ესპანელის მკაცრად დასჯა მოითხოვა. განაჩენი იანვარში გახდება ცნობილი და შესაძლოა, კონტადორს 2010 წელს მოპოვებული ტურ დე ფრანსის ჩემპიონობა ჩამოართვან.

■ ■ ■

ზედიზედ მერვედ მოიგო რალიში მსოფლიოს ჩემპიონატი ფრანგმა **სებასტიან ლოებმა**. ჩემპიონის ვინაობა ბოლო ეტაპამდე გაურკვეველი იყო. ლოებს ტიტულს ფინელი **მიკო ჰირვონენი** ეცილებოდა, მაგრამ ბოლო ეტაპზე - ბრიტანეთის რალიზე ლოებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი და მორიგი ჩემპიონობა იზეიმა.

დეკემბერი

დეკემბერში გაირკვა აპერტურას ჩემპიონი არგენტინაში. „ბოკა ხუნიორსმა“ მთელი ტურნირი დაუმარცხებლად განვლო და 2008 წლის შემდეგ პირველად გახდა ქვეყნის საუკეთესო გუნდი.

■ ■ ■

სენსაციურად დასრულდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი. ტურნირს გამოეთიშა ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი - „მანჩესტერ იუნაიტედი“. სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდმა ჯგუფში ნინ გაუშვა შვეიცარიის „ბაზელი“, რომელთანაც ბოლო ტურში სტუმრად 1:2 დამარცხდა, არადა, ფრეც ჰყოფნიდა მერვედფინალში გასასვლელად.

ასევე პლეი ოფის მიღმა დარჩა მეორე მანჩესტერული გრანდი - „სიტი“. მასზე წინ ჯგუფურ ეტაპზე „ბაიერნი“ და „ნაპოლი“ აღმოჩნდნენ.

ახლა, ორივე მანჩესტერული გუნდი ევროპის ლიგაზე გააგრძელებს გამოსვლას.

■ ■ ■

იაპონიაში გამოვლინდა მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბი. როგორც მოსალოდნელი იყო, კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული „ბარსელონა“ და ლიბერტადორესის თასის მფლობელი „სანტოსი“.

დიდ ინტერესს იწვევდა ორი ახალგაზრდა ვარსკვლავის - **ლეო მესისა** და **ნეიმარის** დაპირისპირება, რომელიც არგენტინელისა და მისი „ბარსელონას“ ტრიუმფით დასრულდა. „ბარსელონამ“ ფინალი 4:0 მოიგო და 2011 წელს მეექვსე ტიტული დაისაკუთრა.

■ ■ ■

ორწლიანი პაუზის შემდეგ ლეგენდარულმა **ტაიგერ ვუდსმა** გოლფის პროფესიულ ტურში ტურნირის მოგება მოახერხა. ამ დროის განმავლობაში ამერიკელმა ზედიზედ 26 ტურნირი წააგო და ნავსი დეკემბერში, კალიფორნიის შტატის ქალაქ თაუსენდ ოუკსში გატეხა, სადაც „შევრონ უორლდ ჩელენჯის“ ტურნირზე იმარჯვა. მას ათზე ნაკლები დარტყმის განხორციელება დასჭირდა 18 ორმოს გასავლელად და ერთი დარტყმით აჯობა მეორე ადგილზე გასულ **ზაკ ჯონსონს**.

■ ■ ■

წლის ბოლოს რამდენიმე საინტერესო საკრივო ორთაბრძოლა გაიმართა. პუერტორიკოელმა **მიგელ კოტომ** 2008 ნელს დამარცხებისთვის რევანში აუღო მექსიკელ **ანტონიო მარგარიტოს** და შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ნახევრადსაშუალო წონაში. ნიუ-იორკში გამართული ბრძოლა მეცხრე რაუნდში შეწყდა და კოტოს ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაეთვალა.

სენსაციურად დასრულდა ბრძოლა ვაშინგტონში, სადაც ბრიტანელი ვარსკვლავი **ამირ ხანი** ქულებით დამარცხდა ამერიკელ **ლამონტ პიტერსონთან** და ჩემპიონის ტიტული დაკარგა. ხანმა მიიჩნია, რომ მსაჯებმა მას გამარჯვება მოჰპარეს, ამიტომაც ბრძოლის შედეგი დაასაჩივრა და ახლა, აპელაციის შედეგებს ელოდება.

■ ■ ■

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ახალი ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი ხმაურიანი ტრანსფერი შედგა - ტრეიდის შედეგად ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი **კრის პოლი** „ნიუ ორლეანიდან“ „ლოს ანჯელეს კლიპერსში“ გადავიდა.

■ ■ ■

ლეგენდარულმა ინგლისელმა მორაგბემ **ჯონი უილკინსონმა** სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. ის ეროვნულ გუნდს 13 წელი ემსახურა და მას 2003 წელს მსოფლიოს თასი მოაგებინა. 32 წლის უილკინსონს ტესტ-მატჩებში 1246 ქულა დაუგროვდა, რაც მეორე შედეგია ისტორიაში - მასზე წინ მხოლოდ ზელანდიელი **დენ კარტერი** იმყოფება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა